

## **შეკმართი დავები**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2025, № 1

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)**

2025, № 1

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)**

2025, № 1

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)**

2025, № 1

გადაწყვეტილების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი  
მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## **საქონელი**

<b>1. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის კანონიერება</b>	
მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ	
ბრძანების კანონიერება ..... 4	
გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოხელის	
თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი ..... 55	
სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის საფუძვლით მანდატურის თანამდებობიდან	
გათავისუფლების კანონიერება ..... 81	
სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება, იძულებითი განაცდურის	
ანაზღაურების პერიოდის განსაზღვრა ..... 120	
<b>2. სხვადასხვა სახის შრომითი დავები</b>	
თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში	
შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების კანონიერება ..... 141	
სახელფასო დავალიანების მოთხოვნის კანონიერება ..... 160	
დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულობა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან ..... 176	
იძულებითი განაცდურის ოდენობის განსაზღვრა ..... 197	

# 1. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის კანონიერება

მძიმე დისციპლინური გადაცემის ჩადენის გამო  
თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ პრეცედის  
კანონიერება

## გადაცევატილება საქართველოს სახელით

№ბს-31(3კ-23)

7 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
თ. ოქროპირიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაც-  
დურის ანაზღაურება, დასკრიმინაციის გამო მორალური ზიანის ანაზ-  
ღაურება

### ალერილობითი ნაწილი:

1. ა. მ-იმა სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მო-  
პასუხე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

სარჩელის თანახმად, 2014 წლის 11 ნოემბრიდან ა. მ-ი მუშაობდა  
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თანამდებობაზე. 2017 წლის  
ოქტომბერში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერი-  
ოდში, მოსარჩელე მხარი არ დაუჭირა მერობის კანდიდატ ა. ზ-ის. 2017  
წლის ნოემბერში გამართულ არჩევნების მეორე ტურში, საბოლოო გა-  
მარჯვება მოიპოვა ა. ზ-იმა. ამ უკანასკნელმა უფლებამოსილების დაწ-  
ყების შემდეგ ა. მ-ის განუცხადა, რომ „ერთად ვერ იმუშავებდნენ“. მო-  
სარჩელის მიმართ ადგილი ჰქონდა არათანაბარ მოპყრობას, იყო დის-  
კრიმინაციის მსხვერპლი. 2018 წლის 2 აპრილს, დაახლოებით 16:00 სა-  
ათზე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა მოსარჩელეს წარუდ-  
გინა წერილი, რომლის მიხედვით, იმავე დღეს ა. მ-ი უნდა გამოცხადე-  
ბულიყო სადისციპლინო კომისიის სხდომაზე. 5 აპრილს მოსარჩელემ  
მიიღო გათავისუფლების ბრძანება და 2 აპრილის სხდომის ოქმი. 2018  
წლის 2 აპრილამდე ა. მ-ის არ მიუღია შენიშვნა და არ დაკისრებია პასუ-  
ხისმგებლობის რომელიმე ზომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩევებ მოითხოვა (დაზუსტებული სარჩევი): ა) ბათილად იქნეს ცნობილი 2018 წლის 4 აპრილის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის №227 ბრძანება და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 2 აპრილის სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი მოსარჩევე ა. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში; ბ) ა. მ-ი აღდგეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თანამდებობაზე (ან სხვა ტოლფას თანამდებობაზე); გ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას ა. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს განაცდური ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე, თვეში 1200 ლარის ოდენობით; დ) მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს დისკრიმინაციის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით.

2. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 აპრილის განჩინებით ა. მ-ის სარჩელი მოპასუხე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ გადაეგზავნა განსჯად – ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს 2018 წლის 17 ოქტომბრის საოქმონ განჩინებით საქმეში მესამე პირად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, ჩაერთო მ. ს-ე.

4. მცხეთის რაიონული სასამართლოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით ა. მ-ის სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარე-მოებები: ა) ა. მ-ი 2014 წლის 11 ნოემბრიდან 2018 წლის 4 აპრილამდე მუშაობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თანამდებობაზე; ბ) 2018 წლის 2 მარტს შედგა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელზეც დღის წესრიგის პირველ საკითხად განისაზღვრა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის – თ. ა-ისა და სოფლის მეურნეობის, ქონების მართვისა და სტატისტიკის ...ის – მ. მ-ის მოხსენებითი ბარათების განხილვა. ამავე კომისიის გადაწყვეტილებით სხდომაზე წარდგენილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის მოხსენებითი ბარათები ჩაითვალა დისკიპლინური სამართალნარმოების დაწყების საფუძვლად; გ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 12 მარტის №160 ბრძანების საფუძველზე ა. მ-ის მიმართ დაიწყო დისკიპლინური წარმოება და ამავე დღეს ჩატარდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის №2 სხდომა, რომელზეც დადგინდა ზეპირი მოსმენის ჩატარება დისკიპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის – ა. მ-ის მონანილეობით; დ) ა. მ-ის ყაზბეგის

მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპილინო კომისიის თავმჯდომარის წერილით ეცნობა 2018 წლის 2 აპრილის სადისციპილინო კომისიის სხდო-მისა და მასში მონაწილეობის შესახებ; ე) 2018 წლის 2 აპრილს ჩატარდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპილინო კომისიის №3 სხდომა, რომელზეც დადგინდა ა. მ-ის მიერ მძიმე დისციპლინური გა-დაცდომის ფაქტი და ამავე კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა დას-კვნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის – ა. მ-ის მიმართ დის-ციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – სამსახურიდან გათავისუფ-ლების შეფარდების შესახებ; ვ) ა. მ-ი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მე-რის 2018 წლის 4 აპრილის №227 ბრძანების საფუძველზე გათავისუფ-ლდა დაკავებული თანამდებობიდან. 2018 წლის 2 აპრილის სხდომის №3 ოქმი და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება თანამდებო-ბიდან გათავისუფლების შესახებ ა. მ-ის ჩატარდა 2018 წლის 5 აპრილს; ზ) 2018 წლის 2 აპრილამდე ა. მ-ის არ მიუღია რამე სახის შენიშვნა და არ დაკისრებია პასუხისმგებლობის ზომა. 2017 წლის 29 დეკემბერს სა-ახალწლო პრემიის სახით ამ უკანასკნელმა მიიღო 812 ლარი; თ) ყაზბე-გის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 3 ივნისის ბრძანებით ყაზბე-გის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის ვაკანტურ პოზიციაზე დაინიშნა მ. ს-ე.

სასამართლოს განმარტებით, წინამდებარე დავის არსებითად სწო-რად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, ა. მ-ის დაკავე-ბული თანამდებობიდან გათავისუფლება განპირობებულია მის მიერ დისციპლინურ გადაცდომათა ჩადენით, სამსახურებრივ მოვალეობა-თა შეუსრულებლობით, თუ რეალურად, სახეზეა დისკრიმინაციის ფაქ-ტი, რაც გულისხმობს ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალის ცალკე-ული წარმომადგენლის მიერ ისეთ მიდგომას, რომელიც ადმინისტრა-ციულ ორგანოებში დასაქმებული მოხელეების მიმართ იწვევს უთანას-წორობას და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას, მათი შრომითი უფ-ლებების შეღახვასა და სამსახურიდან გათავისუფლებას პოლიტიკური გემოვნებისა თუ კუთვნილების გამო. შესაბამისად, პირველ რიგში, უნ-და შემოწმდეს მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავი-სუფლებას ხომ არ დაედო საფუძვლად მის მიმართ გაუმართლებელი, განსხვავებული მოპყრობა.

სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის არგუმენტი, რომ იგი სამ-სახურიდან გაათავისუფლეს მხოლოდ იმის გამო, რომ 2017 წლის ოქ-ტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მხარი არ და-უჭირა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მერობის ახალ კანდიდატს, რის გა-მოცეს უკანასკნელი განაწყენებული იყო ა. მ-იზე დაუფლებამოსილე-ბის დაწყების შემდეგ განუცხადა, რომ „ერთად ვერ იმუშავებდნენ“, არ არის გამყარებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით და არ

არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები. მოსარჩელის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ პერიოდულად მის მიმართ კეთდებოდა გამომწვევი განცხადებები და ის არაფორმალურად გრძნობდა, რომ იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი, ვერ გამოდგება საკუთარის საფუძვლად, რათა სასამართლომ ირწმუნოს და დადგენილად მიიჩნიოს ის გარემოება, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დისკრიმინაცია დაედო. მოსარჩელე მხარის შუამდგომლობით სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოსარჩელის ქმა – ლ. მ-ი, რომელმაც განმარტა, რომ ა. მ-ისგან გადმოცემით იცის ახალი მერის მოსვლის შემდეგ ქმის სამსახურში დაძაბული ურთიერთობისა და მერთან დაპირისპირების შესახებ, თუმცა არათანაბარი მოპყრობის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაცია მოწმემ სასამართლოს ვერ მიაწოდა. შესაბამისად, მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულება და ვერ მიუთითა რაიმე ობიექტურ გარემოებაზე ან შესაბამის მტკიცებულებაზე, რომელთა ინდივიდუალური ან ერთობლივი ანალიზი სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას დაედგინა დისკრიმინაციის ფაქტი.

სასამართლოს მოსაზრებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სადისციპლინო კომისიის სხდომაზე გამოტანილი დასკვნა მიღებულია საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად და შესაბამისობაშია კანონთან, რაც, საბოლოოდ, საფუძვლად დაედო ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 4 აპრილის №227 ბრძანებას. სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმის კანონიერების საკითხის განხილვა უნდა მოხდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 4 აპრილის №227 ბრძანების კანონშესაბამისობის საკითხის განხილვისას, ვიზაიდან იგი საფუძვლად დაედო სადაცო ბრძანებას.

სასამართლოს განმარტებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 2 აპრილის სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ს. ა. მ-ის დაუდგინდა მძიმე დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაში. ამასთან, ამავე სხდომაზე მიღებულ იქნა დასკვნა ა. მ-ის თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის შეფარდების შესახებ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 4 აპრილის №227 ბრძანებით კი, ეს უკანასკნელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. შესაბამისად, განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები, კერძოდ, არსებული ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები ამართლებდა თუ არა პირის შრომითი უფლების შეზღუდვას – სამსახურიდან გათავისუფლებას, დამსაქმებელი

ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელებული ქმედება არის თუ არა ადეკვატური შექმნილ ვითარებაში და ხომ არ მოხდა და-საქმებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების – შრომის თა-ვისუფლების უსაფუძვლო შეზღუდვა.

სასამართლოს განმარტებით, 2018 წლის 2 მარტს შედგა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელ-ზეც დღის წესრიგის პირველ საკითხად განისაზღვრა ყაზბეგის მუნი-ციპალიტეტის მერის ...ის – თ. ა-ის და სოფლის მეურნეობის, ქონების მართვისა და სტატისტიკის ...ის – მ. მ-ის მოხსენებითი ბარათების გან-ხილვა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით სხდომაზე წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათები ჩაითვალი დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლად, ვინაიდან გამოითქვა დასაბუთებული ეჭვი ...ის ა. მ-ის მხრიდან დებუ-ლებით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობების არჯერო-ვანი შესრულების გამოსავარაუდო დისციპლინური გადაცდომის თაო-ბაზე. 2018 წლის 2 აპრილს ა. მ-ის მონაწილეობით ჩატარდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის №3 სხდომა, რო-მელზეც დადგინდა ა. მ-ის მიერ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩა-დენის ფაქტი, კერძოდ, ამავე კომისიის სხდომის ოქმის თანახმად, დის-ციპლინური გადაცდომა გამოიხატა შემდეგმი: დებულების მე-3 მუხ-ლის მე-7 პუნქტის თანახმად, არ ხორციელდებოდა შიდა აუდიტის სამ-სახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მო-ნიტორინგი და კონტროლი; დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, არ შეასრულა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გა-მოყენების, ვალდებულებების აღების, შესყიდვების პროცედურების განხორციელების, ხელშეკრულების გაფორმების, გადახდების განხორ-ციელების შესწავლა და შეფასება; დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვე-პუნქტის თანახმად, სამსახურის უფროსმა ა. მ-იმა 2014 წლიდან გამ-გებლისათვის/მერისათვის არ წარადგინა სამსახურის საქმიანობის ან-გარიში; დებულების მე-7 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წლე-ბის განმავლობაში არ შეიმუშავა შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველ-ყოფასა და გაუმჯობესების პროგრამა; არ განახორციელა გამგეობის/ მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საიჯარო ხელშეკრუ-ლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწ-მება და კონტროლი, წლების განმავლობაში მოიჯარების მხრიდან ად-გილი პქონდა საიჯარო ქირის გადაუხდელობას, რითაც მატერიალური ზიანი მიადგა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებს, რაზედაც ასე-ვე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია; სახელმწიფო აუდიტის სამსა-ხურის 2017 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ გამგეობაში 2015-2016 წლებში ჩატარებული არ არის ინვენტარიზაცია საქართველოს ფინან-

სთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების“ თანახმად, რაზედაც ...სა არ მოუხდენია რაიმე სახის რეაგირება; არ განახორციელა მონიტორინგი და შემონმება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიში და შეფიქსირებულ სხვა დარღვევებზე; მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისნარმოების განყოფილებაში არ ინახება 2014 წლიდან მის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარდგენილი გამგებლისა, საკრებულოსა და ჰარმონიზაციის ცენტრისათვის; მერიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული არ არის სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმა. ამდენად, გაურკვეველია სამსახურის უფლებამოსილების განხორციელების პროცესის მიმდინარეობა; შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და არც მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში არ შეამონმა სახელფასო დანამატის გაცემის კანონიერება, მაშინ როდესაც საკითხის ყოველგვარი შესწავლის გარეშე, სამართლებრივი საფუძვლის არარსებობისას და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამგეობის თანამდებობის პირებზე, მათ შორის, აუდიტის სამსახურის ...ზე ა. მ-იზე 2016-2017 წლებში გაიცემოდა სახელფასო დანამატი ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით სისტემატურად. ამრიგად, არ მოუხდენია თანხების ხარჯვის კანონიერების შესწავლა და შეფასება; არც მოთხოვნის შემთხვევაში და არც პირადი ინიციატივით ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი არ არის შიდა აუდიტის სამსახურის წლიური და სტრატეგიული გეგმები; არ ხდებოდა სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი; არ ხდებოდა მუნიციპალიტეტის როგორც გამგეობის/მერიის, ისევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ვალდებულებების აღების, შესყიდვის პროცედურების, მიზანშეწონილობის შესწავლა, ანალიზი და შეფასება.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის შედავება იმ ნაწილში, რომ ა. მ-ი, როგორც ...ი, წლების განმავლობაში არ ახდენდა გამგეობის/მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებასა და კონტროლს; წლების განმავლობაში მოიჯარების მხრიდან ადგილი ჰქონდა საიჯარო ქირის გადაუხდელობას, რითაც მატერიალური ზიანი მიადგა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებს, რაზეც ა. მ-ის რეაგირება არ ჰქონდა. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნაწილობრივ დაადასტურა კიდეც ა. მ-იმა როგორც მის მიერ წარდგენილ შესაგებელში კომისიის სხდომის ოქმთან დაკავშირებით, ასევე სასა-

მართლო სხდომაზე. მან ვერ შეძლო უტყუარი წერილობითი მტკიცებულების სასამართლოსთვის წარდგენა, რომელიც გააპათილებდა მოპასუხე მხარის პოზიციას. მისი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ ზეპირ მოლაპარაკებებს აწარმოებდა მოიჯარებთან და ვინაიდან მოიჯარების მხრიდან დაიწყო დავალიანებების დაფარვა, არჩათვალა საჭიროდ წერილობითი რეკომენდაციის გაცემა საიჯარო დავალიანებების ამოლების შესახებ, არ არის საკმარისი საფუძველი მისი ბრალეულობის გამოსარიცხად. შესაბამისად, ...მა არ შეასრულა დებულებით გათვალისწინებული სამსახურებრივი ვალდებულება, კერძოდ, სამსახურმა რეაგირების გარეშე დატოვა კომპანიების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (საიჯარო ქირის გადაუხდელობა) შეუსრულებლობის ფაქტები და არ გასცა შესაბამისი დასკვნები, რაც რეკომენდაციებთან ერთად გაგზავნილი უნდა ყოფილიყო ხელმძღვანელობისთვის სათანადო რეაგირებისათვის.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ...მა 2015-2016 წლებში არჩატარა მუნიციპალიტეტის მერიის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. აღნიშნული დასტურდება 2017 წლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშით, რომლის თანახმად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან – საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

სასამართლოს განმარტებით, „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შესახებ“ შპს „ა...ის“ 2017 წლის 31 მარტის აუდიტორული დასკვნის თანახმად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესში წამოჭრილმა სირთულეებმა აჩვენა, რომ მიუხედავად საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010

წლის 23 ივლისის №605 ბრძანების მოთხოვნისა, დადგენილი წესების შესაბამისად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულიყო ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასულობათა ინვენტარიზაცია, წლების განმავლობაში ინვენტარიზაციის ჩატარებლობამ სრული ქაოსი შექმნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასულობათა აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის კუთხით. ამავე დასკვნაში მითითებულია ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად 144.000 ლარის ოდენობით დანაკლისის შესახებ, რის გამოც გაიცა რეკომენდაციები, გამოვლენილ სხვაობებს მისცემოდა სათანადო შეფასება, რასაც მოსარჩელე მხარეც ადასტურებს.

სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ...ის მიერ დასახელებულ რეკომენდაციებზეც არ განხორციელებულა რეაგირება და განმარტა, რომ, მართალია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია 28.05.2015 წლით დათარიღებული საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის აუდიტორული შემოწმების ანგარიში და 08.08.2016 წლით დათარიღებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ყ...ში“ აუდიტორული შემოწმების ანგარიში, სადაც ...ს გაცემული აქვს ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდაცია, თუმცა შემდეგში რა ქმედითი ღონისძიებები იქნა გატარებული ამ კუთხით და ახდენდა თუ არა შიდა აუდიტის სამსახური შემდგომ მონიტორინგს, შესაბამისი მტკიცებულება მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

სასამართლოს განმარტებით, შიდა აუდიტის სამსახურმა არ განახორციელა შემდგომი შემოწმება და მონიტორინგი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის ანგარიშში დაფიქსირებულ სხვა დარღვევებზეც და მოსარჩელის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩატარებისა დასახელებული ანგარიში უსაფუძვლო და არადამაჯერებელია.

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ა. მ-იმა 2014 წლიდან გამგებელს/მერს არ წარუდგინა სამსახურის საქმიანობის ანგარიში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ მან გამგებელს წარუდგინა 2015-2016 წლების წლიური და ინდივიდუალური შემოწმების ანგარიშები, ასევე, 2017 წლის ინდივიდუალური ანგარიში, გარდა წლიურისა, რასაც ობიექტური გამართლება ჰქონდა. სასამართლოს განმარტებით, დებულების თანახმად, დასახელებული დოკუმენტები არ წარმოადგენს სამსახურის საქმიანობის ანგარიშს. ასევე, მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მას წლების განმავლობაში არ შეუმუშავებია შიდა აუდიტის ხარისხის

უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის განმარტება იმას-თან დაკავშირებით, რომ მისთვის დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებამდე არ იყო ცნობილი წლიური და სტრატეგიული გეგმების დამტკიცების შესახებ და ისე მოახდინა ინფრასტრუქტურის სამსახურის შემოწმება, კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, მართალია, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. მ-იმა 2017 წლის დეკემბრის თვეში მერს დასამტკიცებლად წარუდგინა 2018 წლის წლიური და 2018-2020 წლების სტრატეგიული გეგმები, თუმცა შემდეგ ისე მოახდინა სამსახურების შემოწმება, რომ არ გაურკვევია, დამტკიცებული იყო თუ არა დასახელებული გეგმები მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ის არგუმენტი, რომ 2017 წლის ნოემბრიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ჰყავს ახალი მერი და მასთან დაძაბული ურთიერთობის გამო გამორჩია ამ საკითხის გარკვევა, ა. მ-ის არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ ა. მ-ი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში ახდენ-და სხვადასხვა სამსახურების მიმართ გაცემული რეკომენდაციების შემდგომ მონიტორინგსა და კონტროლს, რაც მას დებულებით ევალებოდა. მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა საკმაოდ ვრცელი დოკუმენტაცია იმის საილუსტრაციოდ, რომ იგი სხვადასხვა სამსახურების მიმართ გასცემდა რეკომენდაციებსა და ახდენდა ამ რეკომენდაციების შესრულებაზე შემდგომ მონიტორინგს. ასევე სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ მას, როგორც ...ს უფლება ჰქონდა თავისი შეხედულებით განესაზღვრა იმ საკითხთა წრე, რომელზეც სამსახურს რეაგირება უნდა მოეხდინა, თუმცა მოსარჩელის არგუმენტი იმ ნაწილში, რომ მას ასევე შეეძლო არ გაეცა შესაბამისი რეკომენდაციები და ამის უფლებას მას კანონი ანიჭებდა, უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია.

სასამართლოს განმარტებით, მართალია, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, შიდა აუდიტორი თავისი საქმიანობაში დამოუკიდებელია და დაუშვებელია მის საქმიანობაში რაიმე ფორმით ჩარევა ან მასზე სხვაგვარი ზემოქმედება, თუმცა აღნიშნული იმთავითვე გულისხმობს სამსახურის ...ის პასუხისმგებლობას, მასზე დაკისრებული ვალდებულებები შეასრულოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით და მოვალეობებისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ შედეგად არ უნდა გამოიწვიოს საჯარო ინტერესის და რეპუტაციის ხელყოფა.

სასამართლოს განმარტებით, დებულებით პირდაპირ გათვალისწინებული სამსახურებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობამ, რასაც

მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, არა მარტო მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა საჯარო დაწესებულებას, არამედ გარკვეული ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. აღნიშნული ერთობლიობაში წარმოადგენს მძიმე დისციპლინურ გადაცდომას, რაც გახდა ა. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. რეპუტაციის შელახვაში დარეპუტაციისათვის ზიანის მიყენებაში მოიაზრება ისეთი ქმედებები, როდესაც მოხელე კანონის დარღვევით მოქმედებს ან ისეთ რამეს განახორციელებს, რაც მის მიმართ დაკისრებული ფუნქციების მიმართ არაჯეროვან ან/და გულგრილ დამოკიდებულებაზე მიანიშნებს. ასეთ შემთხვევაში, ნდობა მოხელის თუ საჯარო დაწესებულების მიმართ ქრება და მისი ავტორიტეტიც იკლებს. შესაბამისად, შედეგი, რასაც იწვევს მოხელის ქმედება, საკმაოდ მძიმეა, იმდენად, რამდენადაც რეპუტაციის აღდგენა დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის არგუმენტი, რომ იგი სადისციპლინო კომისიის სხდომის თარიღის შესახებ არ იქნა გაფრთხილებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და მას მხოლოდ 2018 წლის 2 აპრილს ეცნობა სხდომის შესახებ. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არ წარმოადგენს იმ სახის დარღვევას, რაც, შესაძლოა, საფუძველი გახდეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისთვის, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა თავად ა. მ-ი სადაც არ ხდის იმ გარემოებას, რომ იგი უშუალოდ ესწრებოდა 2018 წლის 2 აპრილის კომისიის სხდომას. ამავე სხდომის ოქმის თანახმად, ეს უკანასკნელი გაეცნოდის-ციპლინური გადაცდომის საფუძვლებს, მას განემარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლით დადგენილი უფლებები და მიეცა შესაძლებლობა გამოეთქვა მოსაზრება განსახილველ სადაც საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, წარედგინა შესაგებელი კომისიის სხდომის ოქმთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ დისციპლინური წარმოების ფარგლებში კომისიის მიერ ჯეროვნად, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად იქნა შესწავლილი ყველა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება და სწორი შეფასება მიეცა დამდგარ შედეგს, კერძოდ, ა. მ-ი უშუალოდ მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში, მას განემარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები, კომისიის სხდომაზე მისცა ახსნა-განმარტება სადაც საკითხებთან დაკავშირებით, ამასთან, მიეცა შესაძლებლობა წარედგინა წერილობით შესაგებელი კომისიის სხდომაზე დასმული თითოეული გამოსაკვლევი საკითხის ირგვლივ და წარედგინა მისი პოზიციის დამა-

**დასტურებელი მტკიცებულებები.**

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ მერის ბრძანება ა. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არ შეიცავ-და დასაბუთებას, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშ-ნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ადმი-ნისტრაციული კოდექსი იძლევა შესაძლებლობას, ბრძანება გამოცე-მულ იქნეს შესაბამისი დასაბუთების გარეშე იმ შემთხვევაში, როდე-საც მხარისთვის ცნობილი იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წი-ნაპირობები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა სადაცო ინდივიდუალუ-რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით სა-სამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ მოპასუხეს დაეკისროს მო-რალური ზიანის ანაზღაურება, აუცილებელია დადგინდეს მისი მხრი-დან მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, რასაც განსა-ხილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონა.

5. მცხეთის რაიონული სასამართლოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საა-პელაციო წესით გასაჩივრდა ა. მ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკ-მაყოფილდა ა. მ-ის სააპელაციო საჩივარი. გაუქმდა მოცემულ საქმეზე მცხეთის რაიონული სასამართლოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მაგის-ტრატი სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება. ნაწილობ-რივ დაკმაყოფილდა ა. მ-ის სარჩელი. სადაცო საკითხის გადაუწყვეტ-ლად ბათილად იქნა ცნობილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 4 აპრილის №227 ბრძანება და დაევალა ადმინისტრაციულ ორგა-ნოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საქმის გარემოებების ყო-ველმხრივი, სრულყოფილი შესწავლა-გამოკვლევის შედეგად აღნიშ-ნულთან დაკავშირებით ახალი აქტის გამოცემა. დაანარჩენ ნაწილში სარ-ჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, მე-3 და მე-10 მუხლებზე, „საჯარო სამსა-ხურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლზე, სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლზე და განმარტა, რომ მოსარჩელის მითი-თებით იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს მხოლოდ იმის გამო, რომ 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებ-ში მხარი არ დაუჭირა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მერობის ახალ კან-დიდატს, რის გამოც ეს უკანასკნელი განაწყენებული იყო ა. მ-იზე და

უფლებამოსილების დაწყების შემდეგ განუცხადა, რომ „ერთად ვერ იმუ-  
შავებდნენ“. მოსარჩელის მტკიცების საპირისპიროდ მოპასუხებ გან-  
მარტა, რომ ა. მ-იმა ჩაიღინა მძიმე დისციპლინური გადაცდომა შიდა  
აუდიტის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული სამსახურებ-  
რივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების გამო, რამაც შედე-  
გად გამოიწვია მისი სამსახურიდან გათავისუფლება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მართებულია პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩე-  
ლის განმარტებები არ არის გამყარებული კონკრეტული ფაქტობრივი  
გარემოებებით და არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულე-  
ბები. ა. მ-ის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ პერიოდუ-  
ლად ხდებოდა მის მიმართ გამომწვევი განცხადებების გაკეთება და ის  
არაფორმალურად გრძნობდა, რომ იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი,  
ვერ გამოდგება იმის საკმარის საფუძვლად, რათა სასამართლომ ირ-  
წმუნოს და დადგენილად მიიჩნიოს ის ფაქტი, რომ მოსარჩელის სამსა-  
ხურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დისკრიმინაცია დაედო. მოწ-  
მის სახით დაკითხულმა მოსარჩელის ძმამ – ლ. მ-იმა განმარტა, რომ ა.  
მ-ისგან გადმოცემით იცის ახალი მერის მოსვლის შემდეგ ძმის სამსა-  
ხურში დაძაბული ურთიერთობისა და მერთან დაპირისპირების შესა-  
ხებ. არათანაბარი მოპყრობის დამადასტურებელი რაიმე უშუალო, კონ-  
კრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაცია მოწმემ სასამართლოს ვერ მი-  
აწოდა. ა. მ-იმა პალატას ვერ წარუდგინა დამაჯერებელი და უტყუარი  
მტკიცებულება, ვერ მიუთითა რაიმე ობიექტურ გარემოებასა და შესა-  
ბამის მტკიცებულებაზე, რომელთა ინდივიდუალური ან ერთობლივი  
ანალიზი სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას დაედგინა დისკრი-  
მინაციის ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს მოსარჩელის მოთხოვნის  
– დისკრიმინაციის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების – 1000 ლა-  
რის ოდენობით დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძ-  
ველი.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც კანონი-  
ერად იქნა მიჩნეული დისციპლინური გადაცდომის გამო ა. მ-ის სამსა-  
ხურიდან გათავისუფლება (დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდუ-  
რესი ღონისძიების გამოყენება). სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამ-  
სახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნ-  
ქტის „ა“ ქვეპუნქტზე, 98-ე მუხლზე და განმარტა, რომ, მართალია, სა-  
ჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული სამსა-  
ხურებრივი მოვალეობების განზრას ან გაუფრთხილებლობით შეუსრუ-  
ლებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხის-  
მგებლობის დაკისრება, მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყო-

ველი დისციპლინური ღონისძიების გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა გაანხორციელდეს. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნათა დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამიტომ სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

სასამართლომ მიუთითა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-7, მე-9 და მე-11 პუნქტებზე, მე-7 მუხლის „ვ“ და „ო“ ქვეპუნქტებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია დაღვინდეს მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩადენას და თუ ადგილი ჰქონდა, მაშინ უნდა შეფასდეს, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოყენებული იქნა თუ არა ა. მ-ის მიმართ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური ღონისძიება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიმართ ადრე არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ღონისძიება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური სახდელი – სამსახურიდან გათავისუფლება მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის. ა. მ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებისას მოპასუხის მიერ ადმინისტრაციული წარმოების დროს სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში უნდა შეფასებულიყო მისი მოქმედება, უნდა დადგენილიყო ის ზიანი, რაც უშუალოდ მისი მოქმედებით მიადგა ან შესაძლოა მისდგომოდა ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და მესამე პირს, მისი სუბიექტური დამოკიდებულება ზიანისადმი და ბრალეულობის ხარისხი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და სხვ. დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომის დაკისრებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ მკაფიოდ უნდა დაასაბუთოს მისი გამოყენების აუცილებლობა. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე მიი-

ღადან წყვეტილება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რომ მოსარჩელის საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების სიმძიმე არ შეაფასა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ, ის ფაქტები, რაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომა. მ-ის დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნია, არ ქმნის მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების უპირობო და ლეგიტიმურ საფუძველს.

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და საქმის განხილვისას გამოვლენილი გარემოებების პირობებში მოპასუხის პოზიცია სააპელაციო პალატისთვის არ იქნა საკმარისად მიჩნეული იმის დასადასტურებლად, რომ ა. მ-ის ქმედება იყო იმ სიმძიმის, რაც განაპირობებდა მის მიმართ უკიდურესი დისციპლინური სახელელის დაკისრების საფუძვლიანობას და კანონიერებას, აქედან გამომდინარე, პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ა. მ-ის საქმიანობაში გამოვლენილი ზემოაღნიშნული გადაცდომები არ უნდა დარჩეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირების გარეშე. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლევა-შეფასების შედეგად ხელახლა უნდა იმსჯელოს მისი დისკრეციის ფარგლებში ხომ არ არის შესაძლებელი მოსარჩელის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების ნაცვლად დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა შესაბამისი ღონისძიების გამოყენება.

**6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ა. მ-ის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიისა და მ. ს-ეის მიერ.**

6.1 კასატორი – ა. მ-ი აღნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია რაიმე სახის გადაცდომა, რის გამოც ის შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან ან დაკვისრებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობა. მოსარჩელე იყო დისკრეციის მსხვერპლი. ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა ფორმალურად და ის წინასწარ გადაწყვეტილი შედეგით უნდა დასრულებულიყო.

კასატორის განმარტებით, იგი 2014 წლის 11 ნოემბრიდან მუშაობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თანამდებობაზე. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის №227 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 2017 წლის ოქტომბერში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში, მხარი არ დაუჭირა მერობის კან-

დიდატს – ა. ზ-ის. 2017 წლის ნოემბერში გამართულ არჩევნების მეორე ტურში, საპოლოო გამარჯვება მოიპოვა ა. ზ-იმა, რომელიც განაწყენებული იყო მოსარჩელის მიმართ და უფლებამოსილების დაწყების შემდეგ განუცხადა მას, რომ „ერთად ვერ იმუშავებდნენ». მოსარჩელე გახდა არათანაბარი მოპყრობის მსხვერპლი, პერიოდულად ხდებოდა მის მიმართ გამომწვევი განცხადებების გაკეთება და ის არაფორმალურად ყოველთვის გრძნობდა, რომ იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი. 2018 წლის 2 აპრილს, დაახლოებით 16:00 საათზე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა გადასცა წერილი, რომლის მიხედვით, იმავე დღეს 2 აპრილს მოსარჩელე უნდა გამოცხადებულიყო სადისციპლინო კომისიის სხდომაზე. 5 აპრილს მოსარჩელემ მიიღო გათავისუფლების ბრძანება და 2 აპრილის სხდომის ოქმი. აღნიშნულ გარემოებას სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა, რეალურად, მხოლოდ დროის სიმცირის გამო, ვერანაირი განხილვა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი – განხილვას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი გადაცდომა, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო ედავებოდა მოსარჩელეს იყო 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის მერიის ქონების ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობა. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ წარდგენილი იყო ინვენტარიზაციის აქტი (რომლის კომისიის წევრებიც იყვნენ სადისციპლინო კომისიის წევრები). ამ მოცემულობის პირობებში, გაურკვეველია სასამართლოს შეფასება, რომ ინვენტარიზაცია არ ყოფილა ან კანონშეუსაბამოდ იყო შესრულებული. ინვენტარიზაცია ჩატარდა მ-ის რეკომენდაციით და შესრულდა სწორედ სადისციპლინო კომისიის წევრების – კ-ის და ქ-ის (ასევე სხვა პირების) მიერ და თუ დარღვევა იყო, პირველ რიგში, საინვენტარიზაციო კომისიის წევრების პასუხისმგებლობა უნდა დამდგარიყო. მოსარჩელე მ-ი საინვენტარიზაციო კომისიის წევრი არსებული რეგულაციების გათვალისწინებით ვერ იქნებოდა. სასამართლო თავისი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ უთითებს, რომ მოსარჩელემ გასცა რეკომენდაცია ინვენტარიზაციის შესახებ.

სასამართლოს არ შეუფასებია ფაქტობრივი გარემოება, რომლის თანახმად, მოსარჩელეს არც ერთხელ არ აქვს მიღებული შენიშვნა და გათავისუფლებამდე 3 თვეთ ადრე ფულადი პრემიაც კი მიიღო. მნიშვნელოვანია სასამართლოს წინააღმდეგობრივი შეფასება სამსახურის უფროსს კომპეტენციასთან დაკავშირებით. სასამართლო აღარებს ნორმატიულ რეგულირებას, რომლის მიხედვითაც აუდიტის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებით განსაზღვროს საკითხთა წრე, რომელზედაც სამსახურს რეაგირება უნდა მოეხდინა, ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს: „არგუმენტი, რომ ასევე შეეძლო არ გაეცა შესაბამისი რეკომენდაციები და ამის უფლებას მას კანონი ანი-

ჭებდა, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია“. სასამართლო ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე უთითებს, თითქოს მ-ის უმოქმედობამ მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა საჯარო დაწესებულებას. სამსახურებრივი უმოქმედობა, რითაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი ადგება დაწესებულებას წარმოადგენს საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულს (მუხლი 342, სამსახურებრივი გულგრილობა). სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე მსგავსი შეფასება და დასკვნა სასამართლოს მხრიდან ნათელი ილუსტრაციაა, რომ მოსარჩელეს სამართლიანი სასამართლოს უფლება დაერღვა.

კასატორის განმარტებით, გაუგებარი და ბუნდოვანია ოპუტაციულ ზიანზე მითითება – როდის და კონკრეტულად რაში გამოიხატა. სასამართლოს და მოპასუხეს არ დაუსაბუთებია წლების განმავლობაში რატომ არ ხდებოდა რაიმე რეაგირება მოსარჩელის უმოქმედობასა და გადაცდომებზე. დარღვევების არსებობის შემთხვევაში კი, რატომ არ შეიძლებოდა მოსარჩელის მიმართ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს სრული შესაძლებლობა ჰქონდა არსებითად გადაეწყვიტა დავა, რომელიც დაინყო 2018 წლის 4 აპრილს, როდესაც კასატორი სამსახურიდან გათავისუფლდა. გათავისუფლებას წინ უსწრებდა დისკრიმინაციული მოპყრობა სამსახურში. პირველი ინსტანციის სასამართლოს მ-იმა სარჩელით მიმართა 2018 წლის 14 მაისს, ხოლო სასამართლომ გადაწყვეტილება 2019 წლის 5 ივნისს მიიღო. სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე ა. მ-ის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე და გადაწყვეტილება 2021 წლის 15 ნოემბერს მიიღო, რომელიც მოსარჩელეს ჩაპარდა 2022 წლის 1 დეკემბერს. გაჭიანურებული საქმის განხილვა აზრს უკარგავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. მოცემულ შემთხვევაში, არა თუ ჭიანურდება საქმის განხილვა, არამედ ფაქტობრივად ადგილი აქვს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევაა.

6.2 კასატორის – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში თითქმის არ ასახა ის დარღვევები, რაც დაადგინა სადისციპლინო კომისიამ. დარღვევების ჩამონათვალი არის საკმაოდ ვრცელი და მძიმე ხასიათის, რომლის გამოცყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა როგორც რეპუტაციული, ისე მატერიალური ზიანი. სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ა. მ-ის მიერ მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოქმნილი ისეთი დარღვევა, რომლის გამოცყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა 144 000 ლარის ოდენობის ზიანი (2015-2016 წლებში ინვენ-

ტარიზაციის ჩაუტარებლობა, აღნიშნულ საკითხზე საპელაციო სასამართლოს დამატებითი მტკიცებულების სახით წარედგინა საგამოძიებო სამსახურიდან ცნობა, რომ აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარებს გამოძიება), ასევე, საიჯარო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ვალდებულებების შეუსრულებლობიდან წარმოქმნილი მატერიალური ზიანი, არასწორად გაცემული პრემიების/დანამატების საკითხი და სხვ.

კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები: დისციპლინური სამართალნარმოების მასალები, მოხსენებითი ბარათები, სახელმწიფო აუდიტის დასკვნა, წლიური და ინდივიდუალური აუდიტორული შემოწმების ანგარიშები, 2018 წლის 2 აპრილს ა. მ-ის მონაწილეობით ჩატარებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადის-ციპლინო კომისიის №3 სხდომის ოქმი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ახსნა-განმარტებები ადასტურებს, რომ ა. მ-ი არაჯეროვნად ახორციელებდა თავის მოვალეობას და მის მიერ ჩადენილია მძიმე დის-ციპლინური გადაცდომა, კერძოდ:

ა) აუდიტის სამსახურის უფროსის უმოქმედობა, არასათანადო ქმედების განხორციელება, რაც უკავშირდება მუნიციპალიტეტის მერიის ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარებას 2015-2016 წლებში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიაში 2015-2016 წლებში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, როგორც უძრავ-მოძრავი ქონების, ასევე, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში. 2015-2016 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად შედგენილ დასკვნაში გამოვლენილია შემდეგი გარემოებები: 2015-2016 წლებში არ არის მიღწეული მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული მიზნები – ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი, აქტივების და ვალდებულებების, ასევე, ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და სხვ. გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაასკვნა, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. 2015-2016 წლებში აუდიტის სამსახურის უფროსის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არ არის განხორციელებული ისეთი ქმედითი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფდა 2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიაში ინვენტარიზაციის ჩატარებას, როგორიცაა გამგებლისათვის, მუნიციპალიტეტის სამსახურების უფროსებისთვის მოხსენებითი ბარათების, დასკვნების, მონიტორინგების შედეგების,

რეკომენდაციების, ინვენტარიზაციის ჩატარების მოთხოვნის გაგზავნა, ინვენტარიზაციის ჩატარების ანგარიშების მოთხოვნა. 2015-2016 წლებში ინვენტარიზაციის ჩატარებლობამ გამოიწვია მუნიციპალიტეტის მერიაში ინვენტარიზაციის ჩატარების გართულება. მოსარჩელის მიერნარდგენილია შპს „ა...ის“ 2017 წლის 31 მარტის აუდიტორული დასკვნა „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შესახებ“, საიდანაც დასტურდება, რომ წლების განმავლობაში მოუგვარებელმა პრობლემებმა და ინვენტარიზაციის ჩატარებლობამ სრული ქაოსი შექმნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის კუთხით. ამავე დასკვნით, გამოვლინდა დანაკლისი 144 000 ლარის ოდენობით და გაიცა ჩატარებულ ინვენტარიზაციის შედეგებზე რეკომენდაციები და წინადალებები. აუდიტის სამსახურის ...ს ასევე არ განუხორციელება ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები: ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილ სხვაობებს უნდა მიეცეს სათანადო შეფასება, რაზეც აუდიტის სამსახურის მიერ არ განხორციელებულა შესაბამისი რეაგირება. ასევე, არ მოუხდენია არანაირი რეაგირება სხვა რეკომენდაციებზე, რაც მიმართული იქნებოდა შემდგომში მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაციის სრულყოფისაკენ. აუდიტის ანგარიშზე თანდართული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღნერის ოქმი №1 შედგენილია გარკვეული სახის ხარვეზებით, რაც გამოიხატება შემდეგი: არ არის მითითებული რომელი ქონება რომელ სამსახურს ეკუთვნის, ასევე, ხშირ შემთხვევაში ინვენტარიზაციის ობიექტებზე არ არის მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომერი. აღნიშნულმა ხარვეზებმა შემდგომში გაართულა ინვენტარიზაციის ჩატარება. აუდიტის სამსახურის ...ს არც აღნიშნულ ხარვეზზე არ აქვს ყურადღება გამახვილებული და არ აქვს გაცემული შესაბამისი რეკომენდაცია. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების ინვენტარიზაციის სირთულეებზე მიუთითებს ასევე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თ. ა-ის 20.02.2018 წლის წერილიც, საიდანაც ირკვევა, რომ 2017 წლის 26 დეკემბერს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიაში დასრულდა ინვენტარიზაცია, სადაც საკმაოდ გართულდა ინვენტარის აღნერა, ნაშთების შედარება, ვინაიდნ წლების განმავლობაში არ ტარდებოდა შესაბამისი საინვენტარიზაციო ლონისძიებები, არ ხდებოდა ცვეთის დარიცხვა და უხეშად ირღვეოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №702011 პრძანება. ზემოაღნიშნული მსჯელობა მიუთითებს, რომ 2015-2016 წლებში, ასევე, შემდგომში აუდიტის სამსახურის ...ის უმოქმედობამ გამოიწვია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძირითადი აქ-

ტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის გაძნელება, ასევე, 2017 წლის 31 მარტის აუდიტორული დასკვნით გამოვლენილი დანაკლისით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მოსარჩელის მტკიცება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შესახებ არ შეესაბამება სიმართლეს. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული აუდიტის დასკვნიდან ცნობილი გახდა 144 000 ლარის დანაკლისის თაობაზე, ა. მ-ის არ განუხორციელება არცერთი ქმედითი ღონისძიება, რომ გამოევლინა დანაკლისის საფუძვლები, მათ შორის, არ გაუცია მერზერეკომენდაცია, რომ მიერადოთ სათანადო ორგანოებისათვის. ყაზბეგის მერმა მხოლოდ აუდიტის სამსახურის ახალი ...ის, მ. ს-ეის, რეკომენდაციის საფუძველზე, 2019 წლის 7 ივნისს მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს შესაბამისი განცხადებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს დამატებით მტკიცებულებად ნარედინა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის 2020 წლის 22 აპრილის №13/19-22255 წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ ყაზბეგის მერიის შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული ძირითადი აქტივებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, ასევე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 7 ივნისის წერილის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №092040919001 საქმეზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კუთვნილი, დიდი ოდენობის ქონების გაფლანგვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღსანიშნავია, რომ ა. მ-იმა არც სახელმწიფო აუდიტის ანგარიში ამ საკითხზე მითითების შემდეგ არ განახორციელა დანაკლისის საფუძვლების გამოკვლევა, შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა. ა. მ-ის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვანმა შესრულებამ ზიანი მიაყენა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე, მისი უმოქმედობიდან ჩანს მისი არასა-თანადო, არაგულისხმიერი და კანონსაწინააღმდეგო დამოკიდებულება დაკავებული თანამდებობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიმართ;

ბ) აუდიტის სამსახურის უფროსის მიერ არ განხორციელებულა გამგეობის/მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება და კონტროლი. წლების განმავლობაში მოიჯარეების მხრიდან ადგილი ჰქონდა საიჯარო ქირის გადაუხდელობას, რითაც მატერი-

ალური ზიანი მიადგა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულებებს, რაზე-დაც აუდიტის სამსახურის ...ს ასევე არანაირი რეაგირება არ მოუხდებია. აღნიშნული ქმედებით ა. მ-იმა დაარღვია შიდა აუდიტის დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი. აღნიშნულ დარღვევას ადასტურებს, მოსარჩელის პოზიციაც – 2018 წლის 2 აპრილის სადისციპლინო კომისიის სხდომაზე მოსარჩელემ განაცხადა, რომ წლების განმავლობაში საიჯარო ქირის გადაუხდელობა არ წარმოადგენს დარღვევას და საგანგაშო ფაქტად არ მიაჩნია. ....ის 05.02.2018 წლის № 100/05.02.18 მოხსენებით ბარათში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის მიმართ, ა. მ-ი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მისი სუბიექტური მოსაზრების გამო, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ არ ყოფილა გაცემული რეკომენდაცია საიჯარო დავალიანებების ამოღების შესახებ. ამავე წერილში ის უთითებს, რომ დავალიანება იმ დროისთვის ერიცხება მხოლოდ ორ დამქირავებელს, ა(ა)ის სასწავლო ინტელექტუალურ ცენტრ „...ს“ – 4100 ლარი და შპს „ნ...ს“ – 76.77 ლარი. სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის და სტატისტიკის ....ის – მ. მ-ის 14.02.2018 წლის № 150.14.02.2018 № 12809.0-2018 წლის მოხსენებითი ბარათებიდან ირკვევა, რომ იმ დროისათვის დავალიანება ერიცხება 5 დამქირავებელს, საერთო თანხით 12 957 ლარი, მათ შორის, ა(ა)ის სასწავლო ინტელექტუალურ ცენტრ „...ს“ ორი წლის იჯარის ქირა – 8200 ლარი, დამატებული 1476 ლარი პირგასამტებლო, ერთობლიობაში 9676 ლარი. სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის და სტატისტიკის ....ის – მ. მ-ის მიერ წარმოდგენილია საიჯარო ქირის პირგასამტებლობების ოდენობა წლების მიხედვით 2013 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, რაც იმის მანიშნებელია, რომ წლების განმავლობაში არ ხდებოდა ხელშეკრულებების ჯეროვანი შერულება. ამასთანავე, საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის, ქონების მართვის, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის 2016 წლის აუდიტორული შემოწმების ანგარიში, რომელშიც არ არის ასახული საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო ხელშეკრულების დარღვევის ფაქტები, ასევე, დასაკისრებელი პირგასამტებლოს ოდენობები, მაშინ როგორ ზემოაღნიშნულ მ. მ-ის მოხსენებით ბარათში 2016 წელს იჯარის ხელშეკრულების დარღვევისათვის პირგასამტებლოს ოდენობად მითითებულია 1404 ლარი, რაც ადასტურებს, რომ 2016 წელს ადგილი ჰქონდა იჯარის ხელშეკრულებების დარღვევას, რომელიც აუდიტის სამსახურის ....ის 2016 წლის აუდიტორული შემოწმების აქტში არ ასახულა. სასამართლოში წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმების 2013-2014 წწ., 2015 წლის ანგარიშები, სადაც ასევე, არ არის ასახული მოიჯარეთა მიერ ხელ-

შეკრულების დარღვევის ფაქტები საიჯარო ქირის გადაუხდელობის ნაწილში. ზემოთ მოცემული მსჯელობა და მტკიცებულებათა შეფასება ცხადყოფს აუდიტის სამსახურის ...ის მიერ თავის მოვალეობათა არა-ჯეროვან შესრულებას – იჯარის ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებზე არ არის დაწერილი შესაბამისი დასკვნები, სადაც ასახული იქნებოდა დასარიცხი ჯარიმების/საურავების ოდენობა. აღნიშნული დასკვნები რეკომენდაციებთან ერთად არ არის გაგზავნილი შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებისათვის.

გ) ა. მ-ის მიერ არ ხდებოდა სახელფასო დანამატის გაცემის სისწორის გამოკვლევა, რითაც მან დაარღვია შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი, რომლის თანახმად, არ შესრულდა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესწავლა, შეფასება. ასევე, დაარღვია შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი, რომელიც ავალებს აუდიტის სამსახურს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ პირების ასიგნებების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობებისა და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების შესწავლა-შეფასებას და შესაძლო დარღვევების, ხარვეზების და რისკების განსაზღვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას. მოსარჩელის პოზიციით მას არ ევალებოდა აღნიშნული საკითხის კელევა, ვინაიდან დანამატის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი. სახელმწიფო აუდიტის დასკვნის შემაჯამებელი მიმოხილვის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „2015 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გაიცა 97,9 ათასი ლარის დანამატი. გაცემის საფუძვლად მითითებულია აღდგომის, გიორგობის და ახალი წლის დღესასწაულები, მაშინ როდესაც ამ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა დანამატის გაცემას აღნიშნული მოტივით არ ითვალისწინებდა.“ 2016 წლიდან დანამატის გაცემა დაიწყო საჯარო მოხელეების ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის, როგორც წესი, ერთსა და იმავე პირებზე, თუმცა აუდიტის სამსახურის ...ის მიერ არ ხდებოდა სახელფასო დანამატის გაცემის კანონიერების გამოკვლევა. აუდიტის სამსახურის ...ზე, ა. მ-იზე 2016-2017 წლებში გაიცემოდა სახელფასო დანამატი ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით სისტემატურად.

დ) მოსარჩელეს არ განუხორციელება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშში დაფიქსირებული სხვა დარღვევების შემოწმება და მონიტორინგი. მოსარჩელის პოზიციაა, რომ მას აღნიშნული დასკვნა არ ჩაპარებია. მოპასუხის მიერ წარმოდგენილია წერილები, რომელებიც ადასტურებს, რომ ოქტომბრის თვეში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შესულია საქართველოს სახელმწიფო აუდი-

ტის 06.10.2017 წლის №08089/18 ნერილი, რომლითაც ყაზბეგის მუნი-  
ციპალიტეტის გამგეობას გაეგზავნა სახელმწიფო აუდიტის 2017 წლის  
6 ოქტომბერს დამტკიცებული №52/36 ანგარიში. ამავე ნერილით ყაზ-  
ბეგის მუნიციპალიტეტის ...ის მაშინდელ ხელმძღვანელს, გ. ქ-ის დაე-  
ვალა აღნიშნული დასკვნიდან გამომდინარე დარღვევებზე სათანადო  
რეაგირების განხორციელება. ასეთივე შინაარსის ნერილები შევიდა  
ყაზბეგის მუნიციპალიტეტში უკვე ახალი ხელმძღვანელის, ა. ზ-ის მე-  
რობის პერიოდში, კერძოდ, სახელმწიფო ონბუნებულის გუბერნატო-  
რის ადმინისტრაციიდან 15/12/2017 ნელს №04868 ნერილი, შემდგომში  
იმავე უწყებიდან განმეორებითი ნერილები, რადგან არ იყო განხორცი-  
ელებული სათანადო რეაგირება. მოსარჩელის განმარტებით, ის არ იც-  
ნობდა აღნიშნულ ნერილებს. მოსარჩელის ასეთი პოზიცია არ შეესაბა-  
მება სიმართლეს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ არც ერთ ხელ-  
მძღვანელს არ ჩაეყენებინა აუდიტის სამსახურის ...ი საქმის კურსში,  
მაშინ როდესაც სახელმწიფო აუდიტის დასკვნასთან დაკავშირებულ  
საკითხებზე რეაგირების მოხდენა უმუალოდ აუდიტის სამსახურის უფ-  
როსის მოვალეობებში შედის. ამასთანავე, სახელმწიფო აუდიტის დას-  
კვნა ქვეყნდება საჯაროდ და იმ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელის-  
თვის ცნობილი იყო, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სახელ-  
მწიფო აუდიტის შემოწება, რაშიც, როგორც თვითონ აცხადებს, თა-  
ვადვე იყო ჩართული, სულ მცირე დასკვნის გამოცემიდან 6 თვის გან-  
მავლობაში უნდა მოეკითხა, თუ რა შედეგებით დასრულდა შემოწება  
ან მოექცენა სახელმწიფო აუდიტის ვებგვერდზე. მისი მხრიდან საწი-  
ნააღმდეგო ქმედება, მეტყველებს მხოლოდ საქმისადმი უპასუხის-  
მგებლი დამოკიდებულებაზე.

ე) დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის  
უფროსს, ა. მ-ის 2014 წლიდან გამგებლისთვის/მერიისთვის არ წარუდ-  
გენია სამსახურის საქმიანობის ანგარიში. მოსარჩელის მიერ წარმოდ-  
გენილია აუდიტის სამსახურის აუდიტორული შემოწმების წლიური და  
ინდივიდუალური აქტები, რომლებსაც ის წარუდგენდა ხელმძღვანე-  
ლობას. აღნიშნული აქტები არ არის სამსახურის საქმიანობის ანგარიში.  
სამსახურის საქმიანობის ანგარიში არის შიდა აუდიტის დებულებით  
განსაზღვრული აუდიტის სამსახურის ფუნქციების შესრულების ქრო-  
ნოლოგიური აღწერა, მათი შესრულების განხორციელების ეტაპების და-  
ფიქსირება.

ვ) მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყო-  
ფილებაში არ ინახება 2014 წლიდან მის მიერ განეული მუშაობის შესა-  
ხებ ანგარიში წარდგენილი გამგებლისა, საკურებულოსა და პარმონიზა-  
ციის ცენტრისათვის. აუდიტის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის  
მე-5 პუნქტის თანახმად (2014 წლის 27 ნოემბრის რედაქცია), აუდიტის

სამსახური ვალდებულია შიდა აუდიტის ანგარიში წარუდგინოს გამგებელს, საკრებულოსა და პარმონიზაციის ცენტრს. მოსარჩელის განმარტება, რომ მას არ ევალებოდა ზემოაღნიშნული ვალდებულების განხორციელება, უსაფუძვლოა.

ზ) მერიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული არ არის სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმა. ამდენად, გაურკვეველია სამსახურის უფლებამოსილების პროცესის მიმდინარეობა. დამტკიცებული წლიური გეგმა არის შიდა აუდიტის სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც ლეგიტიმურს ხდის მის მიერ განხორციელებულ საქმის-ნარმოებას. მართალია, მოსარჩელემ წარადგინა დასამტკიცებლად 2018 წლის სამუშაო გეგმა, მაგრამ შემდგომში ისე, რომ არ გაურკვევია დამტკიცდა თუ არა ის, განხორციელა ინდივიდუალური სახის აუდიტორული შემოწმება, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან დარღვევას და ცხადყოფს მოსარჩელის ზერელე დამოკიდებულებას თავისი საქმიანობისადმი.

თ) აუდიტის სამსახურის უფროსს, დებულების მე-7 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წლების განმავლობაში არ შეუმუშავებია შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა. მოსარჩელის განმარტებით, მან არ შეიმუშავა აღნიშნული პროგრამა, რადგან არც სხვა უწყებებს არ აქვთ შემუშავებული. მოსარჩელის აღნიშნული არგუმენტი ვერ გაამართლებს მის მიერ თავის ვალდებულების შეუსრულებლობას.

ი) არ ხდებოდა მუნიციპალიტეტის როგორც გამგეობის, ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული (ა)იპ-ების ვალდებულებების აღების, შესყიდვების პროცედურების, მიზანშენონილობის შესწავლა, ანალიზი, შეფასება. აღნიშნული დარღვევები ასევე დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის დასკვნაში, რომელიც აუდიტის სამსახურის ...ის მიერ არ იყო განხორციელებული სათანადო რეაგირება.

კ) ...ის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებისას, კომისიამ დაადგინა, რომ შიდა აუდიტის დებულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, არ ხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი. მართალია, მოსარჩელის მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მის მიერ ხორციელდებოდა გარკვეული სახის რეკომენდაციების გაცემა, მაგრამ არა იმ საკითხებზე, რომელიც ზემოთ აღინიშნა და რომლებზეც რეაგირების განუხორციელებლობამ გამოიწვია მუნიციპალიტეტისათვის ზიანის მიყენება, კერძოდ, აუდიტის სამსახურის ...ის მიერ არ ხდებოდა მონიტორინგის განხორციელება და რეკომენდაციების გაცემა იჯარის ხელშეკრულებების ჯეროვან შესრუ-

ლებასთან, პირგასამტეხლოს მოთხოვნასთან, სახელფასო დანამატების გამოკვლევასთან, ინვენტარიზაციის საკითხებთან დაკავშირებით და ა. შ. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სანინაალმდეგოს – პირიქით, ის აცხადებს, რომ მას შეეძლო არ გაეცა აღნიშნულ საკითხებზე რეკომენდაცია, არ განეხორციელებინა მონიტორინგი, ვინაიდან მას ამის უფლებას აძლევს კანონი, მას აქვს უფლება თავის შეხედულებით განსაზღვროს საკითხები, რომლებზეც საჭიროა რეაგირების მოხდენა. მოსარჩელე აპელირებს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლზე, რომელიც ანესებს შიდა აუდიტის სუბიექტისა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს, თუმცა აღნიშნული მუხლის დანაწესი არ გულისხმობს შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობას, ის თავისი საქმიანობაში შეზღუდულია კანონმდებლობით, მოქმედებს და ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, იგივალდებულია დაიცვას შიდა აუდიტის სუბიექტის დებულება. დისციპლინური წარმოებისას დადგინდა მოპასუხის მიერ შიდა აუდიტის სამსახურის დებულების პუნქტების/ქვეპუნქტების დარღვევა, აუდიტის სამსახურის ...ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება, რაც ასევე, დაადასტურა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშმა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სადისცილინო კომისიის 02.04.2018 წლის №3 სხდომის ოქმი ზედმინევნით პასუხობს კანონის მოთხოვნებს, კერძოდ: კომისიის მიერ დეტალურად არის განერილი სამსახურებრივი ფუნქციები და მოვალეობები, რომლებიც არ შეასრულა დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდინა პირმა, დისციპლინური გადაცდომის აღნერა, ჩადენის დრო და ადგილი, დისციპლინური გადაცდომის მძიმე ხასიათი, ასევე სხვა ინფორმაცია, რამაც განაპირობა მოსარჩელისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ერთეულის დასკვნა კანონის შესაბამისად გადაეგზავნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერს, რომელმაც გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადებით მინიჭებული უფლება მოხელისათვის დასკვნით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე და 2018 წლის 4 აპრილს გამოსცა ბრძანება №227: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის – ა. მ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს მოსარჩელე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა დისციპლინურ წარმოებაში, ესწრებოდა და მონაწილეობას იღებდა დისციპლინური კომისიის 02.04.2018 წლის სხდომაში, მისთვის ცნობილი იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რო-

მელთა საფუძველზეც გამოიცა სადავო ბრძანება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სადისციპლინო კომისიის 02.04.2018 წელს მიღებული გადაწყვეტილება და მის საფუძველზე გა- მოცემული 04.04.2018 წლის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის №227 ბრძანება სრულ თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

კასატორის განმარტებით, ა. მ-იმა ჩაიდინა მძიმე დისციპლინური გადაცდომა, რითაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა ყაზ- ბეგის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე, ზიანი მიადგა საჯარო ინტე- რესს, საჯარო დაწესებულების რეპუტაციას, იმდენად რამდენადაც, სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში დარღვევათა ჩამონათვალი არის საკ- მაოდ ვრცელი და აუდიტის სამსახურის გამართული მუშაობის შემთხვე- ვაში ეს დარღვევები მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი. დისციპლი- ნურმა გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რამაც გამორიცხა ამ პირის მიერ მომა- ვალში სამსახურებრივი მოვალეობათა ჯეროვანი შესრულების შესაძ- ლებლობის განხილვა, მით უფრო, რომ მოსამარჩელის თანამდებობიდან გამომდინარე, მას მოეთხოვებოდა საჯარო მოხელისათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კომპეტენ- ციისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტი.

6.3 კასატორის – მ. ს-ეის განმარტებით, გასაჩივრებულ გადაწყვე- ტილებაში პრაქტიკულად საერთოდ არ არის ასახული ის დარღვევები, რაც დაადგინა სადისციპლინო კომისიამ და შემდგომში პირველი ინ- სტანციის სასამართლომ. სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი და- საბუთების გარეშე არ ჩათვალა ა. მ-ის მიერ ჩადენილი დარღვევები დისციპლინურ გადაცდომად და კანონის არასწორად გამოყენებით და- ადგინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავიდან უნდა გამოიკვლი- ოს ა. მ-ის საქმე. ადმინისტრაციულ ორგანოს სადავო აქტი გამოცემუ- ლი აქვს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევის და შეფასების საფუძ- ველზე.

ა. მ-ის მიერ აუდიტის სამსახურის უფლებამოვალეობების არაჯე- როვნად განხორციელების გამო მატერიალური ზიანი მიადგა ყაზბეგის მუნიციპალიტეტს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის რეპუტაციას. აუდიტის სამსახურის ...ის რეპუტაცია შეილახა იმდენად, რომ გამოი- რიცხა მის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულება, კერძოდ: 2015-2016 წლებში არ მომხდარა ინვენტარიზა- ცია, რაზედაც ა. მ-იმა, როგორც აუდიტის სამსახურის ...მა არ განახორ- ციელა სათანადო რეაგირება (ამ პერიოდში მის მიერ არ განხორციელე- ბულა საჭირო რეკომენდაციების გაცემა, მონიტორინგი და კონტრო- ლი) და შედეგად ყაზბეგის მუნიციპალიტეტს მიადგა ზიანი 144 000 ლა-

რის ოდენობით. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 31 მარტის აუდიტორული დასკვნა „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შესახებ“. ამასთანავე, 2015-2016 წლებში ინვენტარიზაციის ჩატარებლობამ გამოიწვია მუნიციპალიტეტის მერიაში ინვენტარიზაციის ჩატარების გართულება, კერძოდ, ზემოხსენებული დასკვნიდან დასტურდება, რომ წლების განმავლობაში მოუგვარებელმა პრობლემებმა და ინვენტარიზაციის ჩატარებლობამ სრული ქაოსი შექმნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის კუთხით. ამავე დასკვნით, გამოვლინდა დანაკლისი 144 000 ლარის ოდენობით და გაიცა ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე რეკომენდაციები და წინადადებები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მას შემდეგ რაც ა. მ-ისთვის ზემოხსენებული აუდიტორული დასკვნიდან ცნობილი გახდა გამოვლენილი დანაკლისის შესახებ, მის მიერ არ განხორციელებულა არანაირი ქმედითი ღონისძიება, რაც გამოვლენდა დანაკლისის საფუძვლებს. მას არ მიუმართავს რეკომენდაციით მერიისათვის, რათა მოეხდინა შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მ. ს-ეის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძვლზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურას სათანადო რეაგირებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება გამოვლენილი დანაკლისის ფაქტთან დაკავშირებით.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა, რომ წლების განმავლობაში არ ხდებოდა საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარების მიერ, რაზედაც აუდიტის სამსახურის...ს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული ფაქტები არ განუხორციელებია სათანადო რეაგირება. საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო მუნიციპალიტეტს მიადგა ზიანი. უფრო მეტიც, აღნიშნულთან დაკავშირებით 2018 წლის 2 აპრილის სადისციპლინო კომისიის სხდომაზე მოსარჩევემ განაცხადა, რომ წლების განმავლობაში საიჯარო ქირის გადაუხდელობა არ წარმოადგენს დარღვევას და საგანგაშო ფაქტად არ მიაჩნია. ა. მ-ის მიერ საქმისათვის ასეთი მიდგომით მუნიციპალიტეტს მიადგა ზიანი. მის მიერ უნდა განხორციელებულიყო ქმედითი ღონისძიებები არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად. გადამხდელებზე უნდა დაწერილოყო შესაბამისი დასკვნები, სადაც აისახებოდა დასარიცხი ჯარიმების/საურავების ოდენობა, უნდა მომხდარიყო აღნიშნული დასკვნების გაგზავნა შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებისათვის რეკომენდაციებთან ერთად, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის კუთხით.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა არაერთი დარღვევა, საიდანაც ჩანს ა. მ-ის არასათანადო დამოკიდებულება დაკავებული თანამდებობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, მისი ზერელე დამოკიდებულება საქმისადმი, რომაც რეპუტაციული ზიანი მიაყენა ყაზბეგის მუნიციპალიტეტს. დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, მოსარჩელემ არ შეასრულა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების, ვალდებულების აღების, შესყიდვების პროცედურების განხორციელების, გადახდების განხორციელების შესწავლა და შეფასება. მოსარჩელე აცხადებს, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლა და შეფასება ხდებოდა ინდივიდუალურად, როდესაც მოწმდებოდა შესაბამისი სამსახური, ეს პოზიცია არასწორია, ვინაიდან შიდა აუდიტის სამსახურის მიერ უნდა ხორციელდებოდეს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი, რათა თავიდან იქნეს აცილებული დარღვევები და გადაცდომები. შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მიმდინარე პროცესების მონიტორინგი, რათა არ მოხდეს გადაცდომები. სახელმწიფო აუდიტის შემოწმების პერიოდში მუნიციპალიტეტის რიგ სამსახურებში დაფიქსირებული დარღვევები და გადაცდომები პირდაპირი ინდიკატორი შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობის ხარისხის შეფასებისათვის და პასუხისმგებლობა დარღვევების სიმძიმეზე და რაოდენობაზე ასევე ეკისრება შიდა აუდიტის სამსახურს. სახელმწიფო აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევები კი რეპუტაციულ ზიანს აყენებს ადმინისტრაციულ ორგანოს.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა დარღვევა, რომელიც შეეხება მოსარჩელის მიერ 2018 წლის სამუშაო გეგმის დაუმტკიცებლობას. ამასთან დაკავშირებით მოსარჩელემ მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის 2018 წლის 2 აპრილის სხდომაზე განაცხადა, რომ 2018 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცებული ჰქონდა. თუმცა სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმთან დაკავშირებით შესაგებელში განაცხადა, რომ 2018 წლის სამუშაო გეგმა არ ჰქონდა დამტკიცებული, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს მოსარჩელის ნინააღმდეგობრივი განცხადებები, რაც კიდევ ერთხელ ლახავს მის რეპუტაციას.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა დარღვევა, რომელიც შეეხება სახელფასო დანამატების კანონიერების შემოწმებას. მოსარჩელემ ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდა მუნიციპალიტეტის გამგებელი და აღნიშნული სახელფასო დანამატები გაიცემოდა კონკრეტული თანამდებობის პირებზე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პოზიცია არ შეესაბამება შიდა აუდიტის სამსახურისათვის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს. მოცემულ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს შესაბა-

მისი დოკუმენტაცია, თუ რა ზეგანაკვეთური სამუშაოები შესრულდა კონკრეტული პირების მიერ, ამის გამო შიდა აუდიტის სამსახურს უნდა მოეთხოვა შესაბამისი დოკუმენტაცია, ასევე, დასაბუთება თუ რატომ გაიცა კონკრეტულ პირებზე დანამატი.

რაც შეეხება დარღვევას – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშში დაფიქსირებული სხვა დარღვევების შემოწმებასა და მონიტორინგთან დაკავშირებით, მოსარჩევე აცხადებს, რომ მას აუდიტის დასკვნა ოფიციალურად არ ჩაბარებია. ამასთანავე, მოსარჩევის პოზიციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაფიქსირებულ დარღვევებსა და გადაცდომებზე ზომები უნდა მიეღო მუნიციპალიტეტის გამგებელს და არა შიდა აუდიტის სამსახურს, მაშინ როცა აღნიშნული ფუნქცია პირდაპირ შიდა აუდიტის სამსახურის ვალდებულებაა. სახელმწიფო აუდიტის დასკვნა არის საჯარო და ქვეყნდება ვებგვერდზე. ამდენად, ა. მ-ის თავისუფლად შეეძლო გასცნობოდა მითითებულ დასკვნას და გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები (თუნდაც პირადად არ გადასცემოდა აღნიშნული დასკვნა). ა. მ-ისთვის ცნობილი იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტში მიმდინარე აუდიტის შესახებ, მის პირდაპირ ინტერესში უნდა ყოფილიყო აღნიშნული დასკვნის გაცნობა და შესაბამისი რეაგირების განხორციელება. საქმეში წარმოდგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 06/10/2017 წლის №08089/18 წერილი, სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციის 15/12/2017 წლის №04868 წერილი, რომელიც პირდაპირ ავაზებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას აუდიტორული კვლევით გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი წერილის მომზადება და სათანადო რეაგირება უნდა მომხდარიყო აუდიტის სამსახურის მიერ (ფუნქციურად აღნიშნული აუდიტის სამსახურის მოვალეობაა), თუმცა ა. მ-ის მიერ აღნიშნულ დასკვნაზე არ მოხდა არანაირი რეაგირება. ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს აუდიტის სამსახურის არასათანადო დამოკიდებულებას თავისი ვალდებულებებისადმი, რაც ლახავს მის რეპუტაციას და გამორიცხავს მის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას.

ა. მ-ის გათავისუფლების შემდეგ გამოვლინდა მძიმე დარღვევა, რაც საფუძველი გახდა გამოძიების დაწყებისათვის. აღნიშნულის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენლ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, კერძოდ: 2019 წლის 29 მაისს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს მცხეთა-მთიანეთის სამართველოს შპს „ე...თან“ 19.10.2016 წელს დადებული ხელშეკრულების (რომლის საგანია საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი მოწ-

ყობილობის სამუშაოების შესრულება) არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოვლენილ ფინანსურ სხვაობებზე სათანადო რეაგირების თხოვნით. ამჟამად აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ა. მ-ი არაჯეროვნად ასრულებდა მასზე კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით დაკისრებულ მოვალეობებს. საქმეში წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...ის ა. მ-ის 19.05.2017 წლის ამავე მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის, ქონების მართვის, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის აუდიტორული შემოწმების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშის მე-6 გვერდზე (პირველი აბზაცი) აუდიტის სამსახურის ...ის მიერ შეფასებულია ხსენებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების შესრულების შეფასები-სას მითითებულია მხოლოდ ის გარემოება, რომ ამინდის გაუარესების გამო ხელშეკრულებას ვადა გაუგრძელდა 30.05.2017 წლამდე. სასამართლოში წარმოდგენილი იქნა „ს...ს“ ინსპექტორების ექსპერტიზის ანგარიში მთელი რიგი დარღვევებით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მომობის, რომ ა. მ-იმა შემოწმების პერიოდში არასრულყოფილად შეაფასა შპს „ე...თან“ 19.10.2016 წელს დადებული ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობა და არ გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, რაც თავიდან ააცილებდა მუნიციპალიტეტის მიყენებულ მატერიალურ ზარალს და სირთულეებს. აღნიშნული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო დღემდე ყაზბეგის მუნიციპალიტეტში გამართულად არ ფუნქციონირებს საკანალიზაციო ქსელი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის მესახებ“ კანონით და შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული აუდიტის სამსახურის ...ის ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, უნდა შეეფასებინა ა. მ-ის მიერ ჩადენილი დარღვევები, ვინაიდან, აღნიშნული დებულებით და კანონით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა პირდაპირ კავშირშია ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციებისთვის, მიზნებისთვის, საქმიანობისთვის ზიანის მიყენებასთან.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 წაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. მ-ისა და მ. ს-ეის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინებით ა. მ-ის, მ. ს-ეის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. მ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიისა და მ. ს-ეის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება ა. მ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აპსოლუტური საფუძვლები). ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპრელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ა. მ-ი 2014 წლის 11 ნოემბრიდან 2018 წლის 4 აპრილამდე მუშაობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თანამდებობაზე; ბ) 2018 წლის 2 მარტს შედგა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელზეც დღის წესრიგის პირველ საკითხად განისაზღვრა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის – თ. ა-ისა და სოფლის მეურნეობის, ქონების მართვისა და სტატისტიკის ...ის – მ. მ-ის მოხსენებითი ბარათების განხილვა. ამავე კომისიის გადაწყვეტილებით სხდომაზე წარმოდგენილ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის ...ის მოხსენებითი ბარათები ჩაითვალა დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლად; გ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 მარტის № 160 ბრძანების საფუძვლზე ა. მ-ის მიმართ დაიწყო დისციპლინური წარმოება და ამავე დღეს ჩატარდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელზეც დადგინ-

და ზეპირი მოსმენის ჩატარება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის, ა. მ-ის მონაწილეობით; დ) ა. მ-ის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარისგან წერილობით ეცნობა 2018 წლის 2 აპრილის სადისციპლინო კომისიის სხდომისა და მასში მონაწილეობის შესახებ; ე) 2018 წლის 2 აპრილს ჩატარდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის სხდომა (ოქმი №3), რომელზეც დადგინდა ა. მ-ის მიერ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ფაქტი. ამავე კომისიის სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის, ა. მ-ის მიმართ შეფარდებული ყოფილიყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება; გ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის 2018 წლის 2 აპრილის №3 სხდომის ოქმისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის საფუძველზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 4 აპრილის №227 ბრძანებით ა. მ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან; ზ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის 2018 წლის 2 აპრილის სხდომის №3 ოქმი და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ა. მ-ის ჩაბარდა 2018 წლის 5 აპრილს (იხ. სარჩელი, მე-3 ფაქტობრივი გარემოება); თ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 3 ივლისის ბრძანებით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის ვაკანტურ პოზიციაზე დაინიშნა მ. ს.-ე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დანაწესი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას. შრომის თავისუფლება მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ქადაგი დაცულია ორგანული კანონით.

სასამართლო გადაწყვეტას, რომ ზემოაღნიშნული დანაწესი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას. შრომის თავისუფლება მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ქადაგი დაცულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიოს სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო.

საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ შრომის თავისუფლების სა-  
მართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ  
ეროვნული, არამედ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებითაც. კერ-  
ძოდ, საკასაციონ სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური  
და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხ-  
ლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონა-  
ნილესახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს  
თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრო-  
მით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და  
მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, ადამი-  
ანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად,  
ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრო-  
მის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან  
დაცვის უფლება. საკასაციონ სასამართლო აგრეთვე მიუთითებს ეკონო-  
მის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმად,  
დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლე-  
ბის ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეე-  
ბი ვალდებულებას იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შე-  
უწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გა-  
რეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცე-  
ვასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დაწესებულების, სა-  
ნარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფ-  
ლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების  
გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილე-  
ბაზე. ამ მხრივ მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ მუშა-  
კის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზე-  
ბის გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე  
საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმე-  
დითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოად-  
გენს. ხსნებული ვალდებულების ზედმინებითი განხორციელების სა-  
ჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექ-  
ტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერ-  
ძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ,  
თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების  
დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამ-  
საქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმე-  
ბულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფ-  
ლებების დაცვის სავალდებულობის ხარისხს. საჯარო მოსამსახურე  
კონკრეტული გადაწყვეტილების, მით უფრო საჯარო მოხელის თანამ-

დებობიდან გათავისუფლების თაოპაზე გადაწყვეტილების მიღებისას და საჭიროების შემთხვევაში, გათავისუფლების შემდგომი პროცედურების განხორციელებისას შეზღუდულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კანონიერების პრინციპით, რომლის მიხედვით, საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. მისი ნებისმიერი ქმედება უნდა ემსახურებოდეს კანონის უზენაესობის დაცვას და ეფუძნებოდეს კანონისმიერი დათქმის პრინციპს. ამავე შინაარსის დანაწესი გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი კანონიერების პრინციპითაც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თანამდებობიდან ა. მ-ის გათავისუფლების კანონიერება. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნა არის, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს დისკრიმინაციის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით, სასპარატლო თავდაპირველად შეაფასებს ხომ არ დაედო საფუძვლად მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებას დისკრიმინაცია და არსებობს თუ არა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთხით და მდგომარეობის, მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამავე კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოით-

ხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად. კონვენციის მე-12 ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად, კანონით დადგნენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია პირველ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დისკრიმინაციის ცნებას განსაზღვრავს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი და ადგენს „პირდაპირი“ და „ირიბი“ დისკრიმინაციის ლეგალურ დეფინიციას. მითითებულთაგან პირველს მიეკუთვნება იმგვარი მოპყრობა, რომელიც პირს მადისკრიმინირებელი ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან. რაც შეეხება ირიბ დისკრიმინაციას, იგი სახეზეა მაშინ, როდესაც ფორმით ხეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. თუმცა, როგორც ერთ, ისე – მეორე შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელი გარემოებები. ადამიანთა გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს მათი რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსისა და სხვა ამგვარი ნიშნებითა თუ მოტივით. დისკრიმინაცია, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპებს და აკრძალულია როგორც შიდასახელმწიფო ბრივი, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს, იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესებს და დაცული უნდა იყოს გონივრული პრო-

პორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი (დისკრიმინაციის ტესტი).

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო, ისე – ევროსასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულია დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის მეთოდები – ე.წ „შეფასების ტესტები“: საქართველოს საკონსტიტუციო სამართალნარმოება აღიარებს „მკაცრი შეფასებისა“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტს“, რომელთაგან პირველს იყენებს ე.წ „კლასიკური“ (კანონით პირდაპირ გათვალისწინებული) ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის კვლევისას, ხოლო მეორეს – ყველა სხვა შემთხვევასთან მიმართებით. მკაცრი ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ასევე ადგენს დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით. შეფასების ტესტთან მიმართებით ევროსასამართლო არ ადგენს დისკრიმინაციის საფუძვლების იერარქიას, არამედ მიჩნევს, რომ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება, ანუ, თუ არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, ან თუ არ არსებობს გონივრული თანაბარზომიერება ლეგიტიმურ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის (იხ. Mizzi v. Malta, №26111/02).

დისკრიმინაციასთან მიმართებით მტკიცების ტვირთის განაწილებისას, საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლით, რომლის თანახმად, სარჩელის ალძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს განმარტებით, მტკიცების ტვირთი მოცემულ სფეროში შემდეგა: მას შემდეგ რაც მომჩინანი დაადასტურებს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, უკვე მთავრობის ვალდებულებაა დაამტკიცოს, რომ იგი გამართლებული გახლდათ. რაც შეეხება იმას, თუ რა წარმოადგენს prima facie მტკიცებულებას, რომელიც შეძლებს მტკიცების ტვირთის მოპასუხე სახელმწიფოზე გადაკისრებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის წინაშე არსებულ სამართალნარმოებაში არ არსებობს პროცედურული ბარიერები მტკიცებულების მისაღებობასთან დაკავშირებით ან წინასწარგანსაზღვრული ფორმულა მის შესაფასებლად. სასამართლო იღებს დასკვნებს, რომლებიც, მისი აზრით, არის გამყარებული ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის, ისეთი დასკვნებით, რომლებიც შესაძლოა გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა არგუმენტებიდან. დისკრიმინაციის საფუძვლით სარჩელის ალძვრის შემთხვევაში,

მოსარჩელის პროცესუალური ვალდებულებაა მიუთითოს კონკრეტული ფაქტები, ხოლო მოპასუხე ვალდებულია, უარყოს მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ამტკიცოს, რომ დისკრიმინაციის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და, რომ ამ საფუძვლით მოსარჩელის განთავისუფლება არ მომხდარა.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2017 წლის ოქტომბერში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში, მხარი არ დაუჭირა მერობის კანდიდატ ა. ზ-ის. 2017 წლის ნოემბერში გამართულ არჩევნების მეორე ტურში, საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ა. ზ-იმა. ამ უკანასკნელმა უფლებამოსილების დაწყების შემდეგ ა. მ-ის განცხადა, რომ „ერთად ვერ იმუშავებდნენ“ ა. მ-ის განმარტებით, მის მიმართ ადგილი ჰქონდა არათანაბარ მოპყრობას, იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი და სთხოვდნენ სამსახურიდან წასვლას.

საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა დასკვნას, რომ მოსარჩელის განმარტებები არ არის გამყარებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით და არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს შექმნიდა. მოსარჩელის ზოგადი მითითება იმის შესახებ, რომ მის მიმართ ხდებოდა გამომწვევი განცხადებების გაკეთება და არაფორმალურად ყოველთვის გრძნობდა, რომ იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი არ ქმნის საკმარის საფუძველს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის. ამდენად, არ სებობს დისკრიმინაციის დადგენისა და აღნიშნული საფუძვლით მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მიერ მძიმე დისკიპლინური გადაცდომის ჩადენა და ამ საფუძვლით მისი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადაც სამართალურთიერთობა და კავშირებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის მერიის დადგენისათვის. ასეთი დადგენისათვის მოსარჩელის იურიდიულ პირებში საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული კანონის პრინციპებიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურის ნებისმიერი ქმედება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს (კანონიერების პრინციპი); საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება საჯარო სამსახურის პრინციპებისა და

საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე განახორციელოს (ერთგულების პრინციპი); საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით. მას ეკრძალება პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა (მიუკერძოებლობის პრინციპი); საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისთვის პირადად აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ანგარიშვალდებულების პრინციპი).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს მოხელის დისკიპლინური გადაცდომების ჩამონათვალს, კერძოდ, ესენია: а) სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა; ბ) საჯარო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა; გ) ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრიდიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, დისკიპლინური გადაცდომა შესაძლებელია იყოს მძიმე ან მსუბუქი. დისკიპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ, თუ: а) დისკიპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია დისკიპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შეღახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას; ბ) დისკიპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას; გ) დისკიპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებას; დ) დისკიპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურეს, შესამებირს ან საჯარო ინტერესს; ე) მოხელემ უარი თქვა ამ კანონით გათვალისწინებულ შეფასებაზე; ვ) დისკიპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისკიპლინური გადაცდომა.

ზემოაღნიშნული კანონის 93-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დისკიპლინური წარმოების განმახორციელებელი ერთეული დისკიპლინური წარმოების დროს მოპოვებული მსალების ანალიზის შედეგად ადგენს დასკვნას: а) დისკიპლინური გადაცდომის არსებობისა და პირისთვის დისკიპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის შეფარდების ან დისკიპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შეუძლებლობის შესახებ; ბ) დისკიპლინური გადაცდომის არარსებობის შესახებ. 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულე-

ბის ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ერთეულის დასკვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) მოხელისთვის დასკვნით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ან უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე; ბ) მსუბუქი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში – მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათვალისუფლების თაობაზე; გ) დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ერთეულისთვის დასკვნის დასაბუთებული შენიშვნებით დაბრუნების თაობაზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომაა სამსახურიდან გათვალისუფლება. 97-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანაბეჭდ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს. მოხელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს: ა) დისციპლინური გადაცდომა ჩადენილია განზრას თუ გაუფრთხილებლობით; ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის სიმძიმე; გ) მოქმედებს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობა; დ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის შეფასების შედეგები; ე) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის მიზეზი; ვ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა; ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მცდელობა, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგი; თ) სხვა გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრაზე. ამავე კანონის 98-ე მუხლის თანაბეჭდ, სამსახურიდან გათვალისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

საკარისამართლო განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, დისციპლინური გადაცდომისათვის, საჯარო მოხელესთან მიმართებაში შესაბამისი ზემოქმედების ზომის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებით და წესით. ამსთანავე, დისციპლინური გადაცდომის გამოვლენასთან დაკავშირებული პროცედურის სრულყოფილად ჩატარების ვალდებულება, ერთი მხრივ, საჯარო წესრიგის, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო პირის უფლების დაცვის მიზანს უნდა ემსახურებოდეს. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულებიდან გამომდინარეობს ქმედების სწორი კვალიფიკაცია, რაც შესაძლებელია მხოლოდ შესაბა-

მისი ფაქტების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე. სავარაუდო გადაცდომა, თავისი შინაარსით, სრულად უნდა შეესაბამებოდეს კანონით ასეთად მიჩნეული ქმედების ნიშნებს. საჯარო მოხელისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დადასტურდეს შესაბამისი დარღვევის შემცველი ფაქტების არსებობა. ამასთანავე, „...სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ლონისძება, უნდა იყოს დარღვევის სიმძიმის პროპორციული. დარღვევის ჩამდენი მოხელისათვის კონკრეტული სახდელის შერჩევა უფლებამოსილი ორგანოს დისკრეციაა, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მიღებული გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთების საჭიროებას..“ (სუს 2020 წლის 28 მაისის №ბს-623(კ-19) განჩინება).

მოცემულ შემთხვევაში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადის-ციპლინო კომისიის 2018 წლის 2 აპრილის სხდომის №3 ოქმში აღნიშნულია, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის – ა. მ-ის მიერ ჩადენილ იქნა მძიმე დისკიპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატება შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაში, კერძოდ: დებულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, არ ხორციელდებოდა მიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი; დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, არ შეასრულა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების, ვალდებულებების აღების, შესყიდვების პროცედურების განხორციელების, ხელშეკრულების გაფორმების, გადახდების განხორციელების შესწავლა და შეფასება; დებულების მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის ...სა. მ-ის 2014 წლიდან გამგებლისათვის/ მერიისათვის არ წარუდგენია სამსახურის საქმიანობის ანგარიში; დებულების მე-7 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წლების განმვლობაში არ შეუმუშავებია შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა; არ განახორციელა გამგეობის/მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემონბება და კონტროლი, წლების განმავლობაში მოიჯარეების მხრიდან ადგილი ჰქონდა საიჯარო ქირის გადაუხდელობას, რითაც მატერიალური ზიანი მიადგა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებს, რაზედაც ასევე არა-ნაირი რეაგირება არ მოუხდენია; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ გამგეობაში 2015-2016 წლებში ჩატარებული არ იყო ინვენტარიზაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების

ინვენტარიზაციის ჩატარების წესის “თანახმად, რაზედაც ...ს არ მოუხდენია რამე სახის რეაგირება; არ განუხორციელება მონიტორინგი და შემოწმება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშში დაფიქსირებულ სხვა დარღვევებზე; მერის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისარმოების განყოფილებაში არ ინახება 2014 წლიდან მის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარდგენილი გამგებლისა, საკრებულოსა და პარმონიზაციის ცენტრისათვის; მერის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული არ იყო სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმა. ამდენად, გაურკვეველია სამსახურის უფლებამოსილების განხორციელების პროცესის მიმდინარეობა; შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და არც მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში არ შეუმონმებია სახელფასო დანამატის გაცემის კანონიერება, მაშინ როდესაც საკითხის ყოველგვარი შესწავლის გარეშე, სამართლებრივი საფუძვლის არარსებობისას და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამგეობის თანამდებობის პირებზე, მათ შორის, აუდიტის სამსახურის ...ზე – ა. მ-იზე 2016-2017 წლებში გაიცემოდა სახელფასო დანამატი ერთი თვის თანამდებობრივი საარგოს ოდენობით სისტემატურად. ამრიგად, არ მოუხდენია თანხების ხარჯვის კანონიერების შესწავლა და შეფასება; არც მოთხოვნის შემთხვევებში და არც პირადი ინიციატივით ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი არ იყო შიდა აუდიტის სამსახურის წლიური და სტრატეგიული გეგმები; არ ხდებოდა სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი; არ ხდებოდა მუნიციპალიტეტის როგორც გამგეობის/მერიის, ისევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ვალდებულებების აღების, შესყიდვის პროცედურების, მიზანშენონილობის შესწავლა, ანალიზი და შეფასება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არეგულირებს ამავე კანონით განსაზღვრულ დაწესებულებებში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დაწერვის წესსა და პრინციპებს, აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემუშავებისათვის, ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის (1.1 მუხლი). ამავე კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინე-

ბული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, შიდა აუდიტის სუბი-ექტი ფუნქციურად დამოუკიდებელია შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცესში. შიდა აუდიტორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და სხვა ინსტრუქციებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად. დაუშვებელია შიდა აუდიტორის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე სხვაგვარი ზემოქმედება.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შიდა აუდიტი ეხმარება დანესებულებას მიზნების მიღწვაში შემდეგი საქმიანობების განხორციელებით: ა) დანესებულების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება; ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება; გ) დანესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება; დ) დანესებულების საქმიანობის ეკონომიკურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; ე) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება; ვ) დანესებულების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება; ზ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს დანესებულების საქმიანობის სპეციფიკად და არ ენინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ამ კანონის მიზნებს და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

ზემოაღნიშნული კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი: ა) შეიმუშავებს და დანესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს; ბ) კოორდინაციას უწევს შიდა აუდიტორთა საქმიანობას და უნანილებს მათ ფუნქციებს ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად; გ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე; დ) უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე დანესებულების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შეფასებას; ე) უზრუნველყოფს შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას; ვ) თანამშრომლობს პარმონიზაციის ცენტრთან და მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის დოკუმენტაციასა და ინფორმაციას; ზ) ითვალისწინებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონ-

მდებლობის ფარგლებში გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს; თ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის ობიექტის-თვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე; ი) შეიმუშავებს და ახორციელებს შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკარებულოს 2014 წლის 27 ნოემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებულ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებობის შიდა აუდიტის სამსახურის დეპულებაზე (ძალადაცარგულია – 29.06.2018), რომლის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სამსახურის უფროსი: ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას; ბ) დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე; გ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს თანამშრომელთა მორიგიდა დამატებითი შვებულების, მივლინების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე; უზრუნველყოფს შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას; დ) კოორდინაციას უწევს სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობას; უნანილებს მათ ფუნქციებს ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად; აკონტროლებს სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას; ე) პერიოდულად ისმენს თანამშრომელთა ანგარიშებს მათ მიერ განეული მუშაობის შესახებ; ვ) სამსახურის საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს გამგებელს; ზ) შუამდგომლობს სამსახურის მოხელის/მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების მიზნით; თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს გამგებლის ცალკეულ დავალებებს; ი) შეიმუშავებს და დაწესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს; კ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე; ლ) თანამშრომლობს ჰარმონიზაციის ცენტრთან და მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის დოკუმენტაციასა და ინფორმაციას; მ) ითვალისწინებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს; ნ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე; ო) შეიმუშავებს და ახორციელებს შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამას; პ) ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს; ჟ) სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

ამავე დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, სამსახურის ფუნქციებია: 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინაშე არსე-

ბული რისკების მართვის ხარისხის შეფასება; 2. შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზმი და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში; 3. გამგეობის საქმიანობის ეკონომიკურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; 4. გამგეობაში ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენების მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და გადაწყვეტილებების შესაბამისობის შემოწმება და შეფასება; 5. შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების შემუშავება და საანგარიშო წლის დაწყებამდე გამგებლისათვის დასამტკიცებლად წარდგენა; 6. მოთხოვნის შემთხვევაში, დამტკიცებული წლიური და სტრატეგიული გეგმის წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრში; 7. სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი; 8. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება; 9. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ასიგნებების განაწილებისა და ხარჯების კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების შესწავლა, ანალიზი, შეფასება და შესაძლო დარღვევების, ხარვეზებისა და რისკების განსაზღვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; 10. ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება, საქართველოს კანონმდებლობასთან და მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით; 11. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების, ვალდებულებების აღების, შესყიდვების პროცედურის განხორციელების, ხელშეკრულების გაფორმების, გადახდების განხორციელების შესწავლა და შეფასება; 12. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის თვითმმართველობის მიზნებთან თანხვედრისა და შესაბამისობის ანალიზი, მათი ეფექტურობის ამაღლების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; 13. მუნიციპალიტეტის აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება; 14. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი; კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია; გამგებლისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა; 15. ინსპექტირების განხორციელების ფარგლებში ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის წესების შესრულებაზე კონტროლისა და

ზედამხედველობის განხორციელება; 16. შიდა აუდიტის შედეგად შემუშავებულ და გაცემულ რეკომენდაციათა შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი; 17. დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, გამგებელთან შეთანხმებით, მასალების შესაბამის ორგანოების გადაგზავნა; 18. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა; 19. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობა; 20. გამგებლის დავალებების შესრულება; 21. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტებით სამსახურისათვის განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქმეში წარმოდგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის ანგარიში, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების თანახმად, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, საბიბლიოთეკო ფონდებისა და ასევე იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაცია ჩატარდა საანგარიშვებო წლის 1 ოქტომბრის შემდეგ. აღნიშნული ქონებისათვის ბრძანებით განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების სხვადასხვა ვადა. ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები. გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, არ არის მიღწეული მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მუნიციპალიტეტისათვის დაწესებული მიზნები: ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი; აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა; გამოუყენებელი აქტივების

გამოვლენა; ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება; ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება; აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან და სხვ.“

საქმეში ასევე წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შესახებ შპს „ა...ის“ 2017 წლის 31 მარტის აუდიტორული დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესში წამოჭრილმა სირთულეებმა აჩვენა, რომ მიუხედავად საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის ბრძანება №605 მოთხოვნისა, დადგენილი წესების შესაბამისად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოსათვის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულიყო ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, მუნიციპალიტეტის მიერ წლების განმავლობაში არ ტარდებოდა ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, არ დგინდებოდა რეალური ნაშთები, არ ხდებოდა მორალურად და ფიზიურად მოძველებული აქტივების ექსპლუატაციიდან მოხსნა და ჩამონერა, წლების განმავლობაში გახარჯული მატერიალური ფასეულობა (ე.წ. მცირე-ფასიანი) კვლავ აღრიცხვაზე რჩებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე და არ დგებოდა სათანადო დოკუმენტი მათი ჩამონერისათვის. საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის 35-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, პასუხისმგებელი პირების შეცვლისას ტარდება მათ პასუხისმგებალობაში არსებული აქტივების ინვენტარიზაცია, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც მტკიცდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, თუმცა მუნიციპალურ ქონებაზე არ არის გამოყოფილი მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, არაა გაფორმებული ხელშეკრულებები მატერიალურ პასუხისმგებლობაზე და საერთოდ ვინ არის პასუხისმგებელი მუნიციპალიტეტის ქონებაზე აუდიტისადმი უცნობია, აგრეთვე მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დროებით სხვაზე გადაცემულ ქონებაზე სათანადოდ არ ფორმდებოდა ქონების თხოვების (ან იჯარა) ხელშეკრულება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში მოუგვარებელმა პრობლემებმა სრული ქაოსი შექმნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის კუთხით. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით გრძელვადიანი აქტივების (შენობა-ნაგებობები, მი-

ნა, დაუმთ. მშენებლობა) საპალანსო ღირებულება 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით შეადგენს 15536194.36 ლარს, სატრანსპორტო საშუალებების – 1354451.00 ლარს, სხვა ძირითადი საშუალებების – 486504.71 ლარს, სასაქონლო მატერიალური მარაგების – 221486.37 ლარს, ავტოსათადარიგო ნაწილების – 58716.39 ლარს, ხოლო ტერიტორიულ ერთეულებზე რიცხული ქონების ღირებულება – 81080.20 ლარს. 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით ჩატარებული ინვენტარიზაციით გრძელვადიანი აქტივების (შენობა-ნაგებობები, მიწა, დაუმთ. მშენებლობა) ინვენტარიზაციის შედეგად სხვაობამ (ნაკლებობამ) შეადგინა 6077.00 ლარი, სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში ინვენტარიზაციის სხვაობამ (ნაკლებობამ) – 6626.00 ლარი, სხვა ძირითად საშუალებებში ინვენტარიზაციის სხვაობამ (ნაკლებობამ) შეადგინა 9168.00 ლარი, სასაქონლო მატერიალური მარაგებში ინვენტარიზაციის (ნაკლებობამ) შეადგინა 38489.30 ლარი, ავტო-სათადარიგო ნაწილების სხვაობამ (ნაკლებობამ) შეადგინა 52722.40 ლარი, ხოლო ტერიტორიულ ერთეულებზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის სხვაობამ (ნაკლებობამ) შეადგინა 30999.05 ლარი. ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა შემდგომი ექსპლუატაციისათვის უვარესი, მორალურად მოძველებული და ფიზიკურად გაცვეთილი აქტივები, რაც მითითებულია აღნერის უწყისებში, რომლებიც ექვემდებარება ბალანსიდან ჩამონერას".

ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, რომელსაც ასევე დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანო (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის ანგარიში), საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მითითებას, რომ 2015-2016 წლებში აუდიტის სამსახურის ...ის მიერ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არ არის განხსნორციელებული ისეთი ქმედითი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფდა 2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიაში ინვენტარიზაციის ჩატარებას, როგორიცაა გამგებლისათვის, მუნიციპალიტეტის სამსახურების უფროსებისთვის მოხსენებითი ბარათების, დასკვნების, მონიტორინგების შედეგების, რეკომენდაციების, ინვენტარიზაციის ჩატარების მოთხოვნის გაგზავნა, ინვენტარიზაციის ჩატარების ანგარიშების მოთხოვნა. მართალია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია 28.05.2015 წლით დათარიღებული საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის აუდიტორული შემოწმების ანგარიში და 08.08.2016 წლით დათარიღებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ყ...ში“ აუდიტორული შემოწმების ანგარიში, სადაც ...ს გაცემული აქვს ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდაცია, თუმცა შემდეგში რა ქმედითი ღონისძიებები იქნა გატარებული ამ კუთხით და ახდენდა თუ არა შიდა აუდიტის სამსახური შემდგომ მონიტორინგს, შესაბამისი მტკიცებუ-

ლება მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია, რაც ყაზეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ნოემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების 3.7 მუხლის შესაბამისად, აუდიტის სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს.

საქმეში წარმოდგენილია ა. მ-ის 2018 წლის 5 თებერვლის მოხსენებითი ბარათი (№ 100) მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემულ ქონებასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი განმარტავს შემდეგს: „მოქმედი საიჯარო ხელშეკრულებით გაცემულია სულ 18 ობიექტი, ამათგან მუნიციპალიტეტის დაგაღლიანება აქვს 2 დამტკირავებელს, ესენია: ა(ა)იპ სასწავლო ინტელექტუალური ცენტრი „...ი“ – 4100 ლარი, შპს „ნ...“ – 76,77 ლარი. რაც შეეხება მონიტორინგს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ არ ყოფილა გაცემული რეკომენდაცია საიჯარო დაგაღლიანების შესახებ, რადგან მუნიციპალიტეტის მხრიდან ხდებოდა წერილობითი შეტყობინებების გაგზავნა დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით მოიჯარებთან“.

ამავდროულად, საქმეში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის და სტატისტიკის ...ის – მ. მ-ის 14.02.2018 წლის № 150 და 2018 წლის 9 თებერვლის № 128 მოხსენებითი ბარათები, რომლებმიც აღნიშნულია, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების ვადების გათვალისწინებით დროულად არ ხდებოდა თანხების ჩარიცხვა მოიჯარების მიერ. საიჯარო ქირის პირგასამტებლო წლების მიხედვით შეადგენს: ა) 2013 წელს – 152 ლარს; ბ) 2014 წელს – 215 ლარს; გ) 2015 წელს – 185 ლარს; დ) 2016 წელს – 1404 ლარს; ე) 2017 წელს – 5327 ლარს, სულ: 7283 ლარს. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების გათვალისწინებით 2018 წელს დროულად არ მოხდა თანხების ჩარიცხვა მოიჯარების მიერ. ამავე მოხსენებით ბარათში მითითებულია იმ მოიჯარების სია, რომლებმაც ვადაგადაცილებით გადაიხდეს წლიური საიჯარო ქირა ან საერთოდ არ გადაიხდეს და მათი პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენს გადაუხდელი საიჯარო ქირის 0,1 პროცენტს, კერძოდ: 1. ლ. ა-ის – 45 ლარს; 2. ვ. პ-ის – 88 ლარს; 3. ა(ა)იპ სამთო-სათხილამურო სკოლა „მ...ს“ – 2920 ლარს; 4. ი. ს-ის – 228 ლარს; 5. ა(ა)იპ სასწავლო ინტელექტუალური ცენტრი „...ის“ – 1476 (პირგასამტებლო) + 8200 (ორი წლის იჯარის ქირა)= 9676 ლარს.

გარდა იმისა, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც გააქარწყლებდა ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს, მოსარჩელე 2018 წლის 5 თებერვლის მოხსენებითი ბარათში თავად ადასტურებს, რომ შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ არ ყოფილა

გაცემული რეკომენდაცია საიჯარო დავალიანებების შესახებ.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის 2018 წლის 2 აპრილის სხდომის №3 ოქმში მითითებულ დასკვნას, რომ მოსარჩელემ არ განახორციელა გამგეობის/მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება და კონტროლი, წლების განმავლობაში მოიჯარების მხრიდან ადგილი ჰქონდა საიჯარო ქირის გადაუხდელობას. აღნიშნულით კი, მოსარჩელის მიერ დარღვეულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ნოემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი, რომლის თანახმად, აუდიტის სამსახურის ფუნქცია არის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების, ვალდებულებების აღების, შესყიდვების პროცედურის განხორციელების, ხელშეკრულების გაფორმების, გადახდების განხორციელების შესწავლა და შეფასება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „2015 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გაიცა 97,9 ათასი ლარის დანამატი. გაცემის საფუძვლად მითითებულია აღდგომის, გიორგობის და ახალი წლის დღესასწაულები. ამ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა დანამატის გაცემას აღნიშნული მოტივით არ ითვალისწინებდა. მუნიციპალიტეტმა ხარვეზი გამოასწორა 2016 წელს, კერძოდ, სამართლებრივი აქტების შესაბამისად, დანამატი გაიცა საჯარო მოხელეების ზეგანაკვეთური მუშაობისთვის“.

ამასთან, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ნოემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, აუდიტის სამსახურის ფუნქცია არის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების, ვალდებულებების აღების, შესყიდვების პროცედურის განხორციელების შესწავლა და შეფასება. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სამსახურის ფუნქცია არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პრებში ასიგურების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების შესწავლა, ანალიზი, შეფასება და შესაძლო დარღვევების, ხარვეზებისა და რისკების განსაზღვრის მიზნით რეკომენდაციების შემსავება. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ არ მომხდა-

რა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესწავლა და შეფასება (მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში) საკასაციო პალატა იზიარებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის 2018 წლის 2 აპრილის სხდომის №3 ოქმში მითითებულ დასკვნას, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულია დებულების მე-3 მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 ნოემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებულ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის უფროსი სამსახურის საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს გამგებელს. ამავე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, სამსახურის უფროსი შეიმუშავებს და ასორციელებს შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამას. საკასაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ მოსარჩელის მიერ გამგებლისთვის წარდგენილი 2015-2016 წლების წლიური და ინდივიდუალური შემოწმების ანგარიშები, ასევე 2017 წლის ინდივიდუალური ანგარიში, არ წარმოადგენს სამსახურის საქმიანობის ანგარიშს. ამასთან, მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მას წლების განმავლობაში არ შეუმუშავებია შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის 2018 წლის 2 აპრილის სხდომის №3 ოქმში მითითებულ დასკვნას, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულია დებულების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ და „ო“ ქვეპუნქტები.

ასევე იზიარებს საკასაციო სასამართლო ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისიის 2018 წლის 2 აპრილის სხდომის №3 ოქმში მითითებულ დასკვნას, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №33 დადგენილებით დამტკიცებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების (2014 წლის რედაქცია) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი (სამსახურის უფროსი შიდა აუდიტის წლიური ანგარიში წარუდგინოს გამგებელს, საკრებულოს და პარმონიზაციის ცენტრს მომდევნო წლის ინვერსის ბოლომდე), ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ დასახელებული ნორმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას, რომ მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცით დასტურდება, რომ იგი სხვადასხვა სამსახურების მიმართ

გასცემდა გარკვეულ რეკომენდაციებსა და ახდენდა ამ რეკომენდაციების შესრულებაზე შემდგომ მონიტორინგს, თუმცა საყურადღებოა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ აქარნყლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის 6 ოქტომბრის ანგარიშში და შპს „ა...ის“ 2017 წლის 31 მარტის აუდიტორული დასკვნაში მითითებულ ფაქტებს იმის შესახებ, რომ 2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, მუნიციპალიტეტის მიერ წლებში განმავლობაში არ ტარდებოდა ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, არ დგინდებოდა რეალური ნაშთები, არ ხდებოდა მორალურად და ფიზიკურად მოძველებული აქტივების ექსპლუატაციიდან მოხსნა და ჩამონერა, წლების განმავლობაში გახარჯული მატერიალური ფასეულობა (ე.წ. მცირეფასიანი) კვლავ აღრიცხვაზე რჩებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე და არ დგებოდა სათანადო დოკუმენტი მათი ჩამონერისათვის. ამავე დასკვნების თანახმად, წლების განმავლობაში მოუგვარებელმა პრობლემებმა სრული ქაოსი შექმნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძირითადი აქტივებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის კუთხით და გამოწვია დანაკლისი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე დადგენილი გარემოებების ერთობლიობით დასტურდება ა. მ-ის მიერ მძიმე დისკიპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი – დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შეღავავა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას; დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიაღდა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას. შესაბამისად, მოსარჩელის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაშია მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან, პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით. საქმეზე არ დასტურდება ა. მ-ის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შეუსაბამობა მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების სიმძიმესთან. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონით დადგენილ ფარგლებში და გამოიყენა დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზნის მიღწევის პროპორციული ღონისძიება. შესაბამისად, მოსარჩელეს პასუხისმგებლობის ზომის სახით მართებულად განესაზღვრა სამსახურიდან გათავისუფლება და არ არსებობს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, ასევე უსაფუძლოა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნები თანამდებობაზე აღდგენისა და მოპასუხისათვის იძუ-

**ლებითი განაცდურის დაკისრებასთან დაკავშირებით.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წერილობითი ფორმით გა-მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ დაინტერესებული მხარისათვის ცნო-ბილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტი.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე მონაწი-ლეობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის სადისციპლინო კომისი-ის 2018 წლის 2 აპრილის სხდომაზე და მიეცა შესაძლებლობა დეტალუ-რად მიეთითებინა თავისი პოზიცია თითოეულ იმ ფაქტთან დაკავშირე-ბით, რომელსაც მას ადმინისტრაციული ორგანო ედავებოდა. ასევე დად-გენილია, რომ 2018 წლის 2 აპრილის სხდომის №3 ოქმი, სადაც დაწვრი-ლებით არის აღნერილი თუ რამ განაპირობა მიღებული ყოფილიყო გა-დაწყვეტილება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, 2018 წლის 5 აპრილს ჩატარდა მოსარჩელეს ყაზბეგის მუნიციპალიტე-ტის მერის ბრძანებასთან ერთად (იხ. სარჩელი, მე-3 ფაქტობრივი გა-რემოვბა). აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზია-რებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ დაუსაბუთე-ბელია მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მერის ბრძა-ნება ა. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არ შეიცავს და-საბუთებას, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამარ-თლომიზნევს, რომ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკავშირდეს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიისა და მ. ს-ეის საკასაციო სა-ჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვე-ტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომ-ლითაც ა. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლე-ბით და

### **გ ა ღ ა ნ ჳ ვ ი ტ ა:**

1. ა. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიისა და მ. ს-ეის საკასაციო სა-ჩივრები დაკამაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქ-მეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ა. მ-ის სარჩელი არ დაკამაყოფილდეს;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საპო-ლოოა და არ საჩივრდება.

## გამოსაცდელი ვალით დაიღმიშელი მოხელის თანამდებობის გათავისუფლების საფუძველი

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1309(2კ-22)

14 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
გ. მაკარიძე

**დავის საგანი:** გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შე-დეგების გამო სამსახურიდან გათავისუფლება

#### აღნერილობითი ნაწილი:

ფ. ტ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხებების – საქართველოს გა-რემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტისა და საქართვე-ლოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და სასამართლო მოთხოვნათა დაზუსტების შემდგომ მოითხოვა: „სამსა-ხურიდან გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწე-სებულების – ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 ბრძანების ბათილად ცნობა; „ადმინისტრაციული საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გა-რემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იან-ვრის №2-87 ბრძანების ბათილად ცნობა; მოსარჩელის ...ის დეპარტა-

მენტის ...ის სამართველოს ...ის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ...ის დეპარტამენტისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და სამსახურიდან დათხოვნის დღიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან მის აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალება.

სარჩელის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2016 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ფ.ტ.-ის სარჩელი და კმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სსდ ...ის დეპარტამენტის 2016 წლის 18 იანვრის №16 00000094 ბრძანება და მოპასუხეს დაევალა საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში. აღნიშნული საკითხი განიხილა ...ის დეპარტამენტია და 2018 წლის 2 ოქტომბრის №18 00001668 ბრძანებით მოსარჩელე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელემ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. მოსარჩელის მითითებით, გასაჩივრებული ბრძანება უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი გამოცემისას არ გაითვალისწინა სასამართლოს მითითება საკითხის სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფ.ტ.-ის სარჩელი და კმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „ფ.ტ.-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ სსდ ...ის დეპარტამენტის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 და „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებები; სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – ...ის დეპარტამენტს დაევალა „მოსარჩელის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და სამსახურიდან დათხოვნის დღიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან მოსარჩელის სამსახურში აღდგენამდე შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის 2014 წლის 19 მაისის №07-16/458 ბრძანებით, 2014 წლის 19 მაისიდან ფ.ტ-ე დაინიშნა ამავე დეპარტამენტის ...ის სამსახურის ...ის განყოფილების უფროსის (II კატეგორია) თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად; 2014 წლის 19 აგვისტოდან იგი დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის ...ის სამსახურის ...ის განყოფილების მთავარი ინსპექტორის (II კატეგორია) თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად; 2014 წლის 11 სექტემბრიდან ფ.ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის 2014 წლის 11 სექტემბრის №07-16/719 ბრძანებით, ფ.ტ-ე დაინიშნა საქართველოს იმავე დეპარტამენტის ...ის სამსახურის ...ის განყოფილების უფროსის (II კატეგორია) თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით 2014 წლის 11 სექტემბრიდან 2014 წლის 11 დეკემბრამდე. აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შედეგად, ფ.ტ-ე იმავე თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით დაინიშნა 2014 წლის 11 სექტემბრიდან 2015 წლის 11 მარტამდე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ...ის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 11 მარტის №DES 1 15 00000294 ბრძანებით ფ.ტ-ე დაინიშნა ამავე დეპარტამენტის ...ის სამსახურის ...ის განყოფილების უფროსის (II კატეგორია) თანამდებობაზე 2015 წლის 11 მარტიდან; ...ის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 2 ივლისის №DES 1 15 00001103 ბრძანებით ფ.ტ-ე გადაყვანილი იქნა ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსის (II კატეგორია) თანამდებობაზე ფ.ტ-ემ 2015 წლის 15 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ამავე დეპარტამენტის უფროსს და მოითხოვა მიმდინარე წლის 16 ოქტომბრიდან ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად გადაყვანა. 2015 წლის 15 ოქტომბრის №DES 0 15 00001896 ბრძანებით განცხადება დაკმაყოფილდა და ფ.ტ-ე გადაყვანილი იქნა მოთხოვნილ თანამდებობაზე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ...ის დეპარტამენტის

ტის უფროსის 2015 წლის 20 ნოემბრის №DES 15 00002255 ბრძანების თანახმად, ფ. ტ-ე დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რე-სურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესე-ბულების – ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილე-ბის უფროსის თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით 2015 წლის 20 ნოემბრიდან 2016 წლის 20 იანვრამდე.

...ის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 18 იანვრის №DES 0 16 00000094 ბრძანებით, ამავე დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსი – ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამ-დებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან. გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 15 იანვრის №DES 4 16 00002834 მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღი-ნიშნა, რომ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ფ. ტ-ე ვერასრულებდა მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რაც არაერთხელ იქნა გამოხა-ტული სიტყვიერი შენიშვნის სახით მოხსენებითი ბარათის ავტორის მი-ერ. მის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული განყოფილების მიერ ვერ ხდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების გა-მოვლენა, ალკვეთა. იგი რაციონალურად ვერ ანაწილებდა მითითებულ დავალებებს თანამშრომლებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარ-ტამენტის უფროსმა მიიჩნია, რომ ფ. ტ-ემ გამოსაცდელი ვადა პროფე-სიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების დაკავე-ბულ თანამდებობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით გაიარა არა-დამაკაყოფილებლად.

ფ. ტ-ემ 2016 წლის 15 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპა-სუხე სსდ ...ის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა ამავე დეპარტა-მენტის 2016 წლის 18 იანვრის №DES 016 00000094 ბრძანების ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება და გა-ნაცდეურის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძა-ლაში შესული გადაწყვეტილებით ფ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნა-წილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობი-ლი სადაც აქტი და მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საქმესთან და-კავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახა-ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-ცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გა-დაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციუ-ლი წარმოების შედეგად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18

00001668 ბრძანებით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსი ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ასევე მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი. აღნიშნული აქტები სასარჩელო წესით კვლავ გაასაჩივრა ფ. ტ-ემ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციაზე, საერთაშორისო აქტებსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის მიხედვით, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. არადამაკმაყოფილებები შედეგების შემთხვევაში კი, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ამ კანონით დადგენილი წესით. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადაცვო ბრძანება გამოიცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული აქტის შინაარსით დგინდება, რომ რეალურად არ შესრულებულა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აუცილებელი პირობები – სადაცვო აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას მოპასუხის მიერ არ ყოფილა გამოვლენილი სხვა დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებდა. სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ კვლავ ცალმხრივად გაითვალისწინა მხოლოდ მოსარჩელის უშუალო ხელმძღვანელის მოხსენებით ბარათი და მხედველობაში არ მიიღო კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების მითითება იმის შესახებ, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არადამაკმაყოფილებელ მუშაობად მიჩნეული გარემოებები არ ქმნიდა მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს. სასამართლოს მითითებით, მოპასუხე მხარეს არ დაუდგენია, არსებობდა თუ არა ისეთი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამხდარიყო სადაცვო საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ ეფუძნება ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებს. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მოპასუხე შემოიფარგლა იმავე სახის მტკიცებულებებით და მოსარჩელეს-თან ზოგადი ხასიათის შეკითხვებით, შესაბამისად, იმავე ფაქტობრივ

გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო სადაცო გადაწყვეტილება. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლების, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევას, გასაჩივრებულ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესბამებოდა მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩევის მოთხოვნას წარმოადგენდა ასევე იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთის არარსებობისას, ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე და განმარტა, რომ სასარჩევო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილშიც დასაბუთებული იყო და სადაცო აქტების ბათილად ცნობის პირობებში, მოპასუხეს დაავალა მოსარჩევე ფ.ტ.-ის სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან 2016 წლის 18 იანვრიდან მის აღდგენამდე, შესაბამის თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით.

მოსარჩევის წარმომადგენელმა 2019 წლის 3 დეკემბერს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიეკცა მხოლოდ „ფ.ტ.-ის გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 და „ფ.ტ.-ის ადმინისტრაციულ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებების ბათილად ცნობის, ასევე მოსარჩევის – ფ.ტ.-ის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში; დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად, „ფ.ტ.-ის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 12 დეკემბრის №DES 3 19 00002614 ბრძანებით ფ.ტ.-ე 2019 წლის 12 დე-

კემპრიდან აღდგენილ იქნა ტოლფას – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტის ფ. ტ-ის რეგიონული სამმართველოს ...ის ... განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივრების არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები. ამასთან, დამატებით მიუთითა, რომ დაუყოვნებლივ ადსასრულებლად მიქცევის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინების აღსრულების მიზნით, ფ. ტ-ე ...ის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 12 დეკემბრის №DES 3 19 000002614 ბრძანებით აღდგენილ იქნა ტოლფას თანამდებობაზე, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტის ფ. ტ-ის რეგიონული სამმართველოს ...ის ... განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ...ის დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 13 იანვრის №DES 2 20 00000064 ბრძანებით ფ. ტ-ეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეფარდა საყვედური იმ მიზეზით, რომ იგი არ ცხადდებოდა სამსახურში. ამავე მიზეზით, ...ის დეპარტამენტის შიდა სამსახურებრივი კონტროლის სამსახურის №134 დასკვნის საფუძველზე, დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 5 თებერვლის №DES 0 20 00000260 ბრძანების შესაბამისად, ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოპასუხეთა მტკიცებით, ზემოაღნიშნული გარემოებები ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებულია, თუმცა აღნიშნული პოზიცია სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და მიუთითა საქმის მასალებში წარმოდგენილ მო-

სარჩელის არაერთ განცხადებაზე, რომლებითაც იგი უარს აცხადებდა ფ. ტ-ის რეგიონული სამართველოს ...ის ... განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებაზე. ამასთან, პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ მოსარჩელისთვის, ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუღებელი იყო აღნიშნული თანამდებობის დაკავება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – ...ის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრანი და-საშვებად იქნა მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 დეკემბრის განჩინებით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრანი და-საშვებად იქნა მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრანი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან. გამოსაცდელი ვადის დამაკაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში გამოიცემა სამართლებრივი აქტი პირის თანამდებობაზე მიღების შესახებ, ხოლო გამოსაცდელი ვადის არადამაკაყოფილებელი შედეგების ან გამოსაცდელი ვადის გასვლის შემთხვევაში პირი შესაბამისი სამართლებრივი აქტით თავისუფლდება სამსახურიდან. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში სადაც აქტის გამოცემა, ისე რომ არადამაკაყოფილებელი შედეგების გათვალისწინებით მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას გამოკვლეული არ იქნა ფაქტობრივი გარემოებები მოხელის კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და შრომის დისციპლინისადმი დამოკიდებულების შესახებ. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეს მტკიცებულების სახით თან ერთვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საკითხის გამოკვლევასა და გამოსაცდელი ვადის პერიოდში პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შემოწმებისას მოხელის მიერ არადამაკაყოფილებლად გავლას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ერთობლიობაში უნდა შეაფასოს მოხელის ხელმეორედ გათავისუფლების შესახებ ჩატარებული სხდომის ოქმი და გამოიკვლიოს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები დაედო საფუძვლად გათავისუფლებას, გარდა მოხსენებითი ბარათისა, ასევე, ...ის სამართველოში ჩატარებული 2015 წლის 28 ნოემბრის №5 და 29 დეკემბრის №6 თათბირების სხდომის ოქმები, რომლებითაც, კასატორის მითითებით, მოსარჩელის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი განყოფილების მიმართ არაერთგზის გამოთქმულია შენიშვნები და საყვედურები დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების გამო და განყოფილების საქმიანობა, როგორც წლის, ასევე თვისების განმავლობაში შეფასებულია სუსტად. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხის ხელახლა განხილვისას აღნიშნულ გარემოებებს დეტალური შეფასება უნდა მიეცეს. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია საქმეზე უდავოდ დადასტურებული გარემოებები, რომ ფ. ტ-ე კანონიერ ძალაში შესული განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულების ფარგლებში 2019 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით აღდგენილ იქნა ტოლფას თანამდებობაზე, ...ის დეპარტამენტის ფ.ტ-ის რეგიონული სამართველოს ...ის ... განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

2020 წლის 13 იანვრის ბრძანებით ფ. ტ-ეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა საყვედლური იმ მიზეზით, რომ იგი არ ცხად-დებოდა სამსახურში. ამავე მიზეზით, 2020 წლის 5 თებერვლის ბრძანების შესაბამისად, იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. დანიშვნის შესახებ ბრძანება გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ, თუმცა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობის გამოუყენებლობის გამო, სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ფ.ტ-ის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტები კანონიერ ძალაშია შესული. საკასაციო სასამართლომ საქმეზე ამ უდავოდ დადასტურებულ გარემოებებზე მითითებით ასევე აღნიშნა, რომ საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, მოსარჩელე აღდგენილი იყო ტოლფას თანამდებობაზე და დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე გათავისუფლდა კიდეც დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან, აღნიშნული აქტები ძალაშია და მათი უკანონობა საქმის მასალებით არ დასტურდება. მიუხედავად ამისა, დასახელებული გარემოებები სააპელაციო სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა. ამასთან, მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლით გათვალისწინებულ სამსახურში აღდგენის პროცედურაზე, თუმცა საქმის რეალური, იმუამად არ სებული გარემოებების გამოკვლევისა და გათვალისწინების გარეშე, ...ის დეპარტამენტს განმეორებით დაავალა ფ.ტ-ის სამუშაოზე აღდგენა გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე. საკასაციო სასამართლომ მიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს, ფ. ტ-ის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალაში ყოფნის პირობებში, მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და განაცდურის სრული ანაზღაურების კანონიერებაზე, იმ პირობებში, როცა ტოლფას თანამდებობაზე ერთხელ უკვე აღდგენილი მოხელე გათავისუფლებულია თანამდებობიდან და გათავისუფლების შესახებ ბრძანების უკანონობა არ დადასტურებულა. ამ შემთხვევაში დასადგენია, არსებობს თუ არა მოხელის სამუშაოზე განმეორებითი აღდგენის ფაქტობრივი და კანონიერი საფუძვლები.

თბილისს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება – ...ის დეპარტამენტისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაქმაყოფილდა ნაწილობრივ; ნაწილობრივ გაუქმდა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ფ. ტ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი „ფ. ტ.-ის გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 ბრძანება და „ფ. ტ.-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანება; სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტს დაევალა ფ. ტ.-ის სასარგებლოდ იმულებითი განაცდურის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება მისი სამსახურიდან დათხოვნის დღიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან – 2019 წლის 12 დეკემბრამდე, შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით; დანარჩენ ნაწილში ფ. ტ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში ნარმოდგენილი ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს 2015 წლის 28 ნოემბრის №5 თათბირის ოქმი შეიცავს მხოლოდ ზოგადი ხასიათის მითითებას (...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის მითითები) ...ის განყოფილების მიერ მიმდინარე საქმეების ვადის კონტროლზე და მეტ აქტიურობაზე (ვინაიდან სუსტია თვის განმავლობაში მათ მიერ განეული მუშაობა). რაც შეეხება 2015 წლის 29 დეკემბრის №6 თათბირის ოქმს, პალატის მოსაზრებით, მასში აღნიშნულია ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის მითითება/შეფასება ...ის განყოფილების მიერ მეტი აქტიურობის და გამოვლინებების საჭიროებაზე (რადგან სუსტია თვის, ასევე წლის განმავლობაში მათ მიერ განეული მუშაობა, კერძოდ, ...ის კუთხით). ამასთან, მითითებულია, რომ გამოვლინები არ ფიქსირდება ...ის მხრიდან, რაც არადამაკმაყოფილებლად აისახება ...ის განყოფილების საქმიანობაზე. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2016 წლის 8 იანვრის №7 თათბირის ოქმი, რომელიც შეიცავს მხოლოდ მითითებას ...ის უფროსის მიერ ყოველდღიურად განსახორციელებელ საქმიანობაზე. ამასთან, 2018 წლის 24 სექტემბრის სხდომის ოქმით ირკვევა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ ეფუძნება ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებს. ხელახალი ადმინისტრაციულმა ორგანომ მოისმინა ფ. ტ.-ის პოზიცია საქმესთან დაკავშირებით და დაუსვა ზოგადი ხასიათის დამაზუსტებელი შეკითხვები.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააპელაციო სასა-

მართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ ზოგადი ხასიათის მითითება ...ის განყოფილების სუსტ მუშაობაზე, კერძოდ, მეტ აქტიურობასა და გამოვლინებების საჭიროებაზე, ვერ იქნებოდა მიჩნეული ფ. ტ-ის მიერ მისთვის დაკაისრებული მოვალეობის იმგვარი შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების დამადასტურებელ გარემოებად, რაც დაკავებული თანამდებობისათვის მის შეუსაბამობას განაპირობებდა. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა ფ. ტ-ის მხრიდან კონკრეტული გადაცდომის ჩადენის ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს 2015 წლის 28 ნოემბრის №5, 2015 წლის 29 დეკემბრის №6 და 2016 წლის 8 იანვრის №7 თათბირის ოქმებში და 2018 წლის 24 სექტემბრის სხდომის ოქმში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა ფ. ტ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ვერ უთითებდა რაიმე კონკრეტულ გარემოებაზე ან ფაქტობრივ შედეგზე, რაც დაადასტურებდა ფ. ტ-ის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას. ამასთან, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ფ. ტ-ის მიმართ რეფორმების პერიოდში კეთილსინდისიერი მუშაობისთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ გაიცა მაღლობის სიგელი, ხელმძღვანელი პირების მიერ ფ. ტ-ებასიათდებოდა, როგორც სანიმუშო მუშაობით გამორჩეული თანამშრომები და 2015 წლის განმავლობაში მასზე ყოველთვიურად, დანამატის სახით, გაიცემოდა ფულადი ანაზღაურება და ფ. ტ-ის მიმართ დისციპლინური გადაცდომის ფაქტი დაფიქსირებული არ ყოფილა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასტურდებოდა სადაც ბრძანებების ბათილად ცნობის საფუძვლები.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის და მისი ამავე თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე აქტები კანონიერ ძალაშია შესული, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში არ არსებობდა ფ. ტ-ის სარჩელის დაკავილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ფ. ტ-ის გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 0000 1668 ბრძანების კანონშეუსაბამოდ მიჩნევის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 12 დეკემბრის

№DES 3 19 00002614 ბრძანებით ფ. ტ-ის 2019 წლის 12 დეკემბრიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის პირობებში, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტს ფ. ტ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება უნდა დაეკისროს მისი სამსახურიდან დათხოვნის დღიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან 2019 წლის 12 დეკემბრამდე, შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით.

თბილისის საქართველოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტისა და ფ. ტ-ის მიერ.

კასატორი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებას, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას კასატორის 2018 წლის 02 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 ბრძანების ბათილად ცნობისა და დეპარტამენტისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განცდურის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნების ნაწილში.

კასატორის მოსაზრებით, სადაც ბრძანებას გაჩინია ყველა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლებში მითითებული რეკვიზიტი, ასევე დაცულია სადაც პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტში, 93-ე მუხლას და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა ქვეპუნქტში განსაზღვრული მითითებები. დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ მათ გამოცემის საფუძვლად მითითებულია ...ის დეპარტამენტის ...ის სამსართველოს უფროსის 2016 წლის 15 იანვრის №DES 4 16 00002834 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი გახდა, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა დაკავებული პოზიციის შესაბამისი უნარ-ჩვევები და ის ჯეროვნად ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, ვერაკმაყოფილებდა თანამდებობისთვის შესაბამის მოთხოვნებს. დეპარტამენტი იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2021 წლის 29 დეკემბერს №ბს-483(კ-21) საქმეზე გაკეთებულ განმარტებას, რომ მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. კასატორი აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურისა და მისგან მიღებული სიკეთის გარანტორია საჯარო სამსახურში დასაქმებული მოხელე, რომელიც თავად არის გარანტორი საზოგადო-

ებრივი ინტერესების დაცვისათვის, ხოლო ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციისა და თანამდებობასთან შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე პროფესიონალების მიერ განეული მსახურების გზით. კასატორის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, დეპარტამენტის, როგორც საქმიანობის კანონიერების, დამოუკიდებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის, თანასწორობის, საჯაროობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებზე დაყრდნობით მოქმედი დაწესებულების მიერ გამოცემული აქტი, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ემსახურება საჯარო ინტერესების დაცვას.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია მასალები (დეპარტამენტის ...ის რეგიონული სამმართველოს უფროსის მიერ ჩატარებული თათბირის ოქმები და მოხსენებით ბარათები), რომლებიც ადასტურებენ მოსარჩევის მიერ გამოსაცდელი ვადის პერიოდში პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების არადამაკმაყოფილებლად გავლას, ხოლო სამსახურიდან გათავისუფლების წესს არეგულირებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო მის მიერ გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში. ამასთან, კასატორი არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას თათბირის ოქმებსა და მოხსენებით ბარათებში გაკეთებული მითითებების ზოგად ხასიათთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 ივნისის №მ204 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-...ის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების დეპულების“ შესაბამისად, ფ. ტ-ეს, როგორც ...ის განყოფილების უფროსს, ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ნორმატიულად დადგენილი უფლება-მოვალეობების შესრულებაზე და სწორედ აღნიშნული დაკალებების, ფუნქცია-მოვალეობების არაჯეროვანი, ძირითადად კი, სრულიად შეუსრულებლობა გახდა გამოსაცდელი ვადით დანიშნული ფ. ტ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

კასატორი – ფ. ტ-ე ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით ფ. ტ-ის სარჩევის სრულად დაკმაყოფილებას. კასატორის მითითებით, სასამართლოს მიერ არასწორად შეფასდა ტერმინი „ტოლფასის“ მნიშვნელობა, მოსარჩევის სამსახურში აღდგენა ფ. ტ-ის რეგიონში იყო უკანონო, რადგან აღსადგენი და აღდგენილი პოზიციები, აგრეთვე, შრო-

მითი პირობები არ წარმოადგენდა ტოლფასს, სწორედ ამიტომ განაცხადა ფ. ტ-ემ ფ. ტ-ის რეგიონში დანიშვნაზე. კასატორი თვლის, რომ სასამართლოს მიერ შეფასების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ ფ. ტ-ის რეგიონში დანიშვნის შესახებ ბრძანების მიმართ წარდგენილ სარჩელზე, ადმინისტრაციული საჩივრით ერთჯერადად გასაჩივრების არარსებობის გამო, შეწყდა საქმის წარმოება (პანონიერ ძალაშია შესული); ამასთან, სასამართლოს მიერ არ შეფასებულა მოსარჩელის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობისა და ფ. ტ-ის რეგიონში მისთვის გამოყოფილი თანამდებობის ტოლფასობის საკითხი. კასატორი მიუთითებს საკასაციო პალატის პრაქტიკაზე, რომლითაც განმარტებულია ტოლფასი თანამდებობის მნიშვნელობა, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობის გამოუყენებლობის საკითხი. ამასთან, კასატორი მოიხმობს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №204 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 და მე-7 მუხლებს, რომლებითაც ერთმანეთისაგან განასხვავებს ...ის ...ის განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებს. კასატორი თვლის, რომ რამდენადაც ზემოაღნიშული ორი განყოფილება ერთმანეთისაგან განსხვავდება და შესაბამისად, თანამდებობები არ წარმოადგენს ტოლფასს, ფ. ტ-ის რეგიონში ფ. ტ-ის დანიშვნის შესახებ ბრძანება არის უკანონი. ამასთან, კასატორი საქმის ზეპირი მოსმენის თაობაზე შუამდგომლობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 ნოემბრისა და 2022 წლის 21 დეკემბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ფ. ტ-ისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინებით ფ. ტ-ისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობისა და გასაჩივ-

რებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ფ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის 2015 წლის 20 ნოემბრის № DES 15 000002255 ბრძანებით ფ. ტ-ე დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გამოსაცდელი ვა-დით 2015 წლის 20 ნოემბრიდან – 2016 წლის 20 იანვრამდე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის 2016 წლის 18 იანვრის № DES 0 16 00000094 ბრძანებით ფ. ტ-ე გათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან, რაც ფ. ტ-ემ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და სადავოაქტის ბათოლად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ფ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათოლად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ...ის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 18 იანვრის № DES 0 16 00000094 ბრძანება ფ. ტ-ის გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის № DES 0 18 00001668 ბრძანებით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსი – ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან, რაც ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა ფ. ტ-ემ.

„ფ. ტ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის № 2-87 ბრძანებით არ დაკმაყო-

ფილდა ადმინისტრაციული საჩივარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფ.ტ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება „ფ. ტ.-ის გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 და „ფ. ტ.-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებების ბათილად ცნობის, ასევე, მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფ. ტ.-ე გათავისუფლებამდე წარმოადგენდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების –...ის დეპარტამენტის მოსამსახურეს –...ის განყოფილების უფროსს, რომელზეც ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები (სადაცვო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი). დადგენილია აგრეთვე, რომ ფ. ტ.-ე ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებული იყო გამოსაცდელი ვადით. სადაცვო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული იყო მოხელის თანამდებობაზე დანიშვნა გამოსაცდელი ვადით, რომლის განმავლობაში მოწმდებოდა მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამოსაცდელი ვადა წარმოადგენს დამსაქმებლისა და დასაქმებულისათვის განკუთვნილ მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს დამსაქმებელს, შეაფასოს კანდიდატის შესაფერისობა თანამდებობისათვის, ხოლო დასაქმებულისათვის კი ქმინის შესაძლებლობას შესაბამისი შრომითი ურთიერთობიდან და კონკრეტული სამუშაოდან გამომდინარე უპირატესობათა და ნაკლივანებათა დასაანახავად. ამდენად, გამოსაცდელი პერიოდი ეფუძნება მექანიზმია ორივე მხრიდან არადამაკმაყოფილებელი შრომითი ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად (იხ. საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, თავი II – შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, მუხლი 9, ანდრეა ბორონი (რედ.)).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაცვო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2

პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად, არადამაკმაყოფილებელი შე-დეგების შემთხვევაში შესაძლებელი იყო მოხელე გათავისუფლებული-ყო დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ამ კანონით დადგენილი წესით. ამასთან, ამავე კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგები, დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა. ამდენად, გამოსაცდელი ვადით პირის დანიშვნა იმთავითვე არ გულისხმობდა მის უპირობოდ დასაქმებას უწყებაში. მისი დანიშვნის საკითხი წყდებოდა გამოსაცდელი ვადის დასრულებისას. გამოსაცდელი ვადით პირის თანამდებობაზე დანიშვნის მიზანს სწორედ შესასრულებელ სამუშაოსთან მისი შესაბამისობის დადგენა წარმოადგენდა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, გამოსაცდელ ვადაში მოხელის შემოწმებისას არადამაკმაყოფილებელი შედეგების პირობებში, ხელმძღვანელ პირებს ანიჭებდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების, პირადი თვისებებისა და სხვა გარემოებების შეფასებისა და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების დისკრეციას, რაც უზრუნველყოფდა როგორც კონკრეტული მოხელის, ასევე, საჯარო ინტერესის დაცვას.

საკასაციო პალატა იზიარებს მოცემული დავის ფარგლებში სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას ფ.ტ.-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანების დისკრეციული უფლება-მოსილების საფუძველზე გამოცემასთან დაკავშირებით, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ გამოსაცდელი ვადა ის განსაკუთრებული პერიოდია, რომლის განმავლობაშიც დამსაქმებელს კანონით აქვს მინიჭებული თავისუფლება, დასაქმებულის შესაბამის თანამდებობასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, არ გააგრძელოს შრომითი ურთიერთობა მასთან. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გამოსაცდელი ვადით დასაქმებული პირის გათავისუფლებისას არ შეიძლება გავრცელდეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული აქტის დასაბუთების ის სტანდარტი, რომელიც გათვალისწინებულია მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სხვა საფუძვლებთან მიმართებით.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც დასტურდება ფ.ტ.-ის სამსახურიდან გათავისუფლება გამოსაცდელი ვადით დაკავებული თანამდებობიდან, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია, აღმინისტრაციული ორგანოს იმ შეფასების მართლზომიერების დადგენა, რომლის შესაბამისად, ფ.ტ.-ის მიერ გამოსაცდელი ვადის გავლა არადამაკმაყოფილებად იქნა მიჩნეული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დეპარტამენტის ფართო დისკრეციის არსებობის პირობებში, მართალია, სასამართლო არ არის აღმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მი-

ზანშეწონილობის გადამოწმებაზე უფლებამოსილი სუბიექტი, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს დეპარტამენტის საქმიანობაზე სასამართლო ზედამხედველობის გამორიცხვას.

მოცემულ საქმეში დადგენილია, რომ 2016 წლის 18 იანვრის № DES 0 16 00000094 ბრძანებით ფ. ტ-ე გათავისუფლდა გამოსაცდელი ვადით დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების № DES 0 16 00000094 ბრძანებას საფუძვლად დაედო ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 15 იანვრის №DES 4 16 00002834 მოხსენებით ბარათი, რომელშიც აღინიშნა, რომ ფ. ტ-ე გამოსაცდელი ვადის პერიოდში ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რაც არაერთხელ იქნა გამოხატული სიტყვიერი შენიშვნის სახით მოხსენებითი ბარათის ავტორის მიერ. მის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული განყოფილების მიერ ვერ ხდებოდა აღმინისტრაციული სამართლდარღვევის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა. იგი რაციონალურად ვერ ანაწილებდა მითითებებს/დავალებებს თანამშრომლებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსმა მიჩინია, რომ ფ. ტ-ემ, პროფესიული ჩევრების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით, გამოსაცდელი ვადა გაიარა არადამაკმაყოფილებლად.

დადგენილია აგრეთვე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ფ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც ვოს საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ...ის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 18 იანვრის № DES 0 16 00000094 ბრძანება ფ. ტ-ის გათავისუფლების შესახებ და მოპასუხეს დაევალა საქმის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

ამასთან, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული ნარმოების შედეგად, ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 ბრძანებით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსი – ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან (სადაც ვო აქტი).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668

ბრძანების საფუძვლად, მათ შორის, მითითებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 28 სექტემბრის №DES 5 18 00000277 ბრძანება, რომელშიც დეპარტამენტის უფროსი მიუთითებს, რომ „2016 წლის 18 იანვრის №DES 0 16 00000094 ბრძანება შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-53-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს, აგრეთვე, შესაბამისობაშია სადაც პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, ამავე კანონის 93-ე მუხლთან და 98-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან, ამასთან, ზემოაღნიშნული ბრძანება გამოცემულია დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 15 იანვრის №DES 4 16 00002834 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, დადგინდა ფ.ტ.-ის მიერ დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვანი შესრულების არარსებობა, არ გამოვლინდა დაკავებული თანამდებობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები“. დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 28 სექტემბრის №DES 5 18 00000277 ბრძანებაში აღინიშნა, რომ „...ის განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად დადგენილია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების არარსებობის პირობებში, პირი ვერ დაიკავებს შესაბამის თანამდებობას. სწორედ გამოსაცდელი ვადა წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ფასდება მოხელის მიერ შესაბამისი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება, მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულების ხარისხი, ხოლო საქმის მასალებით დადგენილია, რომ ფ.ტ.-ის აღნიშნული შესაძლებლობები შეფასდა არადამაკმაყოფილებლად“. ამდენად, დეპარტამენტის უფროსმა მიუთითა 2016 წლის 18 იანვრის №DES 0 16 00000094 ბრძანების კანონშესაბამისობაზე და სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, მანვე გამოსცა ბრძანება ფ.ტ.-ის მიმართ იმავე შინაარსის – სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ახალი ბრძანების გამოცემის ადმინისტრაციისათვის დავალების შესახებ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ფარგლებში გამოცემული სადაც დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 ბრძანება შეიცავს სათანადო დასაბუთებას.

გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ დაკავებულ თანამდებობას-თან შეუსაბამობის გამო გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის დროს, განსხვავებით მოხელის სამსახურიდან სხვა რაიმე საფუძვლით გათავისუფლებისაგან, ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს ფართო დისკრეციით და შესაბამისად, ამ თვალსაზრისით აქვს მიხედულების ფართო ფარგლები. ამ პირობებშიც კი, საკასაციო

პალატა არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული გარემოებები არ არის საკმარისი ფ. ტ-ის მიერ გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებლად გავლის დასა-დასტურებლად, რადგან საქმეში დაცულია ადმინისტრაციული ორგა-ნოს მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები და სხვა მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებენ საკითხის გამოკვლე-ვასა და პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვი-სებების შემოწმების შედეგად მოხელის მიერ გამოსაცდელი ვადის არა-დამაკმაყოფილებლად გავლას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახ-ვილებს საქმის მასალებში დაცულ ...ის დეპარტამენტის ...ის სამარ-თველოს 2015 წლის 28 ნოემბრის №5, 2015 წლის 29 დეკემბრის №6 და 2016 წლის 08 იანვრის №7 თათბირის ოქმებზე, რომელთა შესაბამისად, სამმართველოს უფროსის მიერ ...ის განყოფილების უფროსის – ფ. ტ-ის მიმართ გაცემულია მითითებები: შესულ წერილებზე (კორესპონდენ-ციებზე); მიმდინარე საქმებზე ვადის კონტროლი; მეტი აქტიურობა; არ ფიქსირდება გამოვლინებები; სუსტია თვის და წლის განმავლობაში მათ მიერ განეული მუშაობა ...ის კუთხით; მორიგე ჯგუფების ყოველ-დღიური შემოწმება; კონტროლი ლამის განმავლობაში.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს გარემოსა და ბუნებ-რივირესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 ივნისის №204 ბრძა-ნებით დამტკიცებული „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურ-სების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულე-ბის...ის დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების დებულების“ მე-7 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ...ის განყოფილე-ბის ძირითადი კომპეტენციაა: а) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რე-სურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიების, ნებართვე-ბისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შე-სახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონ-ტროლის უზრუნველყოფა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამი-სად; б) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა და აღ-კვეთა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექ-სითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქ-ტებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა საფუძველზე. რეგულირების ობიექტების...ის პროცესში დადგენილი წესით ...ის აქტის შედგენა. ად-მინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლინისას, კანონმდებლო-ბით დადგენილი წესით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქ-მის შედგენა; გ) გამოვლინილ დარღვევის საქმეთა მასალების შესაბა-მის ორგანოში (ან თანამდებობის პირთან) გადაგზავნის უზრუნველყო-

ფა; დ) სამოქმედო ტერიტორიის გათვალისწინებით, რეგულირების ობიექტის მიერ წარმოდგენილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიების შესრულების ანგარიშების განხილვა და ანალიზი; ე) დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა წლიური გაფრქვევების ფაქტობრივი მაჩვენებლების შეთანხმება და დადგენილი წესით სამინისტროში წარდგენის უზრუნველყოფა; ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგულირების ობიექტებისაგან ახსნა-განმარტებების, ყველა ზეპირი ან/და წერილობითი ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღება, რომელიც შეეხება მათ განვლილ და მიმდინარე საქმიანობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში; ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიების, ნებართვებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საკითხის დაყენების უზრუნველყოფა; თ) რეგულირების ობიექტის მიერ გარემოსათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, დადგენილი წესით გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა (გამოანგარიშება); ი) კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და სამართალდამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში შესაბამის სასამართლოში წარსადგენი სარჩელის მომზადება; კ) კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილი წესით ლაბორატორიული სინჯების აღება და გაზომვების ჩატარება; ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, დარღვევის აღმოფხვრის მიზნით გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე, ლიცენზიის, ნებართვისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების გამცემისათვის მიმართვასთან დაკავშირებით წინადადების მომზადების უზრუნველყოფა; მ) დადგენილი წესით ადმინისტრაციული მინერილობის შემუშავებისა და რეგულირების ობიექტებისთვის წარდგენის უზრუნველყოფა, ასევე მინერილობის განხორციელებაზე კონტროლის განხორციელება; ნ) იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დამრღვევი უცნობია, დამრღვევის დადგენისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ლონისძიების გატარების უზრუნველყოფა; ო) კომპეტენციის ფარგლებში, დეპარტამენტის ან/და სამმართველოს უფროსის სხვა დავალებების, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა

**უფლებამოსილებების განხორციელება.**

ამდენად, ...ის სამმართველოში ჩატარებული 2015 წლის 28 ნოემბრის №5 და 29 დეკემბრის №6 თათბირების სხდომის ოქმებით ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი განყოფილების მიმართ არაერთგზის გამოთქმულია შენიშვნები და საყვედურები დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების გამო და განყოფილების საქმიანობა, როგორც წლის, ასევე თვის განმავლობაში შეფასებულია სუსტად, აღნიშნული დასტურდება აგრეთვე ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 15 იანვრის №DES 4 16 00002834 მოხსენებითი ბარათითა და დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 28 სექტემბრის №DES 5 18 00000277 ბრძანებით. ამ პირობებში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასტურდება მოსარჩელის მიერ გამოსაცდელი ვადის არადამაკამაყოფილებელი შედეგები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი არ ათავისუფლებს მოსარჩელეს თავისი მოხხოვნის დასაბუთებისაგან, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოძიებული დოკუმენტაციის სანინააღმდეგოდ, საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელეს არც ადმინისტრაციული წარმოების და არც საქმის სასამართლოში განხილვის პერიოდში არ წარმოუდგენია. ამდენად, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად გამოცემული სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დასაბუთებულია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობისათვის გათვალისწინებული საფუძველი.

ფ. ტ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ...ის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 ბრძანების კანონიერების პირობებში კი, ასევე არ არსებობს აღნიშნულ აქტზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანების ბათილად ცნობისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტისთვის ფ. ტ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების დავალების საფუძვლები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფ. ტ-ის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული კასაციის საფუძვლები (მიზეზები) მიემართება დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსის და დეპარტამენტის ფ. ტ-ის რეგიონული სამმართველოს ...ის ... განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობათა ტოლფასობის საკითხის შეფასებისაკენ და აღნიშნულის საფუძველზე კასატორი აღნიშნავს, რომ ფ. ტ-ის რეგიონული სამმართველოს ...ის ... განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვა-

ნელის თანამდებობაზე ფ. ტ-ის დანიშვნის შესახებ ბრძანება არის უკანონო. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიზანშე-ნონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ მოცემული დავის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს „ფ. ტ-ის ტოლ-ფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 12 დეკემბრის №DES 3 19 00002614 ბრძანება, რომლითაც ფ. ტ-ე 2019 წლის 12 დეკემბრიდან აღდგენილ იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ...ის დეპარტამენტის ფ. ტ-ის რეგიონული სამმართველოს ...ის ... განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ამდენად, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ზემოაღნიშნული თანამდებობისა და დეპარტამენტის ...ის სამმართველოს ...ის განყოფილების უფროსის თანამდებობის ტოლფასობა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფ. ტ-ე კანონიერ ძალაში შესული განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულების ფარგლებში 2019 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით აღდგენილ იქნა ტოლფას თანამდებობაზე, ...ის დეპარტამენტის ფ. ტ-ის რეგიონული სამმართველოს ...ის ... განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. 2020 წლის 13 იანვრის ბრძანებით ფ. ტ-ეს დის-ციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა საყვედური იმ მიზეზით, რომ იგი არ ცხადდებოდა სამსახურში. ამავე მიზეზით, 2020 წლის 5 თებერვლის ბრძანების შესაბამისად, იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. დანიშვნის შესახებ ბრძანება გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ, თუმცა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობის გამოყენებლობის გამო, სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა. შესაბამისად, ფ. ტ-ის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტები კანონიერ ძალაშია შესული. ამდენად, მოსარჩელე აღდგენილი იყო ტოლფას თანამდებობაზე და დის-ციპლინური გადაცდომის საფუძვლებზე გათავისუფლდა კიდეც დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან, აღნიშნული აქტები ძალაშია და მათი უკანონობა საქმის მასალებით არ დასტურდება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწეს-რიგება შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. შესაბამისად, სადავო აქტები მიღებულია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით და არ არსებობს მათი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

60' მუხლით რეგლამენტირებული ბათილად ცუნბის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, ფ. ტ-ის საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება სრულად.

რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა მოწმდება არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია მხარეთა პოზიციები სამართლებრივ საკითხებზე, რის გამოც, სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას. ამდენად, არ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე.

რაც შეეხება მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. ამასთანავე, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „უ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ფიზიკური პირები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადადისაგან ხელფასის გადახდევინების შესახებ სარჩელებზე, ხოლო დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ყველა საქმეზე თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამდენად, განსახილველი დავის ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

### სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ლ დ ე ს:**

1. ფ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ...ის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ფ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. ფ. ტ-ის შუამდგომლობა, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;
6. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურის ზღვრული ასაკის მიღწევის  
საფუძვლით განდატურის თანამდებობიდან  
გათავისუფლების კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№პს-1353(კ-22)

15 აპრილი, 2024 წელი., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე  
გ. მაკარიძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღა-  
ურება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. 2016 წლის 25 მაისს ჯ. ც-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის-  
ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ.

2. მოსარჩელის განმარტებით იგი კონკურსის გავლის შედეგად, 2014  
წლის 10 აპრილიდან დაიწინება სასამართლო ...ის თანამდებობაზე, ხო-  
ლო 2016 წლის 3 მაისს ადამიანური რესურსების მართვისა და შიდა კონ-  
ტროლის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაი-  
სის №58-პ ბრძანებით, სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწე-  
ვის გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რამაც, მო-  
სარჩელის მოსაზრებით, ხელყო მისი კონსტიტუციით გარანტირებული  
უფლებები.

3. მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის  
2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუ-  
ხისთვის ჯ. ც-ემის თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერ-  
თო განყოფილების ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე აღდგენის და-  
ვალება და 2016 წლის 3 მაისიდან სამსახურში აღდგენამდე, თვეში 900  
ლარის ოდენობით იძულებითი მოცდენის დროს მიუღებელი შრომის  
ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

4. მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი, საქმის

განხილვის შეჩერების შესახებ შუამდგომლობაზე თანდართული მასალის შესაბამისად იკვეთება, რომ ჯ. ც-ემ 2016 წლის 6 ივნისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №767) მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული სარჩელი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად 2016 წლის 6 ივნისს გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2016 წლის 18 ნოემბრის №2-3/8/767 განჩინებით კონსტიტუციური სარჩელი №767 („საქართველოს მოქალაქე ჯიმშერ ცხადაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) განსახილველად გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 21 დეკემბერს გამართულ სხდომაზე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის წარმოებს შეჩერების თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ შუამდგომლობაში მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლით გათვალისწინებულ, საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 21 დეკემბერს გამართულ სხდომაზე ასევე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის დანაწესი წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციას და საფუძვლიანად არ მიიჩნია შუამდგომლობა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის თაობაზე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის, ა. ჩ-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად იუსტიციის უმაღლესი საბჭოსადა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ც-ემ, რომელმაც გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 აპრილის განჩინებით ჯ. ც-ეის კერძო საჩივრი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემ-

ბრის განჩინება.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ც-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. ც-ე 2014 წლის 10 აპრილიდან 2016 წლის 3 მაისამდე მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ად. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 აპრილის №35-პ ბრძანებით, ჯ. ც-ე, 2014 წლის 10 აპრილიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე. ჯ. ც-ეის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 895 ლარის ოდენობით.

13. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ... – ჯ. ც-ე 2016 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ზღვრული, ანუ 50 წლის მიღწევის გამო.

14. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელები №767 და №1272 („საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

15. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის სადაცვო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-14 და 29-ე მუხლებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სადაცვო პერიოდში მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, 59-ე მუხლის პირველ, მე-3 და მე-4 პუნქტებზე, ასევე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სადაცვო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტსა და ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით აღნიშნა,

რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს და შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი და მისი ნაწილი ძალას კარგავს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება.

16. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება არ იწვევდა არაკონსტიტუციურად ცნობამდე აღნიშნული აქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-კ ბრძანების ბათილად ცნობას.

17. ამასთან, სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3-მე-4 პუნქტებზე მითითებით აღნიშნა, რომ ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენას ცალსახად უკავშირებს მისი დათხოვნის/გათავისუფლების უკანონობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, შესაბამისად, არ არსებობდა მოსარჩევე ჯ. ც-ეის სამსახურში აღდგენისა და მიუღებელი შრომის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

18. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ც-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ც-ეის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ც-ეის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი „თბილისის საქალაქო სასამართლოს საერთო განყოფილების ... ის სამსახურის ... ჯ. ც-ეის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე“ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-კ ბრძანება. მოპასუხეს – თბილისის საქალაქო სასამართლოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ჯ. ც-ე აღდგენილი იქნება თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს დაეკისრა ჯ. ც-ეის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2016 წლის 3 მაისიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდში, თვეში 895 (რვაას ოთხმოც-დათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

20. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განაცდურის ანაზღაურების სახით მოთხოვნილი თანხა – 2016 წლის 3 მაისიდან სამსახურში აღდგენამდე, თვეში 900 ლარის ოდენობით, მოსარჩელე მხარემ დააზუსტა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე და მოითხოვა 895 ლარის ანაზღაურება, ანუ იმ თანხისა, რაც მას ერიცხებოდა დარიცხული ხელფასის სახით სამსახურიდან განთავისუფლების დღისათვის.

21. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებზე და აღნიშნა, რომ სახეზე იყო ვითარება, რომლის თანახმად, ნორმა, როს საფუძველზეც მოხდა პირის სამსახურიდან განთავისუფლება, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. ამდენად, პალატას უნდა შეეფასებინა, რამდენად შესაძლებელი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის გავრცელება მანამდე წარმოშობილ – ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დასრულებულ, თუმცა სამართალწარმოების ეტაპზე დაუსრულებელ, მიმდინარე საკითხზე.

22. პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან, თუმცა, საჭიროა ნორმის იმგვარი განმარტება, რომლის თანახმადაც მოხდება გადაწყვეტილების ამოქმედების მომენტის დიფერენცირება, ანუ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედების შეწყვეტის დიფერენცირება პირთა წრის მიხედვით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ამგვარ პირთა წრე შესაძლოა დაყოფილიყოთ ორ ძირითად ჯგუფად, კერძოდ, პირი, ვისი უფლებაც შელახა არაკონსტიტუციურად გამოცხადებულმა ნორმამ და ვისაც მიმართული ჰქონდა კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, ხოლო სარჩელით – საერთო სასამრთლოსათვის და მეორე ჯგუფი – სხვა დანარჩენი პირები, რომელთა უფლებაც ასევე შეიღახა ძალადაკარგული ნორმით, თუმცა აღნიშნულის თაობაზე არ უდავიათ. მოცემულ შემთხვევაში კი, პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მოსარჩელეს არა მხოლოდ მიმართული ჰქონდა საკონსტიტუციო სასამარ-

თლოსთვის იმ ნორმის არაკონსტიტუციურობის მოთხოვნით, რომლის საფუძველზეც იგი განთავისუფლდა სამსახურიდან, არამედ საკითხი მის სასარგებლოდ იყო კიდეც გადაწყვეტილი. ამდენად, პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, ზოგადი წესის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, თუმცა საერთო სასამართლოში მიმდინარე (დაუსარულებელი) სამართლარმოების პირობებში, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიულად ამოქმედება აღნიშნული პირის მიმართ.

23. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ამოქმედების მომენტთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ენინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება, ეს გულისხმობს ასევე იმას, რომ საერთო სასამართლოს მოსამართლეს უფლება არ აქვს მოცემული საკითხი გადაწყვიტოს საკონსტიტუციო სასამართლოსაგან განსხვავებულად.

24. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამოიცა ადმინისტრაციული აქტი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და თავად მოსარჩელის საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე (და არა მოსამართლის წარდგინებით), პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მოხდა იმ ნორმის არაკონსტიტურად ცნობა, რომელსაც განთავისუფლების აქტი დაეფუძნა. პალატამ განმარტა, რომ ამგვარ ვითარებაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინ უსწრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლისთვისაც უკვე ცნობილია ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე, გაუგებარია, რატომ უნდა ცვლიდეს ვითარებას საერთო სასამართლოს მოსამართლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიუმართაობის ფაქტი და რატომ არ უნდა მოქმედებდეს რეტროაქტიულად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ურთიერთობაზე, რომელზეც სამართალნარმოება ჯერ არ დასრულებულა. პალატის მოსაზრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში ამოქმედების საკითხი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ წარდგინების არარსებობამ მოსარჩელისათვის საუარესოდ არ უნდა იმოქმედოს, მაშინ, როდესაც სახეზეა მოსარჩელის კონსტიტუციური სარჩელი და მით უფრო მისი დაკავყოფილების ფაქტი.

25. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსამარ-

თლის წარდგინებისა და პირის კონსტიტუციური სარჩელის საერთო სა-სამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებისათვის იდენტურ მნიშვნელობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ განსახილველი მრომითი და-ვა, რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, პირველი ინსტანციის სა-სამართლოში მცირე ვადაში უნდა დასრულებულიყო, დასრულდა თით-ქმის 5 წლის შემდეგ. აღნიშნული ფაქტი და პირველი ინსტანციის სასა-მართლოს სხდომის ოქმების შინაარსი კი, სააპელაციო პალატის შეფა-სებით, იმაზე მეტყველებდა, რომ სასამართლო დაელოდა საკონსტი-ტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც მხოლოდ იმით შეიძლე-ბა აიხსნას, რომ მას აინტერესებდა და სურდა გაეზიარებინა საკონ-სტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა ამავდროულად, გა-უგებარი იყო, რატომ არ გაითვალისწინა პირველი ინსტანციის სასამარ-თლომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუცი-ურად ცნობის ფაქტი.

26. სააპელაციო პალატამ მიუთითა სისხლის სამართლის კანონმდებ-ლობაზეც და მიუთითა, რომ აღნიშნული კანონმდებლობა ითვალისწი-ნებს სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასა-მართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნოამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი. ამდენად, სასა-მართლო გაუგებრად მიიჩნევს, რატომ არ არსებობს ამგვარი მექანიზ-მი სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეებთან მიმართე-ბით და დამატებით აღნიშნავს, რომ თუკი არსებობს ნორმის განმარ-ტების საჭიროება და საშუალება, საერთო სასამართლოს მოსამართლე ვალდებულია განმარტოს ასეთი ნორმა.

27. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვი-სა და შიდა კონტროლის სამსახურის უფროსის ცნობის თანახმად დად-გენილად მიიჩნია, რომ 2022 წლის 12 ივლისის მდგომარეობით თბილი-ის საქალაქო სასამართლოს აპარატის ...ის სამსახურში ვაკანტური იყო სამსახურის უფროსის – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელ-მძღვანელის – 1 საშტატო ერთეული, სამსახურის უფროსის მოადგი-ლის – პირველი კატეგორიის უფროსის სპეციალისტის 2 საშტატო ერთე-ულიდან – 1 საშტატო ერთეული და ...ის – ...ის 64 საშტატო ერთეული-დან – 12 საშტატო ერთეული. ამდენად, სასამართლომ 2022 წლის 12 ივლისის წერილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ვინაიდან ჯ. ც-ე დანიშნული იყო ...ის თანამდებობაზე, ვაკანტური იყო ზემოაღ-ნიშნული თანამდებობის ტოლფასი 12 საშტატო ერთეული და განმარ-ტა, რომ მოპასუხეს უნდა გამოეცა ჯ. ც-ეის თბილისის საქალაქო სასა-მართლოს აპარატის ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე აღდგენის

შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

28. სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ შრომითი გასამრჯელოს იძულებით განაცდური წარმოადგენს ზიანის ერთეულთ სახეს, რომლის ანაზღაურებაც გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის კი სახეზე უნდა იყოს ზიანი, იგი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებით ზიანის მიყენების საკითხის განხილვისას, ასევე, უნდა დადგინდეს, რომ ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, გამომდინარეობდა მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადასტურებული იყო მოპასუხე თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც მოსარჩევემ ვერ მიიღო თანამდებობრივი ანაზღაურება, შესაბამისად, განვლილ პერიოდზე მას მიუღებელი თანხის ოდენობით მიადგა მატერიალური ზიანი.

29. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

30. კასატორი არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ მსჯელობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჯ. ც-ეის მიმართ რეტროაქტიულად ამოქმედების შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსა და დასაქმებულს შორის დასრულებული იყო. ამდენად, კასატორმა აღნიშნა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ჯ. ც-ეის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანების კანონიერების საკითხი.

30.1. კასატორმა აღნიშნა, რომ დროში გავრცელების მიხედვით არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამი სახის ეფექტი. პირველი („ex nunc“) გულისხმობს, რომ ნორმა ძალადაკარგულად ცხადდება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან/ გამოქვეყნებიდან და მანამდე არსებული ურთიერთობები ან ნორმის საფუძველზე

ინარჩუნებენ ძალას. მეორე არის „ex tunc“, რომელიც გულისხმობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს რეტროაქტიული ეფექტი და ამ დროს ფაქტობრივად ხდება ნორმის არარად აღიარება, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გაუქმდეს ყველა ის ურთიერთობა და ქმედება, რაც აღნიშნული ნორმის საფუძველზე შეიქმნა. მესამე – „pro future“ კი მიმართულია მომავალზე და გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნორმის გაუქმების შესახებ მოქმედებას იწყებს მომავალში, კონკრეტულ დროს.

31. კასატორმა მიუთითა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტსა და 23-ე მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედებს „ex tunc“ მოდელი. ამასთან კასატორი მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილებასა („ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მაისის №ას-1004-2020, 2015 წლის 24 სექტემბრის №ას-653-620-2014, 2014 წლის 25 მარტის №ას-495-471-2013, 2015 წლის 9 თებერვლის №ას-1186-1128-2014, 2022 წლის 18 ოქტომბრის №ბს-376(კ-22) განჩინებებში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე და განმარტა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ სცდება აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებს, ვინაიდან ფაქტობრივად არსებული მოდელი არ მოიცავს უკვე დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს და შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი და მისი ნაწილი ძალას კარგავს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რაც გულისხმობს, რომ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება, ვინაიდან აქტის არაკონსტიტუციურობა არ ვრცელდება არაკონსტიტუციურად გამოცხადებამდე აქტით მოწესრიგებულ სამართალურთიერთობაზე. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ უნდა მიენიჭოს უკუძალა.

32. კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ განსახილველ საქმეზე მოსამართლის წარდგინებასა და პირის კონსტიტუციურ სარჩელს არასწორად მიანიჭა იდენტური მნიშვნელო-

ბა, ვინაიდან ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელისა და საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე მიმდინარე საკონსტიტუციო სამართლწარმოება და მათი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავდება.

33. თბილისის საქალაქო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საერთო სასამართლოებში საქმის განხილვისას ან მანამდე დარღვეულ უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის საფუძვლით, საერთო სასამართლოში საქმის წარმოების შეჩერების შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სასამართლო მხოლოდ მაშინ შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას იგი თავად დაასკვნის, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს, შეიძლება იქნეს მიჩნეული მთლიანად ან ნაწილობრივ კონსტიტუციის შეუსაბამოდ. ამდენად, კასატორი აღნიშნავს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს (კალსახა და ერთმნიშვნელოვანი შეფასება იმის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო დაელოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

34. რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გაკეთებულ ანალოგიას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან, კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობა – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადაისინჯოს განაჩენი – წარმოადგენს საერთაშორისო, კონვენციურ და კონსტიტუციურ პრინციპს. კასატორი მიიჩნევს, რომ მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კანონმდებლის მიზანი, არ დაუშვას პირის მსჯავრდება ის ნორმის საფუძველზე, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნება მიჩნეული. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები კი ფუნდამენტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლწარმოებაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის უკუძალის მინიჭება შესაძლოა არ იყოს თანხვედრაში საპროცესო სამართლის ისეთ პრინციპებთან, როგორებიცაა თანასწორობა, შეჯიბრებითობა, სასამართლოსთვის მიმრთვის გზით მოპოვებული უფლების სტაბილურობა და სამართლებრივი უსაფრთხოება.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებუ-

ლი თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი.

35.1. 2023 წლის 6 ივნისს ჯ. ც-ემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა საკასაციო შესაგებელი, რომელშიც აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მიმდინარეობისას, 2017 წლის 4 დეკემბერს, დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და შეჩერდა საქმის განხილვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურის მიერ მისი სარჩელის გადაწყვეტამდე. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სასამართლო საქმის შეჩერებით დაეთანხმა პოზიციას, რომ სადაცო საკითხი ვერ გადაწყვდებოდა მანამ, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებდა გადაწყვეტილებას. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში განახლდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისა და მოსარჩელის მიერ საქმის განახლების თაობაზე არაერთი განცხადების წარდგენის შემდგომ.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

37. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

38. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ...ს დაბადებული ჯ. ც-ე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 აპრილის №35-პ ბრძანებით, 2014 წლის 10 აპრილიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე და თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 895 ლარის ოდენობით.

39. ასევე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ი - ჯ. ც-ე 2016 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ზღვრული, ანუ 50 წლის მიღწევის გამო.

40. საქმეზე დადგენილია, რომ ჯ. ც-ემ 2016 წლის 6 ივნისს კონსტი-

ტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №767) მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, 2016 წლის 6 ივნისს გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას, რომლის 2016 წლის 18 ნოემბრის №2-3/8/767 განჩინებით კონსტიტუციური სარჩელი №767 („საქართველოს მოქალაქე ჯ. ც-ე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) განსახილველად გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელები №767 და №1272 („საქართველოს მოქალაქე-ები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და კამაყოფილდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

42. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანების გამოცემის დროს მოქმედებდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება, რომლითაც სასამართლო ...ის სამსახურის ზღვრულ ასაკს შეადგენდა 50 წელი. აღნიშნული ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2018 წლის 14 დეკემბერს.

43. ... წლის ... ს დაბადებულ ჯ. ც-ეს 50 წელი შეუსრულდა ... წლის ... ს, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ი – ჯ. ც-ე 2016 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა და კავებული თანამდებობიდან, ორგანული კანონით დადგენილი სამსახურის ზღვრული ასაკის ანუ 50 წლის მიღწევის გამო.

44. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველი საკითხი ეხება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული, კანონი-ერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-

ლად ცნობის შესაძლებლობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის (ნორმის) არაკონსტიტუციურად ცნობის გამო და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიულად გავრცელებას, გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე.

45. საკასაციო პალატის მითითებით, იმისათვის რომ ადამიანი შეძლოს საკუთარი ქმედების ნორმასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც შეძლებს მომავალში წარმოშობს, აუცილებელია ნორმა იყოს ცხადი და კონკრეტული შედეგის დამდგენი, რაც განამტკიცებს მოქალაქეთა ნდობას ზოგადად სამართლის მიმართ. მოქალაქის ნდობას შეიძლება გამოეცალოს საფუძველი, როდესაც წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებში ნორმის არსებითად შეცვლა ხდება. ეს პრობლემა წარმოიშობა როგორც კანონის უკუძალით გამოყენებისას, ასევე განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როდესაც საქმე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით გამოყენების შესაძლებლობას სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე.

45.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებაზე საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 26-27) და განმარტა, რომ „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუზღუდავად გასაჩივრების შესაძლებლობა შექმნიდა მოდავე მხარეთა ურთიერთობებში მუდმივ გაურკვევლობას და იმის საშიშროებას, რომ დავა და კონფლიქტი ვერსადროს პოვებდა საბოლოო გადაწყვეტას. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იმ პრეზუმაციის მატარებელია, რომ საკითხი მხარეთა შორის გადაწყდა სწორად და რომ ისინი ამ საკითხთან, უფლებასთან, სიკეთესთან, ქონებასთან და კავშირებით შემდგომ სამართლებრივ ურთიერთობებს გააგრძელებნ გადაწყვეტილებით დადგენილი სინამდვილის გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით ან მისგან გამომდინარე. ამიტომ პოტენციური მოპასუხედაცული უნდა იყოს იმსგან, რომ კვლავ დადგეს ძველი სარჩელის წინაშე, რომელიც ერთხელ უკვე გადაწყვეტილი იყო სასამართლოს მიერ, ამასთან, დაცული იყოს იმისგან, რომ საეჭვო, სათუო გახდეს მის მიერ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები. საბოლოო ჯამში, დაუსრულებელი დავის შესაძლებლობა დააფრთხობს პირებს, გაართულებს სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას –

უფლების მუდმივი საეჭვონობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სი-ცოცხლისუნარიანობას, რადგან ის ვერ იქნება გამოყენებული მომავალი ურთიერთობების დასამყარებლად, უფლებების შესაძენად“. მოცე-მულ საქმეზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ურად-ლება გაამახვილა სამართლებრივი უსაფრთხოების მნიშვნელობაზე და სახელმწიფოს მხრიდან მის უზრუნველყოფაზე. სამართლებრივი უსაფ-რთხოება წარმოადგენს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუ-ძალის აკრძალვის ლეგიტიმურ საფუძველს.

45.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „თანამედროვე სახელმწიფოს სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელო-ვანეს პირობას წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პრიორიტეტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრა, ხელისუფ-ლებისა და ადამიანის ურთიერთობის გონიურულად დაბალანსებული სისტემის შექმნა. ეს, პირველ რიგში, გამოხატულებას პოვებს ყოველი კონკრეტული უფლების მინარესისა და ფარგლების ადეკვატურ საკა-ნონმდებლო განსაზღვრაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-თლოს 2007 წლის 2 ივლისის № 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „სა-ქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ვი-ნაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მი-სალწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც, როგორც მიზნის მიღწევა იქნება გარანტირებული, ასევე თანაზომიერების პრინციპი იქ-ნება დაცული“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება № 1/2/411 საქმეზე „შპს „რუსე-ნერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინ-დივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღ-მდეგ“). ამდენად, კანონმდებელმა, საკონსტიტუციო სასამართლოს გა-დაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელის შერჩევისას უნდა და-იცვას ბალანსი, ერთი მხრივ, ინდივიდუალური უფლების დაცვის საშუ-ალებასა და მეორე მხრივ, სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინ-ციპს შორის. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწ-ყვეტილების სამართლებრივი ძალის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებს კი საერთო სასამართლოები ვერ გასცდებიან, ვინა-იდან სხვადასხვა სისტემებს შორის, რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება არ შედის საერთო სასამართლოების უფლებამოსილების სფე-როში და წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლების გადასაწყვეტ საკითხს.

46. სადავო საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით ძირითადად განასხვავებენ სამ მოდელს – Ex tunc, Ex nunc და Pro futuro.

46.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex tunc ეფექტი ნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელებას მის გამოქვეყნებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურ კანონს Ex tunc ე.ი. რეტროაქტიული ეფექტით აცხადებს ძალადაკარგულად, იქმნება ისეთი ვითარება, რომ ნორმა საერთოდ არ არსებობდა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს რეტროაქტიული ეფექტი, რაც ნიშნავს იმას, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა აღარ გამოიყენება იმ სამართალურთიერთობის თუ ფაქტების მიმართ, რომლებიც წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე.

46.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc მოდელი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს კანონის განსაზღვრულობის და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებს, ადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სადავო ნორმა, სამართლებრივ შედეგს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, ხოლო ძალადაკარგული არაკონსტიტუციური ნორმა მოქმედებს იმ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშვა სადავო ნორმის მოქმედების პერიოდში ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებამდე ან გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გვიანდელ თარიღამდე. არაკონსტიტუციური ნორმა ვრცელდება იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე წარმოიშვა. ე.ი. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა გამოიყენება ნორმის გაუქმებამდე წარმოშობილი სამართალურთიერთობის მიმართ. Ex Nunc სისტემის მოქმედების პირობებში გამონაკლისის სახით ასევე შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ძალით გავრცელება სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე, მაგ. საერთო სასამართლოებში მიმდინარე საქმეებზე, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილებით კანონმდებელმა უნდა აღჭუროს საკონსტიტუციო სასამართლო და პირდაპირ მიანიჭოს საამისო უფლებამოსილება მას. ასეთი საკანონმდებლო ჩანაწერის არარსებობის პირობებში (იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2

პუნქტი) სასამართლობი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თვით-ნებურად აღიძურვონ მსგავსი უფლებამოსილებით. საკასაციო სასამარ-თლოს მსჯელობას ამყარებს ის გარემოება, რომ კანონმდებელმა თა-ვად განსაზღვრა გამონაკლისი შემთხვევები, რაც მოცემულია „საქარ-თველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლში, რომელიც ეხება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვე-ტილებების (განაჩენების) აღსრულების შეჩერებას, სხვა შემთხვევას (გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით გათვა-ლისნინებული შემთხვევებისა) სამოქალაქო და ადმინისტრაციული კა-ტიეგორიის საქმეების მიმართ მოხმობილი ნორმა არ ითვალისწინებს. მაგალითისათვის საკასაციო პალატა მიუთითებს ავსტრიის ფედერა-ლური საკონსტიტუციო კანონის 140-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლი-თაც დეტალურად არის დარეგულირებული საკონსტიტუციო სასამარ-თლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი, ასევე თავად კა-ნონმდებელი მიუთითებს მიმდინარე საქმეზე, რომელზეც სასამარ-თლომ მიიღო გადაწყვეტილება და რომელმაც ბიძგი მისცა ნორმის არა-კონსტიტურად ცნობას, როგორც გამონაკლის შემთხვევაზე, რო-მელზეც ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილე-ბით დადგენილი შედეგი. კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამარ-თლოს დამატებით ანიჭებს უფლებამოსილებას თავად განსაზღვროს საკუთარი გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი. გერმანიის ფე-დერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის წ35 ასე-ვე ანიჭებს უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლოს, თავად განსაზღვროს საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების წესი. საქარ-თველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტით კი არაკონსტი-ტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს საკონსტი-ტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყ-ნების მომენტიდან ან გვიანდელი თარიღიდან, რაც არ იძლევა საკონ-სტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექ-ტით გამოყენების შესაძლებლობას და არ იწვევს გადაწყვეტილების მი-ღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე (სამოქალაქო/ადმინისტრა-ციული კატეგორიის დავებზე) მის გავრცელებას. ასევე, არც მიმდინა-რე საქმეს ასახელებს კანონმდებელი როგორც გამონაკლის შემთხვე-ვას და არც საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს ფართო უფლება-მოსილებას თავად დაადგინოს საკუთარი გადაწყვეტილების აღსრუ-ლების წესი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc ფუნქციის მოქმედების ვითარებაში ნორმატიული აქტის არაკონსტი-ტუციურად აღიარება არ იწვევს მის საფუძველზე წარმოშობილი სა-მართლებრივი ურთიერთობების შეცვლას. აღნიშნული ნორმა განსხვა-

ვებულად ვერ განიმარტება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლწარმოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ადმინისტრაციულ დავაში ვერტიკალური ურთიერთობებია მოცემული, ხოლო სამოქალაქო ურთიერთობისას – ჰორიზონტალური, რადგან ხელისუფლების დანანანილების პრინციპიდან გამომდინარე, კონსტიტუციით განსაზღვრულისგან განსხვავებულად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლების განმარტება, კანონმდებლობის ცვლილების გარეშე, საერთო სასამართლოების უფლებამოსილების ფარგლებს სცდება.

46.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro futuro ეფექტისას, საკონსტიტუციო სასამართლო ძალადაკარგულად აცხადებს ნორმას მომავალში კონკრეტული თარიღიდან და ადგენს სადაც ნორმის გამოყენებას გადაწყვეტილებაში მითითებულ თარიღამდე. საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას Pro futuro სამართლებრივ ძალას ანიჭებს იმ შემთხვევაში თუ დაადგენს, რომ კანონმდებელს სჭირდება დრო, რათა ცვლილება შეიტანოს არაკონსტიტუციურად გამოცხადებულ ნორმაში. აღნიშნული უფლებამოსილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლიდან, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე.

47. განსახილეველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას რეტროაქტიული ეფექტი მიანიჭა იმ დასაბუთებით, რომ დავა წარმოადგენდა მიმდინარე დავას, მოსარჩელე კი – საკონსტიტუციო სარჩელის ავტორს და აღნიშნული საქმეები სიხრონულად განიხილებოდა საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში. თუმცა სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია კონკრეტული ნორმა, რომელიც ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვდა საერთო სასამართლოს. მიმდინარე დავაზე გამონაკლისის სახით რეტროაქტიული ეფექტის დადგენა, საქართველოში არსებული კონსტიტუციური მოდელის პირობებში, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და დაუსაბუთებელია იმ მხრივაც, რომ ტერმინი – მიმდინარე დავა სხვადასხვაგარი განმარტების შესაძლებლობას იძლევა, მაგალითად, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ერთვიანი ვადის დაცვით, ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, რთულია იმის თქმა, რომ ასეთი დავა არ იქნება მიმდინარე დავა, რამდენადც ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ერთვიანი ვადა არ იქნება გასული, ხოლო ამგვარი განმარტების დაშვება სხვა არაფერია თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილები-

სათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭება. იგივე ითქმის საკონსტიტუციო სასამართლოში დავის დასრულების შემდეგ კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მიერ სარჩელით საერთო სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში, რამეთუ ტერმინის ფართო გაგებით მიმდინარე დავა შესაძლოა, ასევე ერთი მთლიანი დავის ორ ნაწილად წარმოსდგეს ჯერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის და შემდეგ, დავის დასრულების შემთხვევაში, საერთო სასამართლოში სარჩელის აღძვრის გზით, რაც ასევე წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭებას. სხვადასხვა შემთხვევებზე საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ მიზნით, რომ წარმოეჩინა ის სირთულე, რის წინაშეც აღმოჩნდებიან საერთო სასამართლოები, მყარად განსაზღვრული ნორმისა და კანონში ასახული კანონმდებლის ნების საწინააღმდეგო განმარტების შედეგად. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ეფექტის თვითნებურად მინიჭების შემთხვევაში, ფაქტობრივად ხდება კანონმდებლის მიერ არსებული Ex nunc მოდელის თვითნებურად ანულირება საერთო სასამართლოების მიერ და კანონით გაუთვალისწინებელი Ex Tunc მოდელით მისი ჩანაცვლება სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის დავებზე, რისი უფლებამოსილებაც, როგორც უკვე აღინიშნა, საერთო სასამართლოებს, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, არ გააჩნიათ.

48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტის ფარგლები შეაფასა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი 40765/02, გ42-გ44), სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალნარმოება ასევე განსხვავდება მაგალითად გერმანიის, ესპანეთისა და ჩეხეთის პრაქტიკისგან. ამ ქვეყნებში არსებობს მიმართვის „სპეციალური“ კონსტიტუციური საშუალებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოებს აძლევს შესაძლებლობას, გამოასწოროს ოფიციალურ უწყებათა მიერ უფლებათა დარღვევები ან კიდევ, როდესაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევა წარმოადგენს არა გადაწყვეტილების, არამედ სხვაგვარი ჩარევის შედეგს, აუკრძალოს შესაბამის უწყებას, განაგრძოს აღნიშნული უფლების დარღვევა და მიუთითოს მას, რომ თუკი ეს შესაძლებელია, აღადგინოს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა – *statu quo ante* (Hartman c. République tchèque, no 53341/99, გ49, CEDH 2003-VIII, et Sürmeli c. Allemagne [GC], no 75529/01, გ62, CEDH 2006-VII)“. აღნიშნული მიმართვის საშუალება ასევე იძლევა იმ დარღვევათა გამოსწორების შესაძლებლობას, რომელთა

მყისიერი და პირდაპირი საფუძველი სასამართლო ორგანოს ქმედებაში ან უმოქმედობაში მდგომარეობს იმ ფაქტებისგან დამოკიდებულად, რომლებიც საფუძვლად დაედო საქმის წარმოებას; არაკონსტიტუციური კანონის გაუქმება იწვევს სასამართლოების ან სახელმწიფო უწყებების მიერ, აღნიშნული კანონის საფუძველზე მიღებული ყველა საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმებას (იხ. Riera Blume et autres c. Espagne (déc.), no 37680/97, CEDH 1999-II, et Voggenreiter c. Allemagne, no 47169/99, §23, CEDH 2004-I). ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსარჩელის უფლებებზე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას. მსგავს ფორმულირებას შესაბამის ნორმასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტაც კი არ შეუძლია, ის მხოლოდ მისი აღსრულების შეჩერებას იწვევს. სასამართლომ უკვე აღნიშნა – იმისათვის, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას და არ უნდა სთავაზობდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების მხოლოდ უბრალო, ირიბ დაცვას (იხ. Merit, ხსენებული ზემოთ, წ59 და Deweert c. Belgique, 27 février 1980, §29, série A no 35)“. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ჯერ კიდევ 2006 წელს მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ინდივიდუალურ კონსტიტუციურ სარჩელებზე ეფექტურად ვერ აღადგენს თავდაპირველ უფლებრივ მდგომარეობას და ვერ დაედება საფუძვლად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული აქტების გაუქმებას. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ გამოსავლის სახით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების რეტროაქტიული ეფექტი უნდა გაძლიერდეს ან სასამართლოს რეალური საკონსტიტუციო კონტროლის უფლებაუნდა პქონდეს, რაც მიღწევადია მხოლოდ კანონმდებლობის ცვლილების შედეგად და არა ნორმის განმარტების გზით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამავე საქმეში (აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი 40765/02, წ30) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებაზე, რომ 1999 წლის 19 აპრილის ვენეციის კომისიის დასკვნით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შე-

სახებ” და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონებში შესატან საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტზე კომისიამ აღნიშნა: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხასიათდება გაურკველობით მათი აღსრულების თვალსაზრისით. აღნიშნული სირთულის გადასაწყვეტად, ქართველ კანონმდებელს შეეძლო, გამოეყენებინა გერმანიის კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რომლის 35-ე მუხლის თანახმად: „ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, თავის გადაწყვეტილებაში, განსაზღვროს, თუ ვინ უნდა აღასრულოს ის. მას ასევე შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, განსაზღვროს აღსრულების მეთოდი.“ საკასაციო პალატამ უკვე მიუთითა, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 35-ე პარაგრაფის მსგავსი რეგულირების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ექნებოდა უფლებამოსილება, თავად გადაწყვეტა გადაწყვეტილების აღსრულების მეთოდი (ფარგლები), თუმცა მსგავს უფლებამოსილებას კანონმდებელი საქართველოს საკონსტიტუციო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ სასამართლო ორგანოს, რომელიც არ შედის საერთო სასამართლოების სისტემაში) ან/და საერთო სასამართლოებს არ ანიჭებს.

49. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამჟამად საქართველოში მოქმედი მოდელის პირობებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე მატერიალურ სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას და მის ძალადაკარგულად გამოცხადებას არ მოჰყება ნორმის არაკონსტიტუციურობით გამოწვეული შედეგების აღდგენა. საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლოა მიენიჭოს დასკრეცია, გადაწყვეტოს თავისი გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა დროში, ანუ დაადგინოს რეტროაქტიულობა, ისე როგორც ზოგიერთ შემთხვევაში, უფლებამოსილია ნორმის გაუქმება მომავალში კონკრეტულ თარიღს დაუკავშიროს (მაგ. ადმინისტრაციული კატეგორიის დავის – საგადასახადო დავის დროს გადასახადის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია ქვეყნის ფინანსებსა და ეკონომიკურ მდგრადობასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭებამ შესაძლოა სახელმწიფოში ეკონომიკური კრიზისი წარმოქმნას). ასევე შესაძლებელია კანონმდებლობით დარეგულირდეს ის მოქმედებები, რომელიც უნდა განხორციელდეს არაკონსტიტუციური ნორმის შედეგების აღმოსაფხვრელად, ეს შესაძლოა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გახდეს კანონმდებლობის მსჯელობის საგანი ან ზოგადად დარეგულირდეს კანონმდებლობით სამართალწარმოების სპეციალური სახე, რომელიც მიმართული იქნება არაკონსტიტუციურად ცნობი-

ლი ნორმის მოქმედებით დაზარალებულთა უფლებების აღსადგენად იმ ფარგლებში, რომელსაც ასეთი შემთხვევებისთვის განსაზღვრავს კანონმდებელი. ასევე შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერთოს უფლებამოსილება, ძალადაკარგულად ცნოს არაკონსტიტუციური ნორმა Ex tunc ეფექტით მისი მიღების თარიღიდან, რაც დაინტერესებულ პირს მისცემდა უფლებებში სრულად აღდგენის შესაძლებლობას.

49.1. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა საკონსტიტუციო სარჩელის ავტორისათვის, რომლის სარჩელის შედეგად გამოვლინდა არაკონსტიტუციური ნორმა, არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭებას და გამონაკლისის სახით, მის უკეთეს უფლებრივ მდგომარეობაში ჩაყენებას, იმ ადამიანებისაგან განსხვავებით, რომელსაც არ მოუმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოში დავის მოგების შემდგომ, საკონსტიტუციო სარჩელის ავტორი ვერ სარგებლობს რაიმე უპირატესობით სხვა პირებთან შედარებით, რომ სარჩელი აღძრას საერთო სასამართლოებში და მხოლოდ მის სარჩელზე მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტით გავრცელება და სარჩელის დაკმაყოფილება, რამეთუ საქართველოში მოქმედებს მკაცრი Ex Nunc მოდელი, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ნიშნავს იმას, რომ ნორმა სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან ან უფრო გვიანდელი თარიღიდან. საკასაციო პალატა კვლავ აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლი ფაქტობრივად კრძალავს Ex tunc ეფექტით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელებას/მოქმედებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. თუ არ შეიცვლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადწყვეტილების დროში მოქმედების დღევანდელი მოდელი, შესაძლოა, თავად საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვოს იმ უფლებამოსილებით, რომ განსაზღვროს იმ პირთა წრე, ვისაც შეეძლება გადაწყვეტილების რეტროაქტიული სამართლებრივი ძალით უპირატესობის მიღება და იმ ეტაპის განსაზღვრაც კი, რომელ ეტაპზე უნდა მოხდეს ეს – დასრულებული თუ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების, სამოქალაქო/ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის თუ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ან სხვა რომელიმე ეტაპიდან თუ თარიღიდან. სამართლებრივი ურთიერთობებისა და დავის მრავალფეროვნების გათვალისწინებით ყველა შესაძლო პრაქტიკულ შემთხვევას საკასაციო პალატა არ ჩამოთვლის, რამეთუ აღნიშნული პრობლემატიკის

ყველა ასპექტის განსაზღვრა უფრო მეტად თეორიული კვლევის სა-  
განს წარმოადგენს.

50. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ „საერთო სასამარ-  
თლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-  
4 პუნქტის მეორე წინადადება, რომელიც სასამართლოს ...ად სამსახუ-  
რის ზღვრულ ასაკად 50 წელს ადგენდა, არაკონსტიტუციურად იქნა  
ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14  
დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით. ჯ. ც-ების სამსახურიდან  
გათავისუფლებისა და სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტის, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდო-  
მარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანების გამოცემის მომენტში მოქ-  
მედი იყო საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნ-  
ქტის მეორე წინადადება. აღნიშნული ნორმის არაკონსტიტუციურობა  
დადგინდა ჯ. ც-ების სამსახურიდან გათავისუფლებიდან ორ წელზე მე-  
ტიპერიოდის გასვლის შემდეგ და საკონსტიტუციო სასამართლოს გა-  
დაწყვეტილებაში მიეთითა, რომ ნორმა ძალას კარგავდა გადაწყვეტი-  
ლების გამოქვეყნების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს  
2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილების სარეზო-  
ლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში მითითებულია არაკონსტიტუციური  
ნორმის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანუ-  
ლი კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადების ძალადა-  
კარგულად ცნობის მომენტი, კერძოდ, აღნიშნული ნორმა ძალადაკარ-  
გულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამარ-  
თლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან. საკონსტიტუციო სა-  
სამართლოს ვებგვერდზე გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2018 წლის  
14 დეკემბერს. ძალადაკარგულად ცნობა ბათილად ცნობისა და არა-  
რად აღიარებისგან განსხვავებით წარსულში, სადაცო ნორმის ძალადა-  
კარგულად ცნობამდე არსებული შედეგების შენარჩუნებას ნიშნავს. მო-  
სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს  
გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგის მასზე გავრცე-  
ლება, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე გამოცემული ინდი-  
ვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნო-  
ბა, თანამდებობაზე აღდგენის დავალება და 2016 წლის 3 მაისიდან სამ-  
სახურში აღდგენამდე, თვეში 895 ლარის ოდენობით იძულებითი მოც-  
დენის დროს მიუღებელი შრომის ანაზღაურების დაკისრება. საკასა-  
ციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე სარჩელის დაკმა-  
ყოფილება ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილები-  
სათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭებას, რაც დასაშვებია მხოლოდ  
იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავს შესაძლებლობას კანონი ითვალის-  
წინებს.

**50.1.** საკასაციონ პალატა ასევე მიზანშენონილად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ შეუძლებელია იმპერატიულად ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭება სამოქალაქო დავებზე დაუშვებელია, ხოლო ადმინისტრაციული კატეგორიების დავებზე დასაშვებია, რადგან, ერთი მხრივ, ნორმის განმარტება ვერ დაეფუძნება მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარის სტატუსს (დავის საგანს), მეორე მხრივ კი, სახელმწიფო გამოდის რა როგორც კერძო სამართლის სუბიექტი სამოქალაქო დავებში, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სახელშეკრულებო დავა განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭება მხოლოდ დავის კატეგორიის მიხედვით, არ გამორიცხავს კერძო სამართლის სუბიექტის სანინააღმდეგო და სახელმწიფოს სასარგებლო შედეგის მიღების შესაძლებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და მხოლოდ დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათი არ ახდენს გავლენას ნორმის განმარტებაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას, რისი უფლებამოსილებაც კანონმდებლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიენიჭოს, რომელიც თავად განსაზღვრავს მიღებული გადაწყვეტილების რეტროაქტიულად გავრცელების მასშტაბს, რამეთუ თავად იკვლევს და აფასებს ნორმით დარეგულირებულ ურთიერთობებს და კონსტიტუციური პრინციპის, თანაზომიერების პრინციპის დაცვით, უზრუნველყოფს საჯარო და კერძო ინტერესთა შორის პროპორციული ბალანსის მიღწევას. აღნიშნული ფუნქციის საერთო სასამართლოების მიერ განხორციელება გარდა იმისა რომ არ გამომდინარეობს დღეს მოქმედი კანონმდებლობიდან, რომელიც არ იძლევა სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას, ასევე შექმნიდა იმის პრეცედენტს, რომ საერთო სასამართლოები, საკანონმდებლო რეგულირების გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლოს ნაცვლად მიანიჭებენ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლოს გადაწყვეტილებას რეტროაქტიულ ძალას.

**50.2.** საკასაციონ პალატა, სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ თუ კონსტიტუციის ნორმა საერთო სასამართლოს აძლევს იმის უფლებამოსილებას (რასაც საკასაციონ პალატა არ იზიარებს), რომ მიანიჭოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას რეტროაქტიული ეფექტი, მით უფრო საკონსტიტუციო სასამართლოს ექნებოდა უფლებამოსილება მისი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმა გამოეყენებინა და ნორმის განმარტების გზით თავად უზრუნველეყო და დაედგინა გადაწყვეტი-

ლების გავრცელების ფარგლები (როგორც ამას აკეთებს კიდევ იმ დროს, როდესაც ნორმას ძალადაკარგულად აცხადებს მომავალში კონკრეტული თარიღიდან), თუნდაც მიმდინარე დავებზე ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ასეთი არჩევანის წინაშე საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას სისხლის სამართლის დავებზე, რადგან ალნიშნული შემთხვევები წყდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, რა დროსაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას, ხოლო სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საპროცესო კანონ-მდებლობა ასეთ რეგულაციას არ შეიცავს.

51. საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას, რომ ხელისუფლების დანანილებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს შეესაბამება ის, რომ კანონი შეიცავს ზოგად და სპეციალურ ნორმებს, რომელთაც მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის სავალდებულო ძალა აქვს. ამიტომ, როგორც წესი, ამ ნორმების არსი ინტერპრეტაციის წესების მიხედვით უნდა იქნეს დადგენილი, რათა მოხდეს მათი დაცვა. მართალია, კოდიფიცირებულ სამართლებრივ სისტემებს აქვთ სამოსამართლეო სამართლის კომპონენტი, რა დროსაც მოსამართლე ავითარებს და აზუსტებს სამართლის ნორმას ან ნორმის იმ ნაწილს, სადაც ინტერპრეტაციის რამდენიმე ალტერნატივისათვის ღია სივრცე არსებობს, თუმცა ეს შესაძლებელია იქ, სადაც კანონი შეიცავს ხარვეზს ან იგი განვრცობას საჭიროებს, ხოლო იქ, სადაც კანონმდებელმა სამართლებრივი საკითხები გადაწყვიტა და შესაძლებელია კანონმდებლის მიერ კანონში ასახული წების დადგენა, სამართლის შემფარდებლისათვის ნორმის მოცემული კრიტერიუმების შესრულება სავალდებულოა. შესაძლებელია სიტყვების არაზუსტი მნიშვნელობები ინტერპრეტაციით დაკონკრეტდეს, მაგრამ ზუსტი მნიშვნელობისათვის იმ შინაარსის მიცემა, რომელიც მისი შექმნის არს სენინააღმდეგება, დაუშვებელია, რამეთუ კანონის გაგება ნიშნავს, რომ კანონის სიტყვებს ის ზოგადი წარმოდგენითი შინაარსი მიუსადაგო, რომლებიც ამ სიტყვებით უნდა იქნეს აღნიშნული (სუსგ №ბს-674(კ-21), 28.09.2023წ.).

51.1. საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მოსარჩელისათვის სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა ვერც ნორმის contra legem ან Praeter legem განმარტების გზით. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ

ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვა-დას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგა-ნული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით, არაკონსტიტუციურად ცნო-ბილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტი-ტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყ-ნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას. „საქართვე-ლოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით ამ კანონის მე-19 მუხლის პირვე-ლი პუნქტის „ა“ (საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქარ-თველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკით-ხები), „ე“ (საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის სა-კითხი) და „ლ“ (ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით) ქვეპუნ-ქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე კონსტიტუციური სარჩელის დაკამაყოფილება, აგრეთვე იმავე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვე-პუნქტით (საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე მუხლებთან ნორ-მატიული აქტების შესაბამისობის საკითხი) და მე-2 პუნქტით (თუ სა-ერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი გარაუდი, რათა ის ნორმატი-ული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტილას უნდა გა-მოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონ-სტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუ-ციონ სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ) გათვალის-წინებულ შემთხვევებში ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონ-სტიტუციურობის დადასტურება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნო-ბილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქ-ვეყნების მომენტიდან. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესა-ხებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვე-

ტილების მიმართ რეტროაქტიული ეფექტის გამოყენებას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლით კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, ინვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი სამართალუროთიერთობა საჯარო სამართალუროთიერთობათა არიგს განხეულობა, პრინციპი – „ნებადართულია ის, რაც აკრძალული არ არის“ – კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს, საჯარო სფეროში კი მოქმედებს უკუპრინციპი – „აკრძალულია ის, რაც დაშვებული არ არის“. ამდენად, დასახელებული ნორმები ადგენენ, რომ არაკონსტიტუციური ნორმა ძალას დაკარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღეს, ან მომავალში კონკრეტული თარილიდან და გადაწყვეტილება გავლენას ვერ მოახდენს გადაწყვეტილებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

51.2. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს ნორმის განმარტების ფარგლებზე და მიუთითებს, რომ *contra legem* განმარტება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როდესაც ამორალური და თვითნებური კანონი ენინაალმდეგება კონსტიტუციას და კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება მართლწესრიგთან არ არის თავსებადი და ადგენს უსამართლო შედეგს, ასეთ დროს ნორმა შეიძლება განიმარტოს *contra legem* ანუ ტექსტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის სანინაალმდეგოდ, რამეთუ განმარტება *contra legem* უპირატესობას ანიჭებს სამართალს, ამ ტერმინის ყველაზე ფართო მნიშვნელობით, რაც მოიცავს არა მხოლოდ კონსტიტუციით პირდაპირ განმტკიცებულ მართლწესრიგს (მოქმედი კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა, დოქტრინა და ა.შ.), არამედ ასევე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, თუმცა გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპებიდან, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა უზრუნველყოს კონკრეტული შემთხვევის სამართლიანი გადაწყვეტა, რამდენადაც სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური მართლწესრიგი უნდა იყოს სამართლიანი. სამართლის მიგნება და გადასაწყვეტი შემთხვევისადმი მისი მისადაგება მართლმსაჯულების ერთ-ერთი ფუნქციათაგანია, რაც მხოლოდ მოსამართლეს აღჭურავს უფლებამოსილებით, ნორმა განმარტოს *contra legem*. თუმცა ამ ფუნქციის განხორციელების დროს, იმისათვის, რომ მოსამართლემ არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაად-

გინოს სუბიექტური სამართლიანობა, იგი ვალდებულია იხელმძღვანელოს იმ ღირებულებებით, რომელიც სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედი სამართლის სისტემის საფუძველია, ხოლო სამართლიანობა წარმოადგენს სამართლის ერთ-ერთ და არა ერთადერთ კომპონენტს. ეს საკითხი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სოციალური დავებისას, რადგან სოციალური სამართლიანობის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, რამეთუ სოციალური სამართლიანობის გარეშე საზოგადოების წევრებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა შეუძლებელია, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ სახელმწიფოს, რომელიც არსებობს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. დასახელებული მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლითაც აღიარებულია, რომ სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. მითითებული პრინციპების განმტკიცების ერთ-ერთი საწინდარია ეფუქტური სამართლებრივი მექანიზმის არსებობის გზით დაინტერესებულ პირთათვის რეალური შესაძლებლობის შექმნა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დასაცავად.

51.3. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით, დაცული უნდა იყოს ლეგიტიმური მოლოდინები, რომელთა მიმართაც ინდივიდებს ნდობა გააჩნიათ. კანონით მინიჭებული უფლებების მიმართ მაღალია ინდივიდების ნდობის ხარისხი. აღნიშნული ნდობის გაუმართლებელი შერყევა უარყოფითად აისახება სამართლის მიმართ ხდობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებაზე. ყოველგვარი თვითნებური გადახვევა ამ წესიდან ენინააღმდეგება სამართლის ამოცანას – უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება. ეს მიზანი ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონის განმარტებისა და განვირცობისას. დავის სამართლიანი გადაწყვეტა სამართლის ერთ-ერთი ფუნქციაა, რაც კანონის განმარტების გზითაც ხორციელდება, რა დროსაც იმავდროულად მოწმდება კანონის განვირცობის საჭიროება. *contra legem* განმარტების დროს არსებობს წინააღმდეგობა ნორმის რამდენიმე მიზანს შორის. *contra legem* კი უპირატესობას ანიჭებს კონსტიტუციური მართლწესრიგიდან გამოდინარე სამართალს, რომელიც უზრუნველყოფს განსახილველი შემთხვევის ყველაზე სამართლიან გადაწყვეტას და სხვა არაერთ მიზანთან ერთად, სოციალური სამართლიანობის განმტკიცებას. თუმცა კანონის საწინააღმდეგო განმარტება, სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებს არ სცდება, რადგან *contra legem*

განმარტება გამოიყენება მოქმედი კონსტიტუციური მართლწესრიგის ფარგლებში.

51.4. ნინამდებარე შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ განმარტავს ნორმას მისი სიტყვასიტყვით მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ და ვერ დაადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (თუნდაც მხოლოდ „მიმდინარე დავებზე“) აქვს რეტროაქტიული ეფექტი აღმინისტრაციულ საქმეებზე, რადგან ასეთი განმარტება შეენინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ მართლწესრიგს და ამგვარი განმარტებით, როგორც უკვე მიეთითა, არ გამოირიცხება კერძო სამართლის სუბიექტის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა (პუნქტი 50.1.).

51.5. საკასაციო სასამართლო ვერ დაეყრდნობა ვერც Praeter legem განმარტებას, რა დროსაც ნორმის განმარტება არ შეესაბამება კანონის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, თუმცა არ ენინააღმდეგება მას. საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელს, აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი არ დუმს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის საკითხზე, რაც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას ნორმის შინაარსის განახლებისა და სადაცო ურთიერთობისადმი ნორმის მისადაგების გზით განევრცო ნორმის მოქმედების ფარგლები და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისათვის მიენიჭებინა რეტროაქტიული ეფექტი. იმ დროს როდესაც კანონი ცალსახად მიუთითობს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლებზე, მისი გავრცელება გადაწყვეტილების მიღებამდე არსებულ ურთიერთობაზე გამოიწვევს არა ნორმის შევსებას, რასაც მიზნად ისახავს Praeter legem განმარტებას, არამედ ნორმის საწინააღმდეგო განმარტებას, რაც შეუთავსებელია Praeter legem განმარტებისათვის.

52. საკასაციო პალატა აცნობიერებს, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობა შესაძლოა ამა თუ იმ მხარისათვის არ აღმოჩნდეს რეალური მექანიზმი უფლებების დასაცავად, თუმცა საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ იძლევა ნორმაში მოცემული დანაწესისაგან სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას. საქართველოში დამკვიდრებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელი რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ იძლევა უფლებებში აღდგენის შესაძლებლობას, განმარტებული აქვს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს, კერძოდ, საკონსტიტუციო სა-

სამართლო აღნიშნავს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და არსებობს საფრთხე, რომ პირის უფლებაში აღდგენა არ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 32).

52.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებელს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებისაგან განსხვავებული მიდგომა აქვს სისხლის სამართლის საქმეების მიმართ, რადგან განსხვავებულია დაპირისპირებული ინტერესი და, შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს მიდგომაც ამ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის არსებობის შეფასებისათვის.

52.2. სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიულ ძალაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი შეიძლება გაუქმდეს (შეიცვალოს) თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა საფუძვლად უდევს განაჩენს, რაც წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიულად გამოყენების მაგალითს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის მსგავსად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი ჩამოთვლის სამოქალაქო სამართალ-ნარმოებისას მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრების საფუძვლებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თუმცა ჩამონათვალში არ არის მოცემული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება. ამდენად, სამოქალაქო სამართალნარმოებაში საკონსტიტუციო სასამართლოს რეტროაქტიული ძალა არ აქვს. იგივე წესი ვრცელდება ადმინისტრაციული სამართალნარმოებისას, რაზედაც მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვარამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი ე.ი. ად-

მინისტრაციულ სამართალწარმოებისას ასევე გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი. როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს მონაწილეობით წარმოებული საქმეები ყოველთვის ვერტიკალური ურთიერთობით არ განსხვავდება სხვა საქმეებისაგან, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მითითება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადგებასთან, შესრულებასა და შენწყვეტასთან დაკავშირებულ დავებზე, რომლებიც განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, დავის ამათუ იმ კატეგორიისადმი კუთვნილების ან საქმეში მონაწილე სუბიექტთა მიხედვით სამართლის ნორმის სხვადასხვაგვარი განმარტება შეუძლებელს გახდის ნორმის განმარტებას.

52.3. შესაბამისად, საკასაციო პალატა განმარტების ფარგლების დარღვევით ვერ გააფართოებს ნორმის მოქმედების არეალს და ვერ მიანიჭებს მას ამ ნორმით განსაზღვრულისაგან სანინააღმდეგო შინაარსს. თუ კანონმდებელი მიზნად დაისახავდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულობას/ბათილობას, იგი დაადგენდა აღნიშნულ რეგულაციას და მიანიჭებდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას რეტროაქტიულ ძალას, ისე როგორც ამას აქვს ადგილი (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭებას) რამდენიმე გამონაკლის შემთხვევაში, კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩევლის დაკამაყოფილება იწვევს დანიშნული არჩევნების (რეფერენდუმის) გაუქმებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს; ამავე ორგანული კანონის 23-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩევლის დაკამაყოფილება იწვევს ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების მიხედვით) ბათილად ცნობას, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა ან მისმა ნაწილმა არსებითი და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგზე და არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის არარსებობის შემთხვე-

ვაში იქნებოდა არსებულისაგან განსხვავებული შედეგი; ამავე ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით (საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური ნარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი) გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს საქართველოს პარლამენტის: ა) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდენას, თუ პარლამენტმა მას ვადამდე შეწყვიტა უფლებამოსილება; ბ) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობას, თუ პარლამენტმა არ ცნო მისი უფლებამოსილება. მოხმობილი ნორმები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, როდესაც კანონმდებელი მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭებას, ამას პირდაპირ მიუთითებს ორგანულ კანონში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესი.

53. ვინაიდან კასატორის მოთხოვნას წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს კანონის უკუქცევით ძალასა და კანონიერი ადმინისტრაციული აქტის, შეცვლილი/გაუქმებული ნორმის საფუძველზე ბათილად ცნობის საკანონმდებლო შესაძლებლობაზე.

53.1. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, რომლითაც არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლით კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა

არა აქვს.

53.2. საკასაციონ პალატა მიუთითებს, რომ დასახელებული ნორმებიდან მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ზოგადად იმ გარემოებას, რომ კანონს და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს უკუქცევით ძალა არ აქვთ. ეს არის ზოგადი წესი, რომლიდანაც გამონაკლისი არის ის შემთხვევები, როდესაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებს კანონის უკუძალით გავრცელების შესაძლებლობას (თუ იგი არ არის ზიანის მომტანი ან არ აუარესებს პირის მდგომარეობას) ან თუ კანონი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას. საკასაციონ პალატა კვლავ მიუთითებს კანონმდებლის მიერ კანონში გადმოცემულ წებაზე, რაც ცხადად იყითხება მითითებულ ნორმებში (საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი; საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმები არ იძლევან საჯარო და კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ამ ნორმების განსხვავებულად განმარტების შესაძლებლობას, რამეთუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ როგორც სახელმწიფო, ასევე სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეები იმოქმედებენ სამართლით დადგენილ ფარგლებში და მათ მიერ განხორციელებული ქმედება შეფასდება არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში. გამონაკლისი მოქმედებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაწილში, როდესაც ახალი ნორმატიული სინამდვილე იყავებს ძველის ადგილს და აძლიერებს პასუხისმგებელი მიცემული პირის უფლებების დაცვის გარანტიებს. დანამაულის ჩადენის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლება-მოსილებათა სფეროს განეკუთვნება, რის გამოც ჩადენილი ქმედების გამო პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ერთ მხარეს ყოველთვის წარმოადგენს სახელმწიფო. ამდენად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენ ან პასუხისმგებლობის დამამდიმებელ ნორმატიულ აქტს უკუძალა არა აქვს. ამრიგად, კანონი იმ შემთხვევაში დაარღვევს დასახელებულ დანაწესს, თუ მას მიენიჭება უკუქცევითი ძალა და ამავე დროს ის ანესებს ან ამკაცრებს პასუხისმგებლობას. კანონისათვის უკუძალის პირდაპირ მინიჭების გარეშე, მხოლოდ კანონის მიღებით ან კანონის ცვლილებით კანონის მიღებამდე არსებული ნორმატიული სინამდვილე არ იცვლება. ამ საკითხზე საკასაციონ პალატა ყურადღებას ამახვილებს იმდენად, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავისი შინაარსით ნორმატიული ხასიათის არის და გარკვეულილად უტოლდება კანონის მოქმედებას არა ახალი კანონის მიღების მხრივ, არამედ მოქმედი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების, მისი გაუქმების გზით, რაც ცვლის

ნორმატიულ სინამდვილეს და წარმოშობს საკითხს ამ ცვლილებამ უნდა მოახდინოს თუ არა გავლენა ე.ი. უნდა შეცვალოს თუ არა კანონის გაუქმებამდე არსებული ნორმატიული სინამდვილე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას კი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა იძლევა, რომლითაც მკვეთრად არის გამიჯნული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო/ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი.

53.3. ასევე აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა ახლად გამოვლენილ გარემოებად მიიჩნია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგინდა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება (სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტები). დასახელებული საფუძვლებით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე შეიძლება კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (სსკ-ის 423.1 მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები). აქვე აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს 2010 წლის 4 მაისის №3046 – Iს კანონით დაემატა 34<sup>2</sup> მუხლი, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოიყენებოდა. აღნიშნული მუხლი გაუქმდა 2022 წლის 18 ოქტომბრის №1920 კანონით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რამაც შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საფუძველზე საქმის წარმოების განახლება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზეც. საკასაციო პალატის მიერ მოხმობილი ნორმები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებელს იდენტიფიცირებული აქვს როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასა-

მართლოს გადაწყვეტილების, ისე საერთაშორისო სასამართლოების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დროში მოქმედების სამართლებრივი შედეგის მნიშვნელობა, თუმცა განსხვავებულ რეგულაციებს აწესებდა/აწესებს სამართალწარმოების განახლების (გადაწყვეტილებისათვის უკუძალის მინიჭების) შესაძლებლობების მხრივ.

53.4. სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისი, რომელიც კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს მხოლოდ კანონით ან ნორმატიული აქტით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს უკუძალა, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ყოველი კონკრეტული ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე კანონმდებლის გადასაწყვეტია, რომელ კანონს (ნორმატიულ აქტს) მიანიჭებს უკუძალას (პასუხისმგებლობის შემასუბუქებელი ნორმის მიღების გარდა). კანონმდებლის უფლებამოსილება შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით, რამეთუ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით გამოყოფილია ის შემთხვევა, რასაც კანონმდებელი ვერ შეცვლის თავისი ნორმატიული ნებით, კერძოდ, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალას ვერ მიანიჭებს. ამ დებულებების უარმყოფელ ნორმას კანონმდებელი ვერ მიიღებს. სწორედ ამით არის განპირობებული განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა სამართალწარმოების მიმართ, ისევე როგორც კანონის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ კანონს აქვს უკუძალა და ცვლის დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობას, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო საქმეზე გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, გავლენას ახდენს არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ სისხლის სამართლის დასრულებულ საქმებზეც, ვინაიდან აღნიშნული კატეგორიის საქმეები უკავშირდება ადამიანისათვის ჩადენილი ქმედების გამოსახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის დაკისრებას. რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს, სადაც არ დგება ჩადენილი ქმედების გამო „პასუხისმგებლობის დაკისრების“ საკითხი, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 21 ივნისის №ბს-21-21(კ-07) გადაწყვეტილებაზე, სადაც დიდმა პალატამ განმარტა, რომ კანონის უკუძალის პრინციპი ორგანულადაა დაკავშირებული იურიდიულ პასუხისმგებლობასთან, გამოიყენება მასთან ერთობლიობაში და არ მოიცავს სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის საკითხს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხ-

ლის ნორმაც იმპერატიულად გამორიცხავს კანონისათვის მხოლოდ ნამდვილი უკუძალის მინიჭებას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. აღნიშნული ნორმაც უშუალოდ შეეხება იურიდიულ პასუხისმგებლობას. დიდი პალატა ასევე განმარტავს, რომ კანონის მოქმედება, როგორც წესი, ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა კანონის იურიდიულ ძალაში შესვლის შემდგომ. იგივე უნდა ითქვას წარსულში მომხდარი სამართლებრივი ურთიერთობების შედეგებთან დაკავშირებით, დღეს მოქმედი კონსტიტუციური მოდელის პირობებში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე, სადაც ადამიანისათვის ჩადენილი ქმედების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი არ დგას, დამდგარი შედეგი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ვერ შეიცვლება, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე შეიძლება გამოიწვიოს უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მიმართულებით.

54. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი (ასევე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი) წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის ამკრძალავ ნორმას. აღნიშნული ნორმის მიზანია არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან დაეკარგოს ძალა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გავრცელდება იმ სასამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანამდე წარმოშობილი და ამაზე მიუთითებს კანონმდებლის მიერ ზოგადი წესიდან გამონაკლისის დადგენა (თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას), როდესაც კანონმდებელს შეეძლო მიერთა ისეთი ფორმულირებისათვის, რომ არა კონსტიტუციურად ცნობილი აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის დრო არ დაეკავშირებინა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტისათვის და ასევე ნორმაში მხოლოდ სიტყვა „გვიანდელი“ არ მიეთითებინა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემდა უფლებამოსილებას, თავად განესაზღვრა გადაწყვეტილების ამოქმედებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის, უკუძალის საკითხი. დღევანდელი ფორმულირებით კი, კანონმდებელმა შეგნებულად შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწ

ყვეტილების მოქმედების ფარგლები და ფაქტობრივად აკრძალა (სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე) გადაწყვეტილების მიღებამდე, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელების შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტს დისკრეცია გადაწყვიტოს როდიდან შევა ძალაში მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება – გამოქვეყნების მომენტიდან, თუ მომავალში გარკვეულ დროს.

55. რაც შეეხება უშუალოდ სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, საკასაციო პალატა, განსახილველი საქმისათვის დამახასიათებელი ფაქტობრივი გარემოებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეაფასებს ადმინისტრაციული აქტის გაუქმების სხვადასხვა საფუძვლებს, რაც მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 – 61-ე მუხლებში და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლში. საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება გულისხმობს მატერიალურ-სამართლებრივ და ფორმალურ-სამართლებრივ კანონიერებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში ყურადღება ექცევა აქტის დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამდლვრები, რომელთა საფუძველზე გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანომოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაუდონ თავის გადაწყვეტილებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება კი დაკავშირებულა აქტის შინაარსთან და მოითხოვს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან. როგორც აღინიშნა, სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედებდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადება, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავდა სასამართლოების მანდატურად სამსახურის ზღვრულ ასაკს (50 წელი), და ავალდებულებდა მანდატურის დამსაქმებელ ადმინისტრაციულ ორგანოს 50 წელს მიღწეული მანდატური უპირობოდ გაეთავისუფლებინა სამსახურიდან. ამდენად, სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტი, გამოცემის დროს, გამომდინარეობდა და ეყრდნობოდა და საქართველოს ორგანულ კანონს, რომელიც, თავის მხრივ, არ ეწინა-აღმდეგებოდა იერარქიით ზემდგომ სამართლებრივ ნორმებს. ამდე-ნად, გამოცემის დროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდო-მარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანება აკმაყოფილებდა ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტისათვის დადგენილ მატერიალურ-სამართლებრივ და ფორმალურ-სამართლებრივ კრიტე-რიუმებს. რაც შეეხება უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების სამართლებრივ საფუძვლებს, საკა-საციონ პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ცვლილება (კანონის გაუქმება, ნორმის ძალადაკარგულად ცნობა) არ არის ადმინისტრაციული აქტის არარად ან ბათილად ცნობის საფუძველი (ზაკ-ის 60-60<sup>1</sup> მუხლები). ზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტის ბათილად ცნობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ იგი ეწინააღ-მდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გა-მოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რასაც წი-ნამდებარე შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება კი გათვალისწინე-ბულია ზაკ-ის 61-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი გან-საზღვრავს, რომ ნორმატიული აქტის გაუქმება ან შეცვლა, თანმდევი შედეგის სახით არ იწვევს (არ ავალდებულებს აქტის გამომცემ ადმი-ნისტრაციულ ორგანოს) გაუქმებული/შეცვლილი ნორმის საფუძველ-ზე გამოცემული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, არამედ აღ-ნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფ-ლებამოსილებას მიეუთვებულ საკითხს. ასეთი დასკვნა ეფუძნება ზაკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებლის მიერ მოცემულ მითითე-ბას ადმინისტრაციული ორგანოს „უფლებამოსილებაზე“ და არა „ვალ-დებულებაზე“ და ასევე ზაკ-ის 61.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში „შესაძლო მნიშვნელოვანი ზიანის“ შეფასებაზე. იგივე ითქმის ზაკ-ის 61.2 მუხ-ლის „ე“ ქვეპუნქტზე, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო და ადმი-ნისტრაციულ სამართალნარმობისათვის საკონსტიტუციონ სასამარ-თლოს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს საქმის წარმოების განახლე-ბის საფუძველს. ანალოგიური რეგულაციაა მოცემული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლში, რომელიც ად-მინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძვლად უპირველესად სადაცო აქტის კანონსაწინააღმდეგობაზე მიუთითებს.

55.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართალია ბათილად ცნობისადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა კონკრეტულად ვერ მიუთითა ზაკ-ის მე-60 (ასკ-ის 32-ე) მუხლის რომელი ნაწილის და ქვეპუნქტის საფუძველზე

ცნო ბათილად სადავო აქტი და ვერც მიუთითებდა, რადგან კანონის ცვლილება/გაუქმება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი არ არის, სასამართლოს კი არ გააჩნია უფლებამოსილება ადმინისტრაციული აქტის ბათილობის სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის ვითარებაში თვითნებურად ბათილად ცნოს კანონიერი ადმინისტრაციული აქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში (კანონით გაუთვალისწინებელისაფუძვლით ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობით) ფაქტობრივად სასამართლო შეითავსებს კანონმდებლის ფუნქციას და მიღებს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, რომლის სამართლებრივი საფუძველიც არ გააჩნია, რისი უფლებამოსილებაც კანონმდებელს სასამართლოსთვის არ მიუნიჭებია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად ცნობილი ნორმა (ნორმატიული აქტი) არ წარმოადგენს ამ ნორმის (ნორმატიული აქტის) საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოს მხრიდან არარად, ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის საფუძველს, ასეთ სამართლებრივ საფუძველს ზაკ-ის მე-60-61-ე და ასკ-ის 32-ე მუხლები არ ითვალისწინებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და კავშირებულია აქტში ასახულ დასაბუთებასთან, ადმინისტრაციულ აქტში მოცემული უნდა იყოს კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებსა და საკანონმდებლო აქტებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერია, რამდენადაც იგი გამოცემულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვამდე, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადების საფუძველზე, ხოლო არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმამ წინა პერიოდზე შეინარჩუნა იურიდიული ძალა. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაშია სასამართლო უფლებამოსილი ბათილად ცნოს სადავო აქტი, რის შედეგებადაც უკანონოდ გათავისუფლებული პირი ხდება უფლებამოსილი, მოითხოვოს სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, რამეთუ გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რასაც განსახილველ შემთხვევაში არ აქვს ადგილი, რის გამოც ასევე არ არსებობს სარჩელის სამუშაოზე აღდგენისადა განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

55.2. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სა-

სამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასა-ციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელა-ციონ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტი-ლება, რომლითაც ჯ. ც-ეის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით, და

### **გ ა ღ ა ნ ჟ ვ ი ს ტ ა:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი დაკმა-ყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ჯ. ც-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბო-ლოონა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პრეზენტი  
კანონის განვითარება, იქულებითი განაცდურის ანაზღაურების  
პრიორიტეტის განსაზღვრა**

**გადაცემის განვითარება  
საქართველოს სახელით**

№პს-1011(კ-23)

18 ივნისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. სტურუა,  
გ. მაკარიძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

**აღნერილობითი ნაწილი:**

2021 წლის 27 ივნისს ზ. დ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ. სა-  
სარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შემდგომ მოსარჩელემ მოითხო-  
ვა: „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16  
ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანების ბათილად ცნობა; ზ. დ-ის  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამ-  
მართველოს ...ის ...ის პოზიციაზე აღდგენის თაობაზე მოპასუხება საქარ-  
თველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ახალი ინ-  
დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის  
დავალება; მოპასუხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-  
მინისტროსთვის ზ. დ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელ-  
ფასის ანაზღაურების დავალება 2018 წლის 12 სექტემბრიდან სამსა-  
ხურში აღდგენამდე პერიოდის დაანგარიშებით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-  
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტი-  
ლებით, ზ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაემაყოფილდა; სადაცო საკით-  
ხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 2018 წლის 12 სექტემ-  
ბრის №338/კ ბრძანება და მოპასუხება საქართველოს განათლების, მეც-  
ნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაევალა გადაწყვე-  
ტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი

მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდგომ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მოსარჩელის განმარტებით, 2021 წლის 16 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ისე, რომ არ გამოუკვლევია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ დავალებული არცერთი გარემოება, გამოსცა ახალი ბრძანება №MES 4 21 0000581237, ზ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რასაც არ ეთანხმება მოსარჩელე მხარე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც ვ საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანება და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაც ვ საკითხთან დაკავშირებით; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე და აღნიშნა, რომ სასამართლოს უნდა შეეფასებინა ზ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების კანონიერება და ასევე ის საკითხი, თუ რამდენად გამოიკვლია და შესაბამისობაში მოიყვანა მოპასუხე მხარემ სასამართლოს დავალება საქმის გარემოებების თავიდან გამოკვლევისა და შეფასების კუთხით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის №პს-476-464(კ-13) გადაწყვეტილებაზე და განმარტა, რომ კანონმდებელმა ცალსახად განსაზღვრა სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა, აღნიშნული ასევე განმარტა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არა-ერთ მის გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, მოპასუხე მხარე ვალდებული იყო განეხორციელებინა მისი აღსრულება სასამართლო აქტში მითითებულ ფარგლებში, რაც განსახილველ შემთხვევაში არ განუხორციელება.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სა-

დავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის № MES 421 0000581237 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების საფუძვლად მითითებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2021 წლის 16 მაისის მოხსენებით ბარათში არ არის ასახული საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად დადგენილი გარემოებები, რომლითაც მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იხელმძღვანელა მოსარჩევე ზ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს. კერძოდ, არ არის მითითებული და დასაბუთებული, თუ რა კონკრეტული კრიტერიუმების (კვალიფიკაცია და ა.შ.) გათვალისწინებით მანიჭა მოპასუხემ სხვა პირს უპირატესობა ...ის სამმართველოს ...ის ...ის სამტატო ერთეულზე დანიშნის დროს და რატომ უთხრა მოსარჩელეს უარი მოცემულ სამტატო ერთეულზე დანიშვნაზე იმ პირობებში, როცა ...ის სამმართველოს ...ის ...ის სამტატო ერთეულზე დატვირთულია არსებითად იმავე ფუნქციებით, რომელსაც მოსარჩელე ზ. დ-ე მის მიერ დაკავებულ სამტატო ერთეულზე მუშაობისას ახორციელებდა.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხისადმი ფორმალური მიდგომით უგულებელყო პირის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლება და არ აღაბარულა სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ფარგლებში. ამდენად, მოპასუხე საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა გამოიყვლიოს და შეაფასოს ზ. დ-ის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით, მოსარჩელის და მისი კონკურენტი პირის (პირების) კვალიფიკაცია, ასევე სხვა შესაბამისი მონაცემები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანებაში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რამდენადაც იგი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. შესაბამისად, არსებობდა მისი სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, ახა-

ლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

ამასთან, სამსახურში აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ ზ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე და აღნიშნა, რომ სამსახურში აღდგენა, განაცდური ხელფასის ანაზღაურება და სხვა თანმდევი სამართლებრივი შედეგები, კანონის შესაბამისად დაკავშირებულია სასამართლოს მიერ სადაცვო საკითხის გადაწყვეტასთან, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებასთან და პირის სამსახურში აღდგენასთან. შესაბამისად, ვინაიდან მოცუქმულ შემთხვევაში, „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანება სადაცვო საკითხის გადაწყვეტილად იქნა ბათილად ცნობილი და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. დ-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ზ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი, „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანება; მოპასუხეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამმართველოს ...ის ...ის პოზიციაზე ზ. დ-ის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; მოპასუხეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა ზ. დ-ისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში

აღდგენამდე პერიოდისათვის, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შრომის უფლება საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი სოციალური უფლებაა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის საფუძველზე, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დათანხმდება ან განახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის.

ამასთან, სააპელაციო პალატამ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით განმარტა, რომ შრომით-სამართლებრივი საქმიანობა წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლებით და-ცული სფეროს შემადგენელ ნაწილს, რადგან ასეთი საქმიანობის პროცესში პირი ახორციელებს ურთიერთობებს სხვა პირებთან, უზრუნველყოფს საკუთარი, პიროვნული შესაძლებლობების რეალიზაციას, ხელფასის სახით გამოიმუშავებს არსებობისათვის აუცილებელ ფინანსურ შემოსავალს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ვანონის მე-3 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე, 102-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, 110-ე მუხლის პირველ პუნქტზე და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადაც აქტი გამოცემული იქნა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა საკითხის ხელახლა განხილვა, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილება მიიღოს იმგვარად, რომ არ შეიღლახოს პირის კანონით გარანტირებული უფლებები.

სააპელაციო სასამართლომ აქვედამატებით მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანებასა და აღნიშნული ბრძანების საფუძვლად მითითებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2021 წლის 16 მაისის მოხსენებით ბარათში არ იქნა მითითებული და დასაბუთებული, თუ რა კონკრეტული კრიტერიუმების (კვალიფიკაცია და ა.შ) გათვალისწინებით მიანიჭა მოპასუხემ სხვა პირს უპირატესობა ...ის სამმართველოს ...ის საშ-

ტატო ერთეულზე დანიშვნის დროს და რატომ უთხრა მოსარჩელეს უარი მოცემულ საშტატო ერთეულზე დანიშვნაზე იმ პირობებში, როცა, ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეული დატვირთულია არსებითად იმავე ფუნქციებით, რომელსაც მოსარჩელე ზ. დ-ე მის მიერ დაკავებულ საშტატო ერთეულზე მუშაობისას ახორციელებდა.

სააპელაციო პალატის მითითებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაცო აქტის მართლზომიერების საფუძვლად მიუთითა და-საქმებულ საჯარო მოხელეებთან გამართული გასაუბრების მიზნით შექ-მნილი კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს №2 სხდომის ოქმზე, საიდანაც ირკვევა, რომ სამინისტროს თანამშრომლებთან გასაუბრებაზე კომისიის წევრები დაინტერესდნენ შემდეგი საკითხებით: 1. თითოეული თანამშრომლის სამუშაოს აღნერილობით და ფუნქციური დატვირთვის ხარისხით; 2. სამმართველოს ფუნქციონირების ხარისხის შეფასებით და ასევე სამმართველოს სამომავლო განვითარების ხედვით; 3. თითოეული თანამშრომლის ხედვით, სამინისტროების გაერთიანების ფონზე, რომელ სფეროში და რა მიმართულებით ხედავდნენ საკუთარი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობებს; 4. ავლენდნენ თუ არა თანამშრომლები პირად ინიციატივას საქმიანობაში ჩართულობის მიზნით და რაში გამოიხატებოდა მათი ინიციატივა. ჩატარებული გასაუბრების შედეგად, 6 (ექვსი) ...ის ...დან 4 (ოთხი) დაინიშნა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ...ისა და ...ის დეპარტამენტის ... სამმართველოს ...ის ...ად, ხოლო ზ. დ-ე მისივე თანხმობით დაექვემდებარა სხვა საჯარო დაწესებულებაში მობილობას. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ალსრულების მიზნით, შესწავლილ იქნა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოში დაცული დოკუმენტაცია. მისივე განმარტებით, ალსანიშნავია, რომ სამინისტროს თანამშრომლებთან ჩატარებულ 2018 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმში, გარდა ზემოთ მითითებული ინფორმაციისა, თანამშრომელთა შეფასების მიზნით გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ სხვა ინფორმაცია არ არის ასახული. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ რეორგანიზაციის პერიოდში თანამშრომლებთან გასაუბრების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქმიანობა დაასრულა სამინისტროს რეორგანიზაციის დასრულებისთანავე და აღნიშნული კომისიის წევრების უმრავლესობა აღარ არის დასაქმებული სამინისტროს სისტემაში.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ალსრულების მიზნით, განსახილველ საკითხზე განმეორებით მსჯელობისას ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო იგივე გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც ერთხელ უკვე იყო შეფასებული

სასამართლოს მიერ და რომლის გათვალისწინებითაც სასამართლომ 2018 წლის სადავო აქტი კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ცნობ ბათილად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარე უთითებს კრიტერიუმებზე, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეფასებულიყო კანდიდატი, თუმცა ვერ იქნა დასაბუთებული, თუ კონკრეტულად რა კრიტერიუმების გათვალისწინებით მიანიჭა მოპასუხემ სხვა პირს უპრატესობა ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეულზე დანიშვნის დროს და რატომ უთხრა მოსარჩელეს უარი მოცემულ საშტატო ერთეულზე დანიშვნაზე. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სააპელაციო განხილვის ეტაპზე მიუთითებდა, რომ კრიტერიუმების შესახებ სხვა ინფორმაცია არ არის დაცული სამინისტროში და გასაუბრების მიზნით შექმნილი კომისიის წევრები აღარ არიან დასაქმებულები ხსენებულ უწყებაში, რაც სააპელაციო პალატის შეფასებით, ვერ მიიჩნევა სადავო აქტის იმგვარ დასაბუთებად, რომელიც სარჩელის უსაფუძვლობას დაადასტურებდა, მით უფრო იმ პირობებში, როცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გა-დაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სწორედ ამ გარემოების გამოკვლევის შედეგად იყო გამოსაცემი ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე დროს, სამინისტროს ზემოხსენებული განმარტებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთობის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოში დამატებით რაიმე ინფორმაცია აღარ მოიპოვებოდა, სამინისტრომ სრულად მოიძია და გამოიკვლია ყველა გარემოება, რაც სადავო საკითხთან იყო შემხებლობაში, რა დროსაც დადგინდა, რომ მხოლოდ ის მტკიცებულებები არსებობდა ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საქმეზე, რომლებიც უკვე შეფასებული იყო სასამართლოს მიერ და რომელთა გათვალისწინებითაც ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლება სასამართლომ არ მიიჩნია კანონშესაბამისად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-17 მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებები და სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა გამოკვლევა, შესაძლებელს ხდის სადავო საკითხის არსებობად გა-დაწყვეტას, რადგან სადავო შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა მითითებული გარემოებაზე, რაც მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დასაბუთებული თუ რატომ ვერ მოხერხდა მოსარჩელის მობილობა. ამდე-

ნად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე და 33-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლო მოთხოვნა იყო დასაბუთებული. შესაბამისად, არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების პირობები, მით უფრო მეორეჯერ, რადგან მითითებული ნორმით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, რის გამოც შეუძლებელი ხდება სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლების დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არსებობდა ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 42 10000581237 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამასთან, ზ. დ-ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამმართველოს ...ის პოზიციაზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასამართლო მოთხოვნებთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ უკანონოდ იქნა მიჩნეული მოსარჩელის დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლება, მოთხოვნა შესაბამის თანამდებობებზე აღდგენის შესახებ საფუძვლიანია და მოპასუხეს უნდა დაევალოს გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზ. დ-ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამმართველოს ...ის ...ის პოზიციაზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ დასაბუთებული იყო მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებითაც. შესაბამისად, იქნებან გამომდინარე, რომ ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლება მიჩნეული იქნა უკანონოდ და მოპასუხეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა მისი სამსახურში აღდგენა, მასვეუნდა და დავალებოდა მისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაუ-

რება გათავისუფლების დღიდან თანამდებობაზე აღდგენამდე, ამ თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

კასატორი მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 17 ივნისის №05 ბრძანების თანახმად, სამინისტროში გამოცხადდა რეორგანიზაცია 2018 წლის 12 ივნისიდან, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა შტატების შემცირება. ამავე ბრძანების მეორე პუნქტით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 5 ივნისის საქართველოს კანონის (№3024-რს) ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროები) დასაქმებული პროცესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები 2018 წლის 12 ივნისიდან ჩაითვალნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასაქმებულ პირებად, შეუნარჩუნდათ თანამდებობრივი სარგოები და მათ გააგრძელეს სამსახურებრივი უფლებამოსილებების შესრულება არსებულ პოზიციებზე, რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე. აღნიშნულ პერიოდში ზ. დ-ე დასაქმებული იყო ...ის ...ის სამმართველოში ...ის ...ად. ამ პერიოდში აღნიშნულ სამმართველოში დასაქმებული იყო კიდევ 5 (ხუთი) ...ის ... სამინისტროს რეორგანიზაციის ბრძანება ელ.ფოსტის მეშვეობით იმავე დღეს გაეცნო ზ. დ-ეს.

ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისათვის რეორგანიზაციის შესახებ წინადადებების წარდგენის მიზნით ჩატარებული 2018 წლის 30 ივნისის სხდომის ოქმის თანახმად, მინისტრს წარედგინა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტი, რომლის მიხედვით, ...ას გამოეყო ...ისა და ...ის დეპარტამენტიდა ...ის სამმართველოში განისაზღვრა 4(ოთხი) ...ის ...ის საშტატო ერთეული. ამავე ოქმით განისაზღვრა, რომ მობილობის პროცესს დასაქვემდებარებელ პირთა სიის განსაზღვრის მიზნით, სამინისტროში დასაქმებულ მოხელეებთან ჩატარებულიყო გასაუბრება. წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №106 ბრძანებით მოხდა სამინისტროს საშტატო ნუსხის დამტკიცება

და ...ას გამოეყო ... და ...ის დეპარტამენტი.

კასატორის განმარტებით, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დანიშვნა/გადაყვანას და მობილობას დასაქვემდებარებელ პირთა სიის განსაზღვრის მიზნით უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №33 ბრძანებით, მინისტრის საზედამხედველო სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან გამართული გასაუბრების მიზნით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს №2 სხდომის ოქმიდან ირკვევა, სამინისტროს თანამშრომლებთან გასაუბრებაზე კომისიის წევრები დაინტერესდნენ შემდეგი საკითხებით: 1. თითოეული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობით და ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებით, ასევე მათი ფუნქციური დატვირთვის ხარისხით; 2. სამმართველოს ფუნქციონირების ხარისხის შეფასებით და ასევე სამმართველოს სამომავლო განვითარების ხედვით; 3. თითოეული თანამშრომლის ხედვით, სამინისტროების გაერთიანების ფონზე, რომელ სფეროში და რა მიმართულებით ხედავდნენ საკუთარი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობებს; 4. ავლენდნენ თუ არა თანამშრომლები პირად ინიციატივას საქმიანობაში ჩართულობის მიზნით და რამი გამოიხატებოდა მათი ინიციატივა. ჩატარებული გასაუბრების შედეგად, 6 (ექვსი) ...ის ...დან 4 (ოთხი) დაინიშნა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ...ისა და ...ის დეპარტამენტის ... სამმართველოს ...ის ...ად, ხოლო ზ. დ-ე მისივე თანხმობით (თანხმობის ფურცელი დაცულია პირად საქმეში), დაექვემდებარა სხვა საჯარო დანესხებულებაში მობილობას, თუმცა მისი მობილობის წესით სხვა თანამდებობაზე დანიშვნა ვერ განხორციელდა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 17 სექტემბრის №338/კ ბრძანებით ზ. დ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიყენა ყველა ის შესაძლებლობა, რაც საკითხის გამოკვლევისათვის იყო მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი. არსებული გარემოების საფუძველზე, 2021 წლის 16 ივნისის №581237 ბრძანებით, ზ. დ-ე გაათავისუფლა თანამდებობიდან.

კასატორი აქვე აღნიშნავს, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ არ მიეცა შეფასება იმ ფაქტს, რომ მოსარჩევის მიერ არ გასაჩივრებულა არც სამინისტროს სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს № 106 ბრძანება და ასევე არ მომხდარა სხვა პირების დანიშვნის მართლზომიერების შესახებ დავა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპ-

როცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით, შეჩერდა №ბს-1011(კ-23) ადმინისტრაციული საქმის წარმოება, მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) – ზ. დ-ის საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე, იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც შეეხება „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანების ბათილად ცნობასა და ზ. დ-ისთვის 2018 წლის 12 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის დაანგარიშებით, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის დავალებას; შეწყდა №ბს-1011(კ-23) ადმინისტრაციული საქმის წარმოება, მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) – ზ. დ-ის გარდაცვალების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამმართველოს ...ის ...ის პოზიციაზე მოსარჩელის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ სასამარჩელო მოთხოვნის ნაწილში; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება იმ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამმართველოს ...ის ...ის პოზიციაზე მოსარჩელის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 13 მარტის განჩინებით, საქმის წარმოება განახლდა იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც შეეხება „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანების ბათილად ცნობასა და ზ. დ-ისთვის 2018 წლის 12 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის დაანგარიშებით, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის დავალებას; მოწინააღმდეგე მხარის – ან გარდაცვლილი ზ. დ-ის საპროცესო უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაერთნენ: გ. დ-ე (დედა), ნ. მ-ი (მეუღლე) და ა. დ-ე (შვილი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 10 ივნისის განჩინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე მისი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკაციოს საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ზ. დ-ე დასაქმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ...ის სამმართველოს ...ის ...ის თანამდებობაზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №338/კ ბრძანებით, 2018 წლის 17 სექტემბრიდან თანამდებობიდან გათავისუფლდა ...ის სამართველოს ...ის ... ზ. დ-ე. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/6574-18), ზ. დ-ის სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №338/კ ბრძანება და მოპასუხე – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაევალა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე ზ. დ-ეს-თან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №3/6574-18) აღსრულების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსმა, 2021 წლის 16 მაისის №MES 2 210000448350 მოხსენებითი ბარათით მიმართა საქართველოს განათლების და მეცნიერების მი-

ნისტრს, აღნიშნულ საკითხთან და კავშირებით მითითების გაცემის თაობაზე. მოხსენებით ბარათში აღწერილი იქნა დავის ფაქტობრივი გარემოებები და მიეთითა, რომ როგორც „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დანიშვნა/გადაყვანას და მობილობას დასაქვემდებარებელ პირთა სის განსაზღვრის მიზნით უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №33 ბრძანებით, მინისტრის საზედამხედველო სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან გამართული გასაუბრების მიზნით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს №2 სხდომის ოქმიდან ირკვევა, სამინისტროს თანამშრომლებთან გასაუბრებაზე კომისიის წევრები დაინტერესდნენ შემდეგი საკითხებით: 1. თითოეული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობით და ფუნქცია-მოვალეობების გადანანილებით, ასევე მათი ფუნქციური დატვირთვის ხარისხით; 2. სამმართველოს ფუნქციონირების ხარისხის შეფასებით და ასევე სამმართველოს სამომავლო განვითარების ხედვით; 3. თითოეული თანამშრომლის ხედვით, სამინისტროების გაერთიანების ფონზე, რომელ სფეროში და რა მიმართულებით ხედავდნენ საკუთარი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობებს; 4. ავლენდნენ თუ არა თანამშრომლები პირად ინიციატივას საქმიანობაში ჩართულობის მიზნით და რაში გამოიხატებოდა მათი ინიციატივა. მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ ჩატარებული გასაუბრების შედეგად, 6 (ექვსი) ...ის ...დან 4 (ოთხი) დაინიშნა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ...ისა და ...ის დეპარტამენტის ... სამმართველოს ...ის ...ად, ხოლო ზ. დ-ე მისივე თანხმობით (თანხმობის ფურცელი და ცულია პირად საქმეში), დაეკვემდებარა სხვა საჯარო დანესებულებაში მობილობას, თუმცა მისი მობილობის წესით სხვა თანამდებობაზე დაიმუშვნა ვერ განხორციელდა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 17 სექტემბრის №338/კ ბრძანებით, ზ. დ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება კი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №3/6574-18), სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და სამინისტროს დაევალა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მოსარჩევე ზ. დ-ესთან დაკავშირებით.

ამავე მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაი-

სის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, შესწავლილი იქნა აღნიშნულ საქმესთან და კავშირებით ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოში დაცული დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს თანამშრომლებთან ჩატარებულ 2008 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმში, გარდა ზემოთ მითითებული ინფორმაციისა, თანამშრომელთა შეფასების მიზნით გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ სხვა ინფორმაცია არ არის ასახული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რეორგანიზაციის პერიოდში თანამშრომლებთან გასაუბრების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქმიანობა დაასრულა სამინისტროს რეორგანიზაციის დასრულებისთანავე და აღნიშნული კომისიის წევრების უმრავლესობა აღარ არის დასაქმებული სამინისტროს სისტემაში. სამინისტროში წარდგენილი დოკუმენტაციით ასევე ირკვევა, რომ ზ. დ-ეს არ უდავია არც სამინისტროს სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №106 ბრძანების და არც სხვა პირების დანიშვნის მართლზომიერებაზე. ამასთან, ამ ეტაპზე ...ის ...სა და ...ის სამმართველოში არის მხოლოდ 1 (ერთი) ...ის ...ის სამტატო ერთეული, რომელზეც დასაქმებულია შესაბამისი თანამშრომელი.

2021 წლის 16 მაისის №MES 2210000448350 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2021 წლის 16 ივნისს მიღებული იქნა №MES 4210000581237 ბრძანება, რომლის თანახმად, ...ის სამმართველოს ...ის ... ზ. დ-ე გათავისუფლდა თანამდებობიდან 2018 წლის 17 სექტემბრიდან.

ამასთან, დადგენილია, რომ ზ. დ-ე გარდაიცვალა 2023 წლის 28 აგვისტოს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევე მხარე სადაცოდ ხდის სწორედ „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4210000581237 ბრძანების კანონიერებას. ამასთან, მის თანმდევ მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მოსარჩევე მხარის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალება ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიოდის დაანგარიშებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ყოველი მოქალაქის საჯარო თანამდებობაზე წვდომის უფლებას. ეს კონსტიტუციური დანაწესი იცავს სახელმწიფო სამსახურზე მოქალაქის თავისუფალი წვდომის უფლებას, აღნიშნული გულისხმობების საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს – არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცუ-

ლი ყოველგვარი გარეჩარევისგან (საქართველოს საკონსტიტუციო სა-სამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ერთმანეთისგან გამიჯნულია სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტები, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტია. საჯარო მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებული, საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირები, დამოუკიდებლად იმისგან, ნარმოადგენენ თუ არა ისინი კანონით განსაზღვრულ საჯარო მოხელეებს ან სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, საჯარო ფუნქციის ეფექტიანად და სრულყოფილად განხორციელებისათვის უნდა სარგებლობდნენ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტიებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის № 1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დ. კანდელაკი, ნ. დვალი, ზ. დავითაშვილი, ე. გოგუაძე, გ. მელაძე და მ. ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5-6). შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს. ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გაათავისუფლოს დასაქმებული (სუსგ 23.04.2019 წ., № ბს-954(2კ-18)). დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ობიექტურ მიზეზებზე უნდა იყო დაფუძნებული, დამსაქმებელი ვალდებულია დაასაბუთოს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტური მიზეზები (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის № 158 კონვენციის (1982 წ.) № 166 რეკომენდაცია „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ“). საჯარო მოხელის სამსახური დან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში რა გარემოებებზე დაყ-

რდნობით მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადაცო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №3/6574-18) აღსრულების მიზნით. გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №338/კ ბრძანებაში არ იყო ასახული გარემოებები, რომლითაც მოპასუხე – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ იხელმძღვანელა მოსარჩევე ზ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს, კერძოდ, არ იყო მითითებული და დასაბუთებული, თუ რა კრიტერიუმების (კვალიფიკაცია და ა.შ.) გათვალისწინებით მიანიჭა სხვა პირს უპირატესობა ზემოაღნიშნულ, ...ის სამმართველოს ...ის ...ის სამტატო ერთეულზე დანიშვნის დროს და რატომ უთხრა მას უარი მოცემულ სამტატო ერთეულზე დანიშვნაზე იმ პირობებში, როდესაც ...ის სამმართველოს ...ის ...ის სამტატო ერთეული დატვირთულია არსებითად იმავე ფუნქციებით, რომელსაც მოსარჩევე ზ. დ-ე მის მიერ დაკავებულსამტატო ერთეულზე მუშაობისას ახორციელებდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოსათვის. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსი-

ლების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმო-სათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამაგვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის № ბს-476-464(კ-13) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკა-საციო სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმა-ჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უთანაბრდება სა-სამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად, რამდენა-დაც იგი მოჩვენებითს ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სა-მართლიანი სასამართლო“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 82.2. მუხლით, რომლის მიხედვი-თაც „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორ-განოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“ კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი კი იმპლემენტირებულია „საერთო სასამართლო-ების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში. „მითი-თებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღ-ნიშნა, რომ „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ირი-ტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღე-ბა არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე.“

ამავე გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ასევე ყურად-ღება გამახვილა საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სა-დაც განმიცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხებოდა. „ადამიანის უფ-ლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლე-ბა, რომელიც აშკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მო-ცემული, კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებულ იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის პირველი

პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).“

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებლობა არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი).

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სადავო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანება არსებითად ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2021 წლის 16 მაისის №MES 2210000448350 მოხსენებით ბარათს, რომელშიც მართალია მითითებულია 2018 წლის 2 აგვისტოს №2 სხდომის ოქმისა და მასში მოცემულ კრიტერიუმებზე, რომელთა მიხედვითაც უნდა შეფასებულიყო კანდიდატი, თუმცა არ არის დასაბუთებული კონკრეტულად რა კრიტერიუმების გათვალისწინებით მიანიჭა სამინისტრომ სხვა პირს უპირატესობა ...ის სამსართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეულზე დანიშვნის დროს და რატომ უთხრა უარი ზ. დ-ეს მოცემულ საშტატო ერთეულზე დანიშვნაზე. მეტიც, ამავე მოხსენებით ბარათში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შესწავლილი იქნა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ადამიანური რესურსების მართვის სამართველოში დაცული დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგად კი დადგინდა, რომ სამინისტროს თანამშრომლებთან ჩატარებულ 2008 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმში თანამშრომლთა შეფასების მიზნით გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ სხვა ინფორმაცია არ იყო ასახული, რეორგანიზაციის პერიოდში თანამშრომლებთან გასაუბრების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქმიანობა დასარულა სამინისტროს რეორგანი-

ზაფიოს დასრულებისთანავე და აღნიშნული კომისიის წევრების უმრავ-ლესობა აღარ არის დასაქმებული სამინისტროს სისტემაში.

ამდენად, მითითებული გარემოებების საფუძველზე დასტურდება, რომ სადაც სამართალურთიერთობის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოში დამატებით რაიმე ინფორმაცია აღარ მოიპოვებოდა, სამინისტრომ სრულად მოიძია და გამოიკვლია ყველა გარემოება, რაც სადაც საკითხთან იყო შემხებლობაში და დადგინდა, რომ მხოლოდ ის მტკიცებულებები არ სებობდა ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საქმეზე, რომლებიც უკვე შეფასებული იყო სასამართლოს მიერ და რომელთა გათვალისწინებითაც ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლება სასამართლომ არ მიიჩნია კანონშესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, განსახილველ საკითხზე განმეორებით მსჯელობისას ადმინისტრაციულ-მა ორგანომ მიიღო იგივე გადაწყვეტილება იმავე მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც ერთხელ უკვე იყო შეფასებული სასამართლოს მიერ და რომლის გათვალისწინებითაც სასამართლომ „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ 2018 წლის 12 სექტემბრის №338/კ ბრძანება კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია.

საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ ზ. დ-ის მიმართ ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით გარანტირებული მრომის უფლების დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სასამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არსებობდა „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანების ბათილდაც ცნობის საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე,

ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. დ-ე გარდაიცვალა 2023 წლის 28 აგვისტოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით კი, მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) – ზ. დ-ის გარდაცვალების გამო, შეწყდა №ბს-1011(კ-23) ადმინისტრაციული საქმის წარმოება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამმართველოს ...ის ...ის პოზიციაზე მოსარჩელის აღდგენის თაობაზე, ასალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, თანამდებობიდან გათავისუფლება, გათავისუფლების უკანონობის დადგენის შემდგომ სამსახურში აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება, პირის პირად უფლებებს უკავშირდება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ზ. დ-ეს სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის გზით სიცოცხლეშივე ჰქონდა რეალიზებული მათ შორის იძულებითი განაცდურის მოთხოვნის უფლება. იძულებითი განაცდური კი წარმოადგენს ქონებას, რომლის მიღების უფლებაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 1328-ე მუხლების გათვალისწინებით, შესაძლებელია გადავიდეს სხვა პირებზე, მეტკვიდრეებზე.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ უკანონოდ იქნა მიჩნეული ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის მიუხედავად, მოთხოვნა მისი უფლებამონაცვლების სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საფუძვლიანია ნაწილობრივ. კერძოდ, ზ. დ-ის გარდაცვალების ფაქტის გათვალისწინებით, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების პერიოდი უნდა განისაზღვროს ზ. დ-ის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების დღიდან მისი გარდაცვალების თარიღამდე (და არა თანამდებობაზე აღდგენამდე), შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს საქართველოს განათლები-

სადა მეცნიერების სამინისტროს საკასაციოს საჩივრის ნაწილობრივ დაკ-მაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ც ყ ვ ი თ ა:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების მე-4 და მე-7 პუნქტები, რომელთა თანახმად, ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილ-და; დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზ. დ-ისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამ-დეპერიოდისათვის, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით. აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. აწ გარდაცვლილი ზ. დ-ის უფლებამონაცვლეების – გ. დ-ის, ნ. მ-ის და ა.დ-ის (არასრულნლოვანი) სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აწ გარდაცვლილი ზ. დ-ის უფლებამონაცვლეების – გ. დ-ის, ნ. მ-ის და ა. დ-ის (არასრულნლოვანი) სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება ზ. დ-ის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების დღიდან (2018 წლის 17 სექტემბერი) მისი გარდაცვალების თარიღამდე (2023 წლის 28 აგვისტო) პერიოდისათვის, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანება ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სევადასევა სახის შრომითი დაცვა

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახური შრომის  
უცყველებელი სტანდარტის აღიარების პარენირება

გადაცვების  
საქართველოს სახელი

№ბს-108(კ-23)

28 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ქ. ცინცაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-  
ვი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, სტაჟის დადგენა, სა-  
ხელფასო განაცდურის ანაზღაურება და საცხოვრებელი ფართით დაკ-  
მაყოფილება

### აღნერილობითი ნაწილი:

გ. ვ-ემ 2019 წლის 10 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-  
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის –  
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართდა საქართველოს თავ-  
დაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბის სამხედ-  
რო პერსონალის მართვის ცენტრის 2019 წლის 14 მარტის №MOD21900260028 წერილის ბათილად ცნობა, თავდაცვის სამინის-  
ტროს სისტემაში იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა (რაც და-  
კავებული პერიოდი 2004 წლის იანვრამდე), ხოლო ასეთის შეუძლებლო-  
ბის შემთხვევაში, გონივრული კომპენსაციის განსაზღვრა, 2004 წლის  
10 იანვრიდან (დაკავების პერიოდი) საქართველოს თავდაცვის სამი-  
ნისტროში იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე შრომის უწ-  
ყვეტი სტაჟის აღიარება და 2004 წლის იანვრიდან სამსახურში აღდგე-  
ნამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის სრულად დაანგარიშება და  
ანაზღაურება მოითხოვა.

სარჩელის თანახმად, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სა-  
მართლის საქმეთა კოლეგიამ 2006 წლის 25 ივლისს გ. ვ-ეის და სხვათა  
მიმართ გამოიტანა გამამდგრებელი განაჩენი, რომლის თანახმად, გ.  
ვ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2  
ნაწილის „ე“, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით, 237-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“

ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენისა კვალიფიკაციის წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ცვლილება შევიდა თბილისის საოლქო სასამართლოს 2006 წლის 25 ივლისის განაჩენის კვალიფიკაციის ნაწილში და მოსარჩევლისათვის ბრალად შერაცხული ქმედება, რომელიც დაკვალიფიცირებული იყო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), გადაკვალიფიცირდა იმუამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი. მოსარჩევემ ზემოხსენებული განაჩენით დადგენილი სასჯელი სრულად მოიხადა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2006 წლის 25 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ივნისის განაჩენით სრულად დაკმაყოფილდა შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე და მოსარჩევე გ. ვ-ე, სხვა პირებთან ერთად, ყველა წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

მოსარჩელემ მიუთითა ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებზე, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე, 413-ე მუხლებზე და უკანონო მსჯავრდებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ყველა იმ უფლებებში აღდგენა მოითხოვა, რაც უკანონო მსჯავრდებამდე უნდა ჰქონოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ვ-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– თავდაცვის მინისტრის განკარგულებაში მყოფი ...ს სამხედრო აკადემიის 1997 წლის კურსდამთავრებული ... გ. ვ-ე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1997 წლის 5 ივლისის №251 ბრძანების თანახმად, დაინიშნა ...ს ...ედ იმ მსმენელებსა და კურსანტებთან მუშაობის დარგში, რომელიც სწავლობდნენ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 30 დე-

კემპრის № 1949 ბრძანების თანახმად, რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული ... გ. ვ-ე მივ-ლინებულ იქნა სასწავლებლად რუსეთის ფედერაციის ... აკადემიის ... შე 2001 წლის პირველი იანვრიდან სამი წლის ვადით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის პირველი თებერვლის №72 ბრძანების თანახმად, ... გ. ვ-ე ჩაირიცხა დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაცილე ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის საკონრდინაციო შტაბის უფროსის განკარგულებაში, შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ძალების წარმომადგენლის მოვალეობის დროებით შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 18 თებერვლის №70 ნერილის თანახმად, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს საერთშორისო სამხედრო თანამშრომლობის მთავარი სამმართველოს მე-... ს, ... ს ეთხოვა, რფ სძ ... აკადემიის დღის დასწრებულ ... ზე 2002 წლის 10 მარტიდან ... გ. ვ-ეის, რომელმაც 2002 წელს დაამთავრა რფ მშ-ს აკადემია, სასწავლებლად მიღება. ნერილში მითითებულია, რომ დისერტაციის თემა იქნებოდა „საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე და მათი გადაჭრის გზები“ და სწავლის საფასურის გადახდა გარანტირებული იქნებოდა კონტრაქტის შესაბამისად. რფ სძ ... აკადემიის უფროსის მოადგილის, ... ის 2002 წლის 27 თებერვლის ნერილით, რფ თდ საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის მთავარი სამმართველოს მე-... ის მოვალეობის შემსრულებელს - ... ს, მისი №335/5/646 ნერილის პასუხად ეცნობა, რომ რფ სძ ... აკადემია მზად იყო მიმდინარე წლის 10 მარტიდან მიეღო საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე ... გ. ვ-ე დღის დაუსწრებელ ... ზე სასწავლებლად. ამასთან, საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკის 2002 წლის 22 აპრილის ნერილით, რფ თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის მთავარი სამმართველოს მე-... ს ეთხოვა, განეხილა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების ... აკადემიის ... კურსის ... ის, ... გ. გი.-ს ძე ვ-ეისათვის სამოთახიანი ბინის გადაცემის საკითხი, რომლის გადახდაც განხორციელდებოდა არსებული კონტრაქტის საფუძველზე;

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 7 ოქტომბრის №2503 ბრძანების თანახმად, ... ზ. გ.-ის ძე უ-ეის დსთ-ს ქვეყნების შეიარაღებული ძალების სამხედრო თანამშრომლობის საკონრდინაციო შტაბის საქართველოს სამხედრო ძალების მუდმივ წარმომადგენლად დანიშვნასთან დაკავშირებით, ... გ. გი.-ს ძე ვ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა თავდაცვის სამინისტროს ... ს განკარგულებაში;

– რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი პროფესიული განათლების საგანმანათლებლო დაწესებულების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 2003 წლის 6 თებერვლის №6 მოწმობის თანახმად, გ. ვ-ემჩიაბარა საკანდიდატო გამოცდები სპეციალობით – „ოპერატიული ხელოვნება მთლიანობაში, შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარის სახეობებისა და სპეციალური ჯარების მიხედვით და მიიღო შემდეგი შეფასებები: უცხო ენა (რუსული) – ფრიადი; ფილოსოფია – „კარგი“ და სპეციალური დისციპლინა (ოპერატიული ხელოვნება) – „კარგი“;

– ნამსახურობის ნუსხის თანახმად, ... გ. ვ-ეს სამხედრო სამსახურის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მსახურობდა შემდეგ პოზიციებზე: 1985-1987 წლამდე პლანშეტისტი; 1987 წლიდან – დათხოვნილია თადარიგში სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვალის გასვლასთან დაკავშირებით; 1992-1993 წლებში – 24-ე ბრიგადის მეთაური; 1993-1994 წლებში – თავდაცვის მინისტრის მოადგილე საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის დარგში; 22.06.94-01.10.94 წლებში – მინისტრის მოადგილე; 03.07.1995-19.06.1997 წლებში – მსმენელი; 05.07.1997- 16.09.1998 წლებში – ... ე რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებში წარგზავნილ მსმენელებთან და კურსანტებთან მუშაობის დარგში; 1998-22.06.2000 წლებში – მსმენელი; 20.07.2001 – 01.02.2001 წლებში – გაყვანილია კადრების განკარგულებაში; 07.10.2002 წლის პრძნებით გათავისუფლდა თანამდებობიდან და გაყვანილ იქნა თავდაცვის სამინისტროს ... ს განკარგულებაში;

– თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 ივლისის განაჩენით გ. ვ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად, საბოლოოდ, განესაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის მოხდის ვადა დაიწყო დაკავების მომენტიდან – 2004 წლის 10 იანვრიდან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ... წლის ... ს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (გ. ვ-ე და ე. გ-ი საქართველოს წინააღმდეგ), რომლის თანახმად, სასამართლომ მიიღო მორიგების დეკლარაცია ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ ცნო, რომ ადგილობრივი სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მეორე განმცხადებლის თვითმამხილებელ ჩვენებაზე არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლს. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მხარეთა შორის მორიგება და შეწყვეტა სამართალწარმოება განცხადებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ივლისის განაჩენის თანახმად, დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და

მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე; გაუქ-  
მდა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
კოლეგიის 2006 წლის 25 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენი და მის  
ნაცვლად დადგა გამამართლებელი განაჩენი, რომლის თანახმად, გ. ვ-ე  
ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამამართლდა წარდგენილ ბრალდებებ-  
ში. ზემოაღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა როგორც სააპელაციო, ისე  
საკასაციო წესით, თუმცა იგი დარჩია უცვლელი;

– გ. ვ-ე 2019 წლის 23 იანვარს განცხადებით მიმართა საქართვე-  
ლოს თავდაცვის მინისტრს, რომელშიც მიუთითა, რომ 2004 წლის 10  
იანვარს დაკავებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოლი-  
ტიკური მოტივებითა და ყალბი ბრალდებით. თბილისის საოლქო სასა-  
მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2006 წლის 25  
ივლისს გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. საქმე შემდგომი  
მსვლელობით წარიმართა ჯერ საქართველოს უზენაეს სასამართლო-  
ში, ხოლო შემდგომ – ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.  
ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე  
დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, რაც სა-  
ფუძველი გახდა ადგილობრივ სასამართლოს განეახლებინა საქმის წარ-  
მოება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 17 ივ-  
ნისს დაკამაყოფილდა მათი მოთხოვნა და დადგენილ იქნა გამამართლე-  
ბელი განაჩენი. ასევე, მიუთითა, რომ დაკავებამდე ირიცხებოდა სა-  
ქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ახორციელებდა სამსახურებ-  
რივ უფლებამოსილებას. დაკავების გამო იძულებით, უკანონოდ იქნა  
ჩამოცილებული შრომით საქმიანობას და დაკარგდა კანონით განსაზ-  
ღვრული შეღავათი თუ პრივილეგია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინა-  
რე, მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში იმავე ან ტოლ-  
ფას თანამდებობაზე აღდგენა, რომელიც დაკავებული ჰქონდა 2004  
წლის იანვრის თვემდე პერიოდში; 2004 წლის 10 იანვრიდან (დაკავების  
პერიოდიდან) საქართველოს თავდაცვის სამინისტროში იმავე ან ტოლ-  
ფას თანამდებობაზე აღდგენამდე შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარება;  
იძულებითი სახელფასო განაცდურის სრულად დაანგარიშება და ანაზ-  
ღაურება 2004 წლის იანვრიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდზე  
და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა;

– საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გე-  
ნერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის 2019  
წლის 14 მარტის №MOD 21900260028 წერილით გ. ვ-ეს ეცნობა, რომ  
ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აღარ არსებობდა მი-  
სი კადრების განკარგულებაში გასვლამდე დაკავებული თანამდებობა  
(დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქეყყნე-  
ბის სამხედრო თანამშრომლობის საკონრდინაციო შტაბში საქართვე-

ლოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ძალების წარმომადგენლის მოვალეობის დროებით შემსრულებელი), აგრეთვე სამინისტროს სისტემაში არ იყო განერლის საშტატო კატეგორიის ვაკანტური თანამდებობა, რის გამოც სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხილა გ. ვ-ეის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი. სამინისტრომ ასევე აცნობა, რომ ვინაიდან განმცხადებლის მიერ წარდგენილი სხვა მოთხოვნები წარმოადგენდნენ განმცხადებლის თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ განსახორციელებელ სამართლებრივ ქმედებებს, სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განხილა აღნიშნული მოთხოვნებიც;

– საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის პირველი თებერვლის №72 ბრძანების თანახმად, ... გ. ვ-ეის ბოლო დაკავებული თანამდებობა იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ძალების წარმომადგენლის დროებით მოვალეობის შემსრულებელი. აღნიშნული საშტატო ერთეული საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციულ დეპარტამენტში საფინანსო უზრუნველყოფის სამართველოში საფინანსო კმაყოფაზე არ იმყოფებოდა და აღნიშნული თანამდებობის სახელთასო ანაზღაურების ოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვებოდათ;

– საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის 2019 წლის 19 აპრილის №MOD82900394648 წერილის თანახმად, მოსარჩელის წარმომადგენელს – გ. დ-ას 2019 წლის 11 აპრილის წერილის პასუხად ეცნობა, რომ გ. გი.-ს ქევე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 7 ოქტომბრის №2503 ბრძანების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა თავდაცვის სამინისტროს ... ს განკარგულებაში, ხოლო მისი საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან/სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ინფორმაცია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში და თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის საარქივო მასალებში არ იძებნებოდა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის ნორმებზე, ასევე გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების პირველი პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის გავ-

ლის წესს და აღნიშნა, რომ სარჩელი უსაფუძვლო იყო.

სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ძირითადად ეფუძნებოდა უკანონო მსჯავრდებას, რაც დადასტურებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე ეროვნული სასამართლოების მიერ. მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ გამამართლებელი განაჩენის პირობებში არსებობდა საფუძველი იმისა, რომ, ერთი მხრივ, გ. ვ-ე აღდგენილიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროში იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე, რომელსაც ის იკავებდა 2004 წლის 10 იანვრამდე პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, გ. ვ-ეს უნდა ელიაროს შრომის უწყვეტი სტაჟი 2004 წლის იანვრის თვითდან (დაკავების პერიოდი) იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის პერიოდამდე. ამასთანავე, რომ არა დაუსაბუთებელი მსჯავრი, არსებობდა პრეზიუმირება იმისა, რომ გ. ვ-ე გააგრძელებდა სამხედრო სამსახურს საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე. საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელეს აღძრული აქვს ადმინისტრაციული სარჩელი საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ, უკანონო მსჯავრდებიდან გამომდინარე მატერიალური (მათ შორის, მიუღებელი ხელფასის, განაცდურის) და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელზედაც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. შესაბამისად, მოსარჩელის ზემოაღნიშნული არგუმენტები სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს სწორედ მითითებული დავის ფარგლებში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ასევე განმარტა, რომ მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2002 წლის 7 ოქტომბრის №2503 ბრძნების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა თავდაცვის სამინისტროს ...ს განკარგულებაში. ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძნებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, ოფიცირის თანამდებობიდან გადაყვენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით ან მის მიერ თანამდებობის დროებითი მოვალეობის შესრულება არ აღემატებოდა ოთხ თვეს. საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ ...ს განკარგულებაში გადაყვანის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოსარჩელის დანიშვნის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული წარმოადგენს იმ ფაქტის დადასტურებას, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანის შემდეგ გ. ვ-ეს რაიმე თანამდებობა აღარ ეკავა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის

სასარჩელო მოთხოვნები, სარჩელში მითითებული და საბუთების და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების საფუძველზე, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებს. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ შრომითი ურთიერთობების თავისებურებების გათვალისწინებით, სამსახურებრივი მოვალეობების განუხორციელებლობა, სამსახურში გამოუცხადებლობა და ხელფასის მიუღებლობა, ცალსახად მიუთითებს და ადასტურებს, რომ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილია, რის თაობაზეც ცნობილია დასაქმებულისთვისაც.

საქალაქო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნების – სამუშაოზე აღდგენის, სტაჟის დადგენისა და სახელფასო განაცდურის ანაზღაურების შესახებ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის 2019 წლის 14 მარტის №MOD21900260028 აქტის ბათილად ცნობის ნაწილში, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნები გამომდინარეობდა პირველი სასარჩელო მოთხოვნიდან, რომლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაც გამორიცხავდა მითითებული მოთხოვნების (როგორც თანმდევი შედეგების) დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

რაც შეეხება მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე, სასამართლომ მიუთითა „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფს სახელმწიფო. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სპეციალური წოდების მქონე პირთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების 46-ე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურებს საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფს სახელმწიფო, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულების მიხედვით. ამრიგად, სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმ საკითხთან და კავშირებით, რომ საცხოვრებელი ბინა გადაცემით მხოლოდ მოქმედ სამხედრო მოსამსახურებს და მხოლოდ სამსახურებრივ სარგებლობაში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. ვ-ეს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე მოპასუხება დამინისტრაციული ორგანოს უარი კანონიერი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ვ-ემ. აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 6 ოქტომბრის სხდომა-

ზე აპელანტმა შეამცირა სასამართლომ მოთხოვნები და მხოლოდ 2004 წლის 10 იანვრიდან (დაკავების მომენტიდან) 2018 წლის 28 მარტამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარება მოითხოვა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ამ ნაწილში შეაფასა მოთხოვნის საფუძვლანობა.

ამრიგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა ბალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი და კომაყოფილდა; ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, კერძოდ, შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ვ-ების სარჩელი და კომაყოფილდა ნაწილობრივ; გ. ვ-ების ელიარა 2004 წლის 10 იანვრიდან (დაკავების მომენტიდან) 2018 წლის 28 მარტამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში შრომის უწყვეტი სტაჟი; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ სადაცო საკითხზე მსჯელობისას გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დანაწესები, მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე, 23-ე მუხლებზე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლზე, ევროპის სოციალურ ქარტიის მე-4 მუხლზე, ასევე, ეროვნულ კანონმდებლობაზე, კერძოდ, გამოიყენა „სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი (1993 წლის 18 აგვისტოს მდგომარეობით მოქმედი რედაქცია), სადაცო პერიოდში მოქმედი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულება“ და ზემოაღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული, საკითხის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე, არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა კადრების განკარგულებაში ყოფნის 4-თვითნ ვადის ამონურვასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის მაქსიმალური ვადის განსაზღვრა არ შეიძლება გაგებულიყო იმგვარად, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პირი ავტომატურად მიჩნეულიყო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილად. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, კადრების განკარგულებაში გადაყვანა იმთავითვე არ გულისხმობდა 4 თვის გას-

ვლის შემდგომ პირის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნას. კადრების განკარგულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე დათხოვნილად ითვლება მხოლოდ კადრების განკარგულებაში ყოფნის 4-თვიანი ვადის გასვლისა და ამასთან, უფლებამოსილი პირის მიერ დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში. შესაბამისად, კადრების განკარგულებაში ყოფნის 4-თვიანი ვადის ამონურვა არ წარმოადგენს პირის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილად მიჩნევის უპირობო საფუძველს. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ინფორმაცია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში და თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის საარქივო მასალებში არ იძებნება. ასევე დადგენილია, რომ გ. ვ-ეის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან/სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაცული არ არის. ამასთანავე, გასათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ ადმინისტრაციული ორგანო გ. ვ-ეის კადრების განკარგულებაში ყოფნის 4-თვიანი ვადის ამონურვის (07.10.2002წ. – 07.02.2003წ.) შემდგომ პერიოდშიც ახორციელებდა აპელანტის ფულად უზრუნველყოფას. კერძოდ, ... გ. ვ-ე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის სამსახურში ფულადი უზრუნველყოფით დაკმაყოფილებულია 2003 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. რაც შეეხება სწავლის შემდგომ პერიოდს, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ 2004 წლის 10 იანვრიდან გ. ვ-ე დაკავებულ იქნა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ფაქტობრივ შესრულებას, თუმცა მის მიმართ, საბოლოოდ, გამამართლებელი განაჩენის დადგენისა და უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის უმაღლესი სამსედრო წოდების ოფიცირის – გ. ვ-ეის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე გამოუცემლობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გ. ვ-ეის სამსედრო სამსახურიდან დათხოვნილად მიჩნევის საფუძველი და შესაბამისად, მისი მოთხოვნა – 2004 წლის 10 იანვრიდან (დაკავების მომენტიდან) 2018 წლის 28 მარტამდე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მარტის განჩინება) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების შესახებ, ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც სარ-

ჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი, მართალია, ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, თუმცა საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებისას ძირითადად მიუთითებს სარჩელის დასაშვებობაზე და აღნიშნავს, რომ თავდაპირველად გ. ვ-ების სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის 2019 წლის 14 მარტის №260028 წერილის ბათილად ცნობა, 2004 წლამდე დაკავებულ თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, გონივრული კომპენსაციის განსაზღვრა, 2004 წლის 10 იანვრიდან 2018 წლის 28 მარტამდე შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ასევე საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, თუმცა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გ. ვ-ემ მოხსნა უმეტესი სასარჩელო მოთხოვნები და დავა განაგრძო მხოლოდ 2004 წლის 10 იანვრიდან 2018 წლის 28 მარტამდე შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების ნაწილში, რის გამოც სარჩელი ტრანსფორმირდა აღიარებით სარჩელად. კასატორი აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, მოსარჩელის კანონიერი ინტერესის არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია აღიაროს (დაადასტუროს) კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე მხარე წარადგენს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ უდავო მტკიცებულებებს. იმ შემთხვევაში, თუკი გ. ვ-ების სასარჩელო მოთხოვნა თავიდანვე იქნებოდა მხოლოდ სტაჟის აღიარება, პირველი ინსტანციის სასამართლო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, არ მიიღებდა ასეთ სარჩელს. ამრიგად, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, რომლითაც აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ.

კასატორი დავის ძირითად არსთან – უწყვეტი სტაჟის აღიარებას-თან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სარჩელი არის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მიუთითებს „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებუ-

ლების მე-9 თავის მე-6 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ოფიცირის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით ან მის მიერ თანამდებობის დროებითი მოვალეობის შესრულება არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს, რის შემდეგაც პირი ითვლება სამსახური-დან გათავისუფლებულად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. გ-ეს სარჩელი და კმაყოფილდება ნაწილობრივ, კერძოდ, გ. ვ-ეს უნდა ელიაროს შრომის უწყვეტი სტაჟი 2004 წლის 10 იანვრიდან (დაკავების მომენტიდან) 2005 წლის მარტის შესაბამის რიცხვამდე (სწავლის დასრულებისთვის განსაზღვრულ თარიღამდე), ხოლო 2005 წლის მარტიდან 2018 წლის 28 მარტამდე უარი უნდა ეთქვას შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარებაზე.

საკასაციო პალატა თავდაპირველად ყურადღებას გააძინვილებს კასატორის პრეტენზიაზე, რომლის თანახმად, იმ პირობებში, როდესაც გ. ვ-ემ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოხსნა ყველა სასარჩელო მოთხოვნა და დატოვა მხოლოდ შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარება, სარჩელი ტრანსფორმირდა აღიარებით სარჩელად, რაც, კასატორის მოსაზრებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, გამორიცხავდა სარჩელის დასშვებობას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნების შემცირებისა, მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადგენა, რა პირობებშიც, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უფლების დაცვის საპროცესო საშუალებად სწორადაა შერ-

ჩეული საქართველოს ადმინისტრაცული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის შესახებ აღიარებითი სარჩელი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის ტრანსფორმირების საპროცესო მექანიზმი წარმოადგენს ყველაზე ნათელ გამოვლინებას იმისა, თუ რა ფარგლებითაა სასამართლოშეზღუდული მოსარჩელის ინტერესების გარკვევის ოვალსაზრისით და როგორია პროცესში მისი როლი, რაზეც არსებობს საკასაციო სასამართლოს მიერ მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკა. „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის ტრანსფორმირება არის ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოხატულება. ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს სასამართლოს აქტიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო, მიუხედავად მისი აქტიური როლისა, უფლებამოსილი არ არის, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს.... მაშინ როდესაც მხარე პროცესუალურად სწორად ვერ აყალიბებს თავის მოთხოვნას, პროცესის მოსამართლემ სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების დასაცავად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი. პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი იმის გამო, რომ სასარჩელო მოთხოვნა ვერ იქნა ჩამოყალიბებული, შესაბამისად, მოსამართლეს შეუძლია ხელი შეუწყოს მოთხოვნის ტრანსფორმირებას“ (სუსგ, 03.07.2018, №ბს-925-921(ქ-17)). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მოახდინა მოსარჩელის ინტერესის განსაზღვრა და არ არსებობს ამ ოვალსაზრისით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

რაც შეხება დავის ძირითად არსა, საკასაციო სასამართლო აღინშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნათა შემცირების გათვალისწინებით, მოცემულ საქმეში მთავარ სადაცვო საკითხს წარმოადგენს მოსარჩელისათვის მხოლოდ 2004 წლის 10 იანვრიდან (დაკავების მომენტიდან) 2018 წლის 28 მარტამდე (გამამართლებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების კანონიერების შეფასება. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების საფუძვლიანობას ამყარებს იმ არგუმენტზე, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა უკანონო მსჯავრდებას, რაც დადასტურებულია ადამიანის უფლებათა უკროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე ეროვნული სასამართლოების მიერ. მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად გაამახვილეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მოსარ-

ჩელეს აღძრული აქვს ადმინისტრაციული სარჩელი მოპასუხის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ, უკანონო მსჯავრდები-დან გამომდინარე მატერიალური (მათ შორის, მიუღებელი ხელფასის, განაცდურის) და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელზედაც საპოლონო გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით მიღებული არ არის. შესაბამისად, სასამართლოებმა სწორად მიიჩნიეს, რომ ზემოაღნიშნული არგუმენტები სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს სწორედ მითითებული დავის ფარგლებში.

გარდა ზემოთ მითითებულისა, გ. ვ-ე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დასასაბუთებლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბუნებაში არ არსებობდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, ხოლო გ. ვ-ეის კადრების განკარგულებაში ყოფნის მაქსიმალური 4-თვიანი ვადის ამონტურვა ავტომატურად არ იწვევდა სამსახურიდან გათავისუფლებას (დათხოვნას). აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1997 წლის 5 ივლისის №251 ბრძანებით თავდაცვის მინისტრის განკარგულებაში მყოფი ... ს სამხედრო აკადემიის 1997 წლის კურსდამთავრებული ... გ. გი.-ს ძე ვ-ე დაინიშნა ... ს ... ედ იმ მსმენელებსა და კურსანტებთან მუშაობის დაწესი, რომელებიც სწავლობდნენ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებში; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 30 დეკემბრის №1949 ბრძანებით, რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული ... გ. გი.-ს ძე ვ-ე სასწავლებლად მიევლინა რუსეთის ფედერაციის ... აკადემიის ... ში 2001 წლის 1 იანვრიდან სამი წლის ვადით; საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე, მართალია, ზემოთ დასახელებული ბრძანების საფუძველზე, სასწავლებლად მივლინებული უნდა ყოფილიყო 2001 წლის პირველი იანვრიდან სამი წლის ვადით, თუმცა, რეალურად, სასწავლებელში ჩაირიცხა 2002 წლის 10 მარტიდან. შესაბამისად, სწავლა უნდა დაესრულებინა 2005 წლის მარტში; ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის პირველი თებერვლის №72 ბრძანებით, ... გ. გი.-ს ძე ვ-ე ჩაირიცხა დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბს უფროსის განკარგულებაში, შემდგომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ძალების წარმომადგენლის დროებით მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნით; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 7 ოქტომბრის №2503 ბრძანებით კი, ირკვევა, რომ ... ზ. გ.-ის ძე უ-ეის დსთ-ს ქვეყნების შეიარაღებული ძალების სამხედრო თანამშრომლო-

ბის საკონრდინაციო შტაბის საქართველოს სამხედრო ძალების მუდ-  
მივ წარმომადგენლად დანიშვნამ განაპირობა ... გ. გი.-ს ძევ-ეს გათა-  
ვისუფლება დაკავებული თანამდებობიდან და თავდაცვის სამინის-  
ტროს ... ს განკარგულებაში გადაყვანა; საქართველოს შეიარაღებული  
ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 2018  
წლის 9 ოქტომბრის № 1012436 ნერილის თანახმად, ასევე დასტურდე-  
ბა, რომ ... გ. გი.-ს ძევ-ე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენე-  
რალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზ-  
რუნველყოფის სამსახურში ფულადი უზრუნველყოფით დაკმაყოფილე-  
ბულია 2003 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

დადგენილია, რომ გ. გი.-ს ძევ-ე სისხლის სამართლის წესით დაკა-  
ვებულ იქნა 2004 წლის 10 იანვარს. თბილისის საოლქო სასამართლოს  
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2006 წლის 25 ივლისის განაჩე-  
ნით იგი ცნობილ იქნა დამამაშავედ და, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და  
ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს  
დანიშნული სასჯელის მოხდის ვადა დაწყო დაკავების მომენტიდან –  
2004 წლის 10 იანვრიდან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-  
თლოს მიერ ... წლის ... ს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება („გ. ვ-ე და ე. გ-  
ი საქართველოს წინააღმდეგ“), რომლის თანახმად, სასამართლომ მიი-  
ღო მორიგების დეკლარაცია ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი. დეკ-  
ლარაციით, საქართველოს მთავრობამ ცნო, რომ ადგილობრივი სასა-  
მართლოს მიერ გაცემული ცნობა მეორე განმცხადებლის თვითმამხი-  
ლებელ ჩვენებაზე არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლს. შესაბამისად,  
ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მხარეთა  
შორის მორიგება და შეწყვიტა სამართლანარმობა განცხადებაზე. თბი-  
ლისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალა-  
ტის 2017 წლის 11 ივლისის განაჩენის თანახმად, დაკმაყოფილდა დაც-  
ვის მხარის შუამდგომლობა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და  
მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე; გაუქ-  
მდა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
კოლეგიის 2006 წლის 25 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენი და მის  
ნაცვლად დადგა გამამართლებელი განაჩენი, რომლის თანახმად, გ. ვ-ე  
ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამამართლდა წარდგენილ ბრალდებე-  
ბში. ზემოაღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა როგორც სააპელაციო, ისე  
საკასაციო წესით, საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 28 მარტის განჩინებით გამა-  
მართლებელი განაჩენი დარჩა უცვლელი.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საკითხის  
მომწესრიგებელ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომ-  
ბრის № 609 ბრძანებულებით დამტკიცებულ „სამხედრო სამსახურის

გავლის შესახებ” დებულებაზე, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესს. ეს დებულება წარმოადგენს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონქვემდებარე აქტს, ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას და განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის გავლის წესებს შემდეგი პირებისთვის: ა) სავალდებულო ვადიანი სამსახურის რიგითების (მატრისების), სერუანტებისა (ზემდეგებისა) და ზემდეგებისათვის (მიჩმანებისათვის); ბ) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურებისათვის; გ) სამხედრო სამსახურში განვეული საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის; დ) სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის; ე) ოფიცერთა შემადგენლობისათვის. ამავე დებულების მოთხოვნები ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის, საქართველოს შეიარაღებული ძალების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, აგრეთვე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამხედრო მოსამსახურებზე. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან დასათხოვო ოფიცერს ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასთან და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნის წინ ეძლევა კუთვნილი შევებულება, რის შემდეგაც იგი იგზავნება სამხედრო-საექიმო კომისიაზე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად. ოფიცრის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით ან მის მიერ თანამდებობის დროებით მოვალეობის შესრულება არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კადრების განკარგულებაში ყოფნის 4-თვანი ვადის ამონურვა არ წარმოადგენს პირის დათხოვნილად მიჩნევის უპირობო საფუძველს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დასახელებული დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის თანახმად, ოფიცრის თანამდებობიდან გადაყენება კადრების განკარგულებაში გადაყვანით, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. ხსენებულ ნორმაში საუბარია ზღვრული ასაკის მიღწევასთან, ავადმყოფობასთან, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით სამხედრო სამსახურიდან დასათხოვო ოფიცერზე, რაც გამორიცხავს კადრების განკარგულე-

ბაში ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ თანამდებობაზე დანიშვნის ვალ-დებულებას. ამდენად, კადრების განკარგულებაში მყოფი პირის სავალ-დებულო წესით სამსახურში დაინიშვნას მითითებული დებულება არ ით-ვალისწინებს. აღნიშნული არ არის გათვალისწინებული აგრეთვე „სამ-ხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს თავდაცვის მი-ნისტრის 2002 წლის 7 ოქტომბრის №2503 პრანგების თანახმად, ... ზ. გ.-ის ძე უ-ეის დსთ-ს ქვეყნების შეიარაღებული ძალების სამხედრო თა-ნამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის საქართველოს სამხედრო ძა-ლების მუდმივ წარმომადგენლად დანიშვნამ განაპირობა ... გ. გი.-ს ძე ვ-ეის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და თავდაცვის სამინისტროს ... ს განკარგულებაში გადაყვანა, შესაბამისად, უსაფუძ-ვლოა, მოსარჩელის მითითება, რომ კადრების განკარგულებაში ყოფ-ნის 4-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, რომ არა სწავლის გაგრძელება და შემდეგ უკანონო პატიმრობა, ის აუცილებლად გააგრძელებდა მუშაო-ბას თავდაცვის სამინისტროში. უფრო მეტიც, გ. ვ-ე დროებით მოვალე-ობის შემსრულებლად იყო დანიშნული აღნიშნულ თანამდებობაზე. ამ-დენად, სასარჩელო მოთხოვნა – სწავლის დასრულებისთვის განსაზ-ღვრული თარიღიდან (2005 წლის მარტი) გამამართლებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე (2018 წლის 28 მარტი) შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების ნაწილში, არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, მით უფრო მაშინ, როდესაც გ. ვ-ე კადრების განკარგულებაში გადაყვანილ იქნა არა სასწავლებლად მივლინების ან უკანონო მსჯავრდების გამო, არამედ სულ სხვა საფუძვლით – ... ზ. გ.-ის ძე უ-ეის დსთ-ს ქვეყნების შეიარაღებული ძალების სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის საქართველოს სამხედრო ძალების მუდმივ წარმომადგენლად დანიშვნის გამო. ამდენად, საქმეზე დადასტურებული ფაქტობრივი გა-რემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, დგინდება, რომ სასწავ-ლებლად მივლინებასა და კადრების განკარგულებაში გადაყვანას შო-რის კავშირი არ არსებობს, რაც გამორიცხავს ერთსა და იმავე საფუძ-ვლით შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარებას.

რაც შეეხება სწავლის პერიოდის შრომის უწყვეტ სტაჟში ჩათვლას, საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს სააპელაციო პალატის მი-თითებას აღნიშნულ ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავ-შირებით და მიუთითებს საქმეზე უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გა-რემოებებზე: კერძოდ, საქმეში დაცული რფ სძ ... აკადემიის ...ის, ...ის 2002 წლის 27 თებერვლის წერილის თანახმად, დასტურდება, რომ რფ სძ ... აკადემია მზად იყო 2002 წლის 10 მარტიდან მიეღო საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე ... გ. გი.-ს ძე ვ-ე დღის დაუსწრებელ ... ზე სასწავლებლად. მითითებული წერილისა და მოსარ-

ჩელე მხარის ახსნა-განმარტების საფუძველზე დგინდება, რომ მოსარჩელე, მართალია, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2000 წლის 30 დეკემბრის № 1949 ბრძანების საფუძველზე სასწავლებლად მივლინებულ უნდა ყოფილიყო 2001 წლის 1 იანვრიდან სამი წლის ვადით, თუმცა რეალურად სასწავლებელში ჩაირიცხა 2002 წლის 10 მარტიდან და სწავლა უნდა დაესრულებინა 2005 წლის მარტის თვეში. აღსანიშნავია, რომ სწორედ სასწავლებლად მივლინების პერიოდში – 2004 წლის 10 იანვარს, გ. ვ-ე დაკავებულ იქნა სისხლის სამართლის წესით, მიესავა 9 წლით თავისუფლების ალკეთა, თუმცა საბოლოოდ, მის მიმართ დადგა გამამართლებელი განაჩენი, რაც სწორედ შრომის უწყვეტისტაჟის აღიარების მოთხოვნის საფუძველი გახდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადაც პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, შრომის სტაჟი მოიცავს სწავლის პერიოდს, თუ პირი გაგზავნილი იყო სასწავლებლად დაწესებულების მიერ ან უკვე ჰქონდა სამსახურის სტაჟი. იმის გათვალისწინებით, რომ გ. ვ-ე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარგზავნილი იყო სასწავლებლად ... ს აკადემიაში, ამასთან, სწავლის პერიოდში მას წაეყენა დაუსაბუთებელი ბრალი, ხოლო მოგვიანებით, ასევე დაუსაბუთებლად იქნა მსჯავრდებული ამავე ბრალისათვის, გ. ვ-ეს არამართლზომიერად შეუწყდა შრომის სტაჟი. ამდენად, გამამართლებელი განაჩენის პირობებში, არსებობს საფუძველი იმისა, რომ მას უნდა ეღიაროს შრომის უწყვეტი სტაჟი 2004 წლის 10 იანვრიდან (დაკავების დრო) სწავლის დასრულებისთვის განსაზღვრულ პერიოდამდე (2005 წლის მარტი). საკასაციო პალატის განმარტებით, რომ არა დაუსაბუთებელი მსჯავრი, არსებობს ვარაუდი იმისა, რომ გ. ვ-ე გააგრძელებდა სწავლას განსაზღვრულ თარიღამდე, თუმცა, ამავდროულად, საქმის მასალების მიხედვით, არ არსებობს იმის სამართლებრივი საფუძველი, რომ სწავლის დასრულების შემდეგ ... გ. გი.-ს ძე ვ-ე აუცილებლად დაბრუნდებოდა თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შესაბამის პოზიციაზე, რაც სარჩელის ნაწილობრივ დაკამაყოფილების საფუძველს ქმნის. მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ სწავლის პერიოდში მას უნაზღაურდებოდა კუთვნილი თანხა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის აღმინისტრაციული დეპარტამენტის 2019 წლის 27 მარტის №MOD 31900306730 წერილის თანახმად, ... ში სწავლის პერიოდში ... გ. გი.-ს ძე ვ-ეს თანამდებობრივი სარგო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1998 წლის 30 ოქტომბრის №302 ბრძანების შესაბამისად, შეადგენდა 109.96 აშშ დოლარს. ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აღმინისტრაციული დეპარტამენტის 09.10.2018

ნლის №1012436 წერილის თანახმად, დასტურდება, რომ ... გ. გი.-ს ძე ვ-ე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის სამსახურში ფულადი უზრუნველყოფით დაკმაყოფილებულია 2003 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა შრომის უწყვეტი სტაჟის სრულად აღიარების ნაწილში არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტორივ გარემოებებს, საპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება კი შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების ნაწილში არასწორია. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება შრომის უწყვეტი სტაჟის სრულად აღიარების შესახებ და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ვ-ეს სარჩელი შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარების ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. გ. ვ-ეს ეღიაროს შრომის უწყვეტი სტაჟი 2004 წლის 10 იანვრიდან (დაკავების მომენტიდან) 2005 წლის მარტის შესაბამის რიცხვამდე (სწავლის დასრულებისთვის განსაზღვრულ თარიღამდე), ხოლო 2005 წლის მარტიდან 2018 წლის 28 მარტამდე უარი ეთქვას შრომის უწყვეტი სტაჟის აღიარებაზე;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო დაცვალიანების მოთხოვნის პარტნიორება

## გადაცევაჲილება საქართველოს სახელით

№ ६-९२५(२३-२२)

14 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ქ. ცინცაძე,  
გ. მაკარიძე

**დავის საგანი:** სახელთასო დავალიანების ანაზღაურება

## აღნერილობითი ნაწილი:

თ. ა-ამ 2020 წლის 22 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მოსარჩელე თ. ა-ას სასამარგებლოდ 1998-1999-2000 წლების სახელფასო დავალიანების – 1264 ლარის ანაზღაურების დავალება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მოსარჩელე თ. ა-ას სასამარგებლოდ საბოლოო ანგარიშსწორების 2000 წლის 21 ივლისიდან 2020 წლის ჩათვლით დაყოვნების ყოველი დღისთვის ძირითადი თანხის 1264 ლარის 0.07 პროცენტის – 64 300 ლარის გადახდის დაგალება.

მოსარჩევემ აღნიშნა, რომ ადგინისტრულმა ორგანომ მას დიდი იდენტობის მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა, უხეშად შელა-სა საქართველოს კონსტიტუციით მისთვის გარანტირებული უფლებები (მუხლი 18.4), საქართველოს შრომის კოდექსს 34-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულ-თან მოახდინოს საბოლოო ანგარიშს სხორცება არაუგვიანეს 7 კალენდა-რული დღისა, თუ მრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. მოსარჩევს მითითებით, ნაცვლად 7 კალენდა-რული დღისა, ადგინისტრული ორგანო 20 წელია კანონით დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს. მოსარჩევემ აღნიშნა, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული არის როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური გარანტიები. აღნიშნული ნორმა ყველას ანიჭებს უფლებას მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფი-

ლი სამართლებრივი დაცვის საშუალება-სასამართლოსთვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბიც, ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. სახელმწიფო ორგანოთა და მომსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება ალიარებული და განმარტებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. სახელმწიფო პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებით და აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით.

მოსარჩელის მოსაზრებით, თავდაცვის სამინისტრომ თ. ა-ას უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი – სახელფასო დავალიანება 1264 ლარი და აგრეთვე საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საბოლოო ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის უნდა გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 1 264 ლარის 0.07 პროცენტი, რაც შეადგენს 8.93 ლარს, ერთი თვის 267.90 ლარს, ერთი წლის 3 215 ლარს, ხოლო 2000 წლიდან 2020 წლის ჩათვლით 64 300 ლარს, ხოლო ჯამში სახელფასო დავალიანების ძირ თანხასთან ერთად თავდაცვის სამინისტროს უნდა დაეკისროს 65 585 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოდეგის 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ა-ას სარჩელიდაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე თ. ა-ას სასარგებლოდ დაეკისრა 1998-1999-2000 წლების ხელზე მისალები ხელფასის ანაზღაურება 605.83 ლარის ოდენობით; თ. ა-ას უარი ეთქვა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 1998-1999-2000 წლების კვების კომპენსაციისა და ყოველი დაყოვნების დღისთვის 0.07 პროცენტის დაკისრებაზე.

სასამართლომ მიუთითა სადაცვო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას), რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურებზე დაწესებული კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელებულიყო დაცულ მუხლებში ნარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული ნორმით კანონმდებელმა განსაზღვრა საჯარო მოსამსახურებზე ნინა წლებში ნარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება. ამავე ნორმის დანაწესით არ არის განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისათვის განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულება.

სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული მრომითი ურთიერთობები. აღნიშნული კანონის 37-ე მუხლი წარმოადგენს იმ მავალდებულებელ სამართლებრივ საფუძველს, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაეკისროს შრომითი გასამრჯელოს მოსამსახურეზე გაცემა, რათა მან შესრულებული სამუშაოსათვის მიიღოს ანაზღაურება. სწორედ ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება წარმოადგენდეს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს დაფინანსების შემცირების საფუძველს.

სასამართლო არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია სახელფასო დავალიანებაზე სასარჩევლი მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეთა მიმართ 2005 წლამდე წარმომობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება აღიარებული იყო კანონით. შესაბამისად, აღნიშნული საქანონმდებლო დანაწესით სახელმწიფომ ცალსახად განსაზღვრა საჯარო მოსამსახურეთა უფლება მიუღებელ ხელფასზე და ვინაიდან კანონმდებლმა შემოიტანა სპეციალური საკანონმდებლო რეგულაცია, ამ ტიპის მოთხოვნებზე ზოგადი სახის ნორმების გამოყენება დაუშვებელია.

ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეს მოსაზრება, რომლის შესაბამისად, სამინისტროს არ უნდა დაეკისროს მოსარჩევლებს მიმართ არსებული სახელფასო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრების გამოყოფამდე. სასამართლოს მითითებით, საჯარო მოსამსახურეთა მიმართ 2005 წლამდე წარმომობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება აღიარებულია კანონით – საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლით. შესაბამისად, მოპასუხის მიერ მითითებული არგუმენტი არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

რაც შეეხება მოსარჩევლის მოთხოვნას კვების კომპენსაციის (527.28 ლარის) ნანილში, სასამართლოს მითითებით აღნიშნული წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოთხოვნის წარმომობის მომენტს უკავშირებს დროს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კვების კომპენსაცია, ხელფასის თანხისგან განსხვავებით, არ არის მოქცე-

ული სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამდენად, მოსარჩელეს მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამნლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილი უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით, მიუხედავად იმისა, თუ როდის იქნა დათხოვილი პირი სამსახურიდან. აღნიშნულიდან გამოდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მითითებული პერიოდის კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაეკისროს მოსარჩელე თ. ა-ას სასარგებლოდ 1998-1999-2000 წლების ხელზე მისაღები ხელფასის ანაზღაურება 605.83 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას 2000 წლის 21 ივლისიდან 2020 წლის ჩათვლით დაყოვნების ყოველი დღისთვის ძირითადი თანხის 1264 ლარის 0.07 პროცენტის – 64 300 ლარის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლომ მიუთითა 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურებზე ვრცელდებოდა ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა დაყოვნებული სახელფასო თანხის 0.07 პროცენტის – 64 300 ლარის ანაზღაურებაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან, საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვერ გავრცელდება 1998-2000 წლებში არსებულ ურთიერთობებზე, რადგან აღნიშნულ ნორმას არ გააჩნია უკუქცევითი ძალა. ამასთან, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, იგი არ ანესრიგებს მის ძალაში შესვლამდე არსებულ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ თ. ა-ა მითითებულ პერიოდში ნარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას უნდა გავრცელდეს საჯარო კანონმდებლობის მოთხოვნები, ხოლო საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებდა ხელფასის დროულად გადაუხდელობისთვის 0.07 პროცენტის ოდენობით ანაზღაურების ვალდებულებას. ამდენად, სასამარ-

თლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2000 წლის 21 ივლისიდან 2020 წლის ჩათვლით დაყოვნების ყოველი დღისთვის ძირითადი თანხის 1264 ლარის 0.07 პროცენტის ანაზღაურებაზე უსაფუძვლოა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდათ. ა-ას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით. ა-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. ა-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელე თ. ა-ას სასარგებლოდ 1998-1999-2000 წლების ხელზე მისაღები ხელფასის ანაზღაურება 1 264 ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში თ. ა-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ა-ას სახელფასო დავალიანება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ავიაციის და საპარო თავდაცვის სარდლობის 2020 წლის 10 ნოემბრის MOD 9 20 01025834 ცნობის თანახმად, შეაღეთეთ 1054.15 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეში დავის საგანს – მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს თ. ა-ას მიმართ 1998-1999-2000 წლების მიუღებელი სახელფასო დავალიანების – 1264 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების კანონიერება, ხოლო დამატებით მოთხოვნას – თ. ა-ას სასარგებლოდ საბოლოო ანგარიშსწორების 2000 წლის 21 ივლისიდან 2005 წლის 01 იანვრამდე დაყოვნების ყოველი დღისთვის ძირითადი თანხის 1264 ლარის 0.07 პროცენტის გადახდის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების კანონიერება.

პალატამ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას), რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურებზე დაწესებული კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელებულიყო დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

პალატის მოსაზრებით, სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია სახელფასო დავალიანებაზე სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეთა მიმართ 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების გალდებულება აღიარებული კანონით. შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესით სახელმწიფომ ცალსახად განსაზღვრა საჯარო მოსამსახურეთა უფლება მიუღებელ ხელფასზე და ვინაიდან კანონმდებელმა შემოიტანა სპეციალური საკანონმდებლო რეგულაცია, ამ ტიპის მოთხოვნებზე ზოგადი სახის ნორმების გამოყენება დაუშვებელია. პალატის მოსაზრებით სასამართლომ ასევე მართებულად არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომლის შესაბამისად, სამინისტროს არ უნდა დაეკისროს მოსარჩევლეს მიმართ არსებული სახელფასო დავალიანება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრების გამოყოფამდე. საჯარო მოსამსახურეთა მიმართ 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების გალდებულება აღიარებულია კანონით – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლით. შესაბამისად, მოპასუხის მიერ მითითებული არგუმენტი არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამხედრო მოსამსახურისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე არსებულ დავასთან დაკავშირებით 2020 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაში (საქმე №ბას-1110(კ-18)) განმარტა, რომ „მართალია სარჩევლი აღძრულია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის მოქმედების პირობებში, თუმცა გასათვალისწინებულია, რომ კანონი ამოქმედდა 2017 წლის 1 ივნისიდან (128-ე მუხ.). მითითებული კანონის ამოქმედებამდე საკითხის რეგულირებას ახდენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი, რომლის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების საჯარო მოხელისათვის ანაზღაურება ხორციელდებოდა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 134<sup>1</sup> მუხლი წარმოადგენდა დავალიანების კანონისმიერ აღიარებას, რის შედეგადაც 2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე არ ვრცელდებოდა ხანდაზმულობის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვადები. საკასაციო პალატა ყურადღებას ამასვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონმა მოქმედება შეწყვიტა 2017 წლის 1 ივნისიდან და ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი, რომელიც 2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე მიმართებით ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ წესს აღარ ითვალისწინებს, რაც ადასტურებს ამჟა-

მად საჯარო მოხელის მიმართ წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლის საერთო წესის გავრცელებას, თუმცა მხოლოდ აღნიშნული კანონის ამოქმედების მომენტიდან.“

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევის მიერ მოთხოვნილი დავალიანება წარმოშობილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის მოქმედების პერიოდში – 1998-2000 წლებში, რაც ადასტურებს ახალი კანონის ამოქმედების მომენტამდე – 2017 წლის პირველ ივლისამდე, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ზოგადი წესების გავრცელების დაუშვებლობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 134<sup>1</sup> მუხლით საჯარო სამსახურში 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება ფაქტობრივად განუსაზღვრელი დროით იყო გადავადებული და აღნიშნული კანონის ძალადაკარგულად ცნობამ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებამ დასაშვებად მიიჩნია საჯარო სამსახურში 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყება, რაღაც კანონმა აღარ გაითვალისწინა სპეციალური, საშეღავათო დათქმა მსგავსი ტიპის დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. ამასთან, ვინაიდან დადასტურებულ იქნათ. ა-ას მიმართ 1998-1999-2000 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანება, პალატის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება ადასტურებს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოსარჩევეთა მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის დაუშვებლობას.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თ. ა-ას მიმართ 1998-1999-2000 წლების მიუღებელი სახელფასო დავალიანების – 1264 ლარის დაკავშირების ნაწილში სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

პალატამ აღნიშნა, რომ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი არ ითვალისწინებდა თანხის 0.07 პროცენტის გადახდის ვალდებულებას, ამასთან, სარჩელის აღძვრის დროს 2020 წლის 22 დეკემბერს და შესაბამისად სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტშიც ძალადაკარგული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი და 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის (ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან) მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგინდა, რომ მოხელეზე საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ კა-

ნონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვერ გავრცელდება 1998-2000 წლებში არსებულ ურთიერთობებზე, რადგან აღნიშნულ ნორმას არ გააჩნია უკუქცევითი ძალა. ამასთან, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, იგი არ აწესრიგებს მის ძალაში შესვლამდე არსებულ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ თ. ა-ა მითითებულ პერიოდში წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, რის გამოც მასზე შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას უნდა გავრცელდეს საჯარო კანონმდებლობის მოთხოვნები, ხოლო საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებდა ხელფასის დროულად გადაუხდელობისთვის 0.07 პროცენტის ოდენობით ანაზღაურების ვალდებულებას.

ამდენად, პალატის მოსაზრებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის (ძალადაკარგულია 2017 წლის 1 ივლისიდან) მე-14 მუხლის საფუძველზე შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტის გადახდის დაკისრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის არამართებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თ. ა-ას მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ წარმოშობილი სახელფასო დავალი-ანების – 1264 ლარის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოსარჩევის მოთხოვნა 2000 წლის 21 ივლისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე დაყოვნების ყოველი დღისთვის ძირითადი თანხის 1264 ლარის 0.07 პროცენტის – 17 471 ლარის ანაზღაურებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გა-საჩივრდა თ. ა-ასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

კასატორით. ა-ა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებას ასაზივრებს ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი ვადაგადაცილებული ძირი თანხის 0.07 პროცენტის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას მოითხოვს.

კასატორი აღნიშნავს, რომ თ. ა-ა არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, არამედ იყო დამხმარე მოსამსახურე (ტექნიკური მუშაკი), სამსახურში მიღებული იყო ხელშეკრულების საფუძველზე და მასზე სრულად ვრცელდებოდა საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რაც საა-

პელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, უგულებელყო და დაუსაბუთებლად დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე თ. ა-ა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანიზაციან და წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

კასატორი მიუთითებს საქართველოს შრომის კოდექსის 53-ე მუხლზე, რომლის თანახმად 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება არსებული შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა. ამდენად, თ. ა-ა თვლის, რომ საფუძველსაა მოკლებული ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი ვადაგადაცილებული ძირი თანხის 0.07 პროცენტის ანაზღაურებაზე უარი იმ საფუძვლით, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვერ გავრცელდება 1998–2000 წლებში არსებულ ურთიერთობებში, რადგან აღნიშნულ ნორმას არ გააჩნია უკუცევითი ძალა.

ამასთან, კასატორი თვლის, რომ სასამართლოების ყურადღების მიღმა დარჩა მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 თებერვლის განმარტება (№ას-1205-1132-2015) საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის გავრცელებისა და დაყოვნებული სახელფასო თანხის 0.07 პროცენტის ანაზღაურების თაობაზე.

კასატორი საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას მოითხოვს.

კასატორი თვლის, რომ 2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელფასო დავალიანების მიღების უფლების გაუთვალისწინებულობამ არა თუ გამორიცხა ამ უფლების ახალი კანონის მოქმედების პერიოდში რეალიზების შესაძლებლობა, არამედ, ფაქტობრივად, შექმნა ხსნებული მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა დაწყების საფუძველი. შესაბამისად, ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტიდან მიუღებელი სახელფასო დავალიანების მიღების შესაძლებლობა კვლავ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადით შემოიზღუდა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-1516(კ-18) და №ბს-1104(კ-18) გადაწყვეტილებები).

კასატორის მითითებით, მოსარჩელემ სახელფასო დავალიანების

ანაზღაურების უფლების რეალიზაცია მოახდინა 2020 წლის 22 დეკემბერს, ამდენად, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რომლის ათველა დაიწყო 2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების დღიდან (2017 წლის 1 ივლისიდან) და დასრულდა 2020 წლის 1 ივლისს, რადგან არ დამდგარა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 კარის მე-2 თავით განსაზღვრული ხანდაზმულობის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები.

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2002 წლის 06 ივნისის №22662 ცნობას და საპატიო თავდაცვის სარდლობის 2020 წლის 10 ნოემბრის № 1025834 ცნობას, რომელთა შესახებ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცნობებით დასტურდება მოსარჩევის მიმართ 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება, რაც გამორიცხავს მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კასატიონი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე (საქმე №ბას-326(კ-16)), რომლის შესაბამისად, მსგავსი ხასიათის ცნობები წარმოადგენს გარკვეული მონაცემების შემცველ საინფორმაციო ხასიათის ცნობას და მას არ შეიძლება მიეცეს სხვა რაიმე სახის მტკიცებულებითი მნიშვნელობა, რადგანაც აღნიშნულით არ მომხდარა რაიმე სახის დაპირება/შეპირების განხორციელება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 9 სექტემბრისა და 2022 წლის 9 ოქტომბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და თ. ა-ას საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და თ. ა-ას საკასაციო საჩივრები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

საკასაციონ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თ. ა-ას საკასაციონ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემობა-თა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამხედრო საპატიო ძალების სარდლის 2000 წლის 21 ივლისის №43 ბრძანების შესაბამისად, სსდ სა-კომანდო პუნქტის კავშირგაბმულობის კვანძით კავშირგაბმულობის ... ოსტატი - თ. ა-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ხელ-შეკრულების პირობების დარღვევის გამო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ავია-ციისა და საპატიო თავდაცვის სარდლის 2020 წლის 10 ნოემბრის ცნო-ბით დგინდება, რომ თ. ა-ას მიმართ 1998-1999-2000 წლებში არსებული სახელფასო დავალიანება ჯამში შეადგენს 1 054.15 ლარს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დე-პარტამენტის უფროსის 2020 წლის 16 ნოემბრის წერილით თ. ა-ას წარ-მომადგენელს ვ. ტ-ას 2020 წლის 2 ოქტომბრის განცხადების (თ. ა-ას სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების შესახებ) პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტით გათვალისწი-ნებული არ იყო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარი ასიგნება.

საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურში დასაქმე-ბული თითოეული პირისათვის გარანტირებულია შრომითი ან ზღაურე-ბის მიღების უფლება. შრომითი ურთიერთობა გულისხმობს არა მარტო დასაქმებულის ვალდებულებას ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და კა-ნონშესაბამისად შესასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები, არამედ შრომითი ურთიერთობა უპირობოდ მოიაზრებს აგრეთვე შრო-მითი ანაზღაურების გადახდის შესახებ დამსაქმებლის მოვალეობასაც. საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს, შრომითი გასამრჯელო მიიღოს სამსახურში დანიშვნის დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე („საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კა-ნონის 37-ე მუხ. 1-ლი პუნქტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის 57-ე მუხ. მე-2 პუნქტი).

განსახილვები შემთხვევაში უდავოდ დგინდება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოსარჩევეს არ აუნაზღაურა 1998-2000 წლე-ბის სახელფასო დავალიანება, რამაც წარმოშვა მოთხოვნის უფლება მიუღებელი დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

უპირველესად, საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თ. ა-ას სასარგებლოდ დაკისრა 1998-1999-2000 წლების ხელზე მისაღები ხელფასის ანაზღაურება 605.83 ლარის ოდენობით,

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ არ გასაჩივრებულა, ამ-დენად, გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული. შეა-საბამისად, საკასაციო პალატა შეაფისებს თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარ-ტის გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც საქართველოს თავდაც-ვის სამინისტროსთვის დაკისრებული თანხა – 605.83 ლარი გაიზარდა 658.17 ლარით – 1 264 ლარამდე.

საკასაციო პალატის მითითებით, დარღვეული თუ სადავოდ ქცეუ-ლი უფლების დაცვის თვალსაზრისით, რიგ შემთხვევებში, გადამწყვე-ტი მნიშვნელობა ენიჭება დროს. დრო იწვევს სამართლებრივი სინამ-დვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწყვეტას, უფლე-ბის სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხში-რად არის ვადით შეზღუდული, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გას-ვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შე-საძლებლობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III). ვადა დასაწყისითა და დასრულების მომენტით შემოფარგლული განსაზღვრული ან განსაზღვრებადი დროის შუალედია, იგი უთითებს სამართლებრივად მნიშვნელოვან დროის პე-რიოდზე, რომლის ფარგლებში სამართლებრივი შედეგის წარმოშობი რაიმე ქმედება ან ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს. დავის გა-დაწყვეტის მიზნებისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ვადებს შორის ერთ-ერთი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა. გონივრული სა-სარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა, განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სა-მართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა მომეტებულად დაცვის ღირ-სია (სუსგ 2022 წლის 21 ივნისის №ას-34-2022, 172 პ.). სწორედ სასამარ-თლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალ-დებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის დაბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტიმულირების მიზნით კანონმდებლობა ით-ვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს. ხანდაზმულობა არის ვა-და, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძ-ლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ზოგადი ვადები განსაზღვრულია სამოქალა-ქო კოდექსის მე-4 კარის მე-2 თავით, თუმცა აღნიშნული არ გამორიც-ხავს ხანდაზმულობის სპეციალური ვადების დადგენის შესაძლებლო-ბას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულობის სპეციალურ ვადაზე შეთანხმება არ შეიძლება შეადგენდეს სამართალურთიერთო-ბის მონაწილე სუბიექტების შეთანხმების საგანს, ხანდაზმულობის სპე-

ციალური ვადა და კონკრეტულ მოთხოვნებზე მისი გავრცელების გა-  
მორიცხვა მხოლოდ ნორმატიულად შეიძლება განხორციელდეს (სუსგ  
2020 წლის 26 მარტის საქმე №ბს-1110(კ-18)). სასარჩელო ხანდაზმუ-  
ლობის ვადების ნორმატიულად დადგენა ემსახურება სამართლებრივი  
განსაზღვრულობის ლეგიტიმურ მიზანს, მათი მეშვეობით ერთი მხრივ  
ხდება პოტენციური მოპასუხებების დაცვა ვადაგასული მოთხოვნების-  
გან, ხოლო მეორე მხრივ ხდება სასამართლოს გათავისუფლება ისეთ  
სასარჩელო მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების ვალდებულები-  
საგან, რომელიც ეფუძნება დროის ფაქტორის გათვალისწინებით არას-  
რულად და ნაკლებ განსაზღვრულად ქცეულ მტკიცებულებებს (ადა-  
მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 07 ივლისის  
№ 1062/07 გადაწყვეტილება საქმეზე „Stagno v. Belgium“).

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს 1998-1999-2000  
წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს 1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებულ  
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე,  
რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფ-  
ლებულ საჯარო მოსამსახურებე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანო-  
ნით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდეს წინა  
წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შე-  
საბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2017 წლის 1 ივლისამდე  
მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათ-  
ვალისწინებული იყო სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამ-  
სახურეთა უფლება, შესაბამისი საჯარო დაწესებულებებიდან მოეთ-  
ხოვათ წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარ-  
ვა. ამდენად, მითითებული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მო-  
სამსახურებე წინა წლებში წარმოშობილი სახელფასო დავალიანების  
ანაზღაურება, რაც წარმოადგენს დავალიანების კანონისმიერ აღიარე-  
ბას. ოუმცა 2017 წლის 1 ივლისს ამოქმედებული „საჯარო სამსახურის  
შესახებ“ საქართველოს კანონი ანალოგიური შინაარსის შემცველ და-  
ნაწეს არ ითვალისწინებს (სუსგ 2019 წლის 12 სექტემბრის საქმე №ბს-  
1104(კ-18)).

1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებულ „საჯარო სამსახურის შესახებ“  
საქართველოს კანონში 134<sup>1</sup> მუხლის განმტკიცებით, ანუ სამართლებ-  
რივი აქტით მიუღებელი სახელფასო დავალიანების მიღების უფლების  
მოწესრიგებით სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახუ-  
რებს წარმოეშვათ ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ ისინი შეძლებ-  
დნენ გათავისუფლებამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების  
მიღებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რამდენადაც კანონმდებლობით უფლების განხორციელება ხანდაზმულობის გარკვეულ ვადებს უკავშირდება, საკანონმდებლო დონეზე მიუღებელი სახელფასო დავალიანების მოთხოვნის უფლების განმტკიცებამდე მისი რეალიზებაც ხანდაზმულობის კონკრეტული, კერძოდ, სამწლიანი ვადით იყო შეზღუდული. თუმცა მითითებული საკანონმდებლო მოწესრიგების შედეგად, აღნიშნული დავალიანების მიღების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დინება შეწყდა, ხოლო ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელფასო დავალიანების მიღების უფლების გაუთვალისწინებლობამ არა თუ გამორიცხა ამ უფლების ახალი კანონის მოქმედების პერიოდში რეალიზების შესაძლებლობა, არამედ, ფაქტობრივად, შექმნა ხსენებული მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა დაწყების საფუძველი. შესაბამისად, ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტიდან მიუღებელი სახელფასო დავალიანების მიღების შესაძლებლობა კვლავ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადით შემოიზღუდა (სუსგ 2019 წლის 12 სექტემბრის საქმე №ბს-1104(კ-18)).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონმა მოქმედება შეწყვიტა 2017 წლის 1 ივლისიდან და ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი, რომელიც 2005 წლამდე წარმოშობილ სახელფასო დავალიანებებთან მიმართებით ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ წესს აღარ ითვალისწინებს, რაც ადსტურებს ამჟამად საჯარო მოხელის მიმართ წარმოშობილ სახელფასო დავალიანებაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლის საერთო წესის გავრცელებას, თუმცა მხოლოდ აღნიშნული კანონის ამოქმედების მომენტიდან. თ. ა-ას მიერ მოთხოვნილი დავალიანება წარმოშობილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის მოქმედების პირობებში – 1998-2000 წლებში, რაც ადასტურებს ახალი კანონის ამოქმედების მომენტამდე – 2017 წლის პირველ ივლისამდე, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ზოგადი წესების გავრცელების დაუშვებლობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 134<sup>1</sup> მუხლით საჯარო სამსახურში 2005 წლამდე წარმოშობილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება ფაქტობრივად განუ-

საზღვრელი დროით იყო გადავადებული და ალნიშნული კანონის ძალა-დაკარგულად ცნობამ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებამ დასაშვებად მიიჩნია საჯარო სამსახურში 2005 წლამდე წარმომბილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყება, რადგან კანონმა აღარ გაითვალისწინა სპეციალური, საშეღავათო დათქმა მსგავსი ტიპის დავალიანების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა 2020 წლის 22 დეკემბერს, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის ამოქმედებიდან – 2017 წლის 1 ივლისიდან 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ამოინურა 2020 წლის 1 ივლისს. შესაბამისად, დასტურდება თ. ა-ას მიერ სასამართლოსთვის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გასვლის შემდგომ მიმართვის ფაქტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გარკვევისას, შეფასებას საჭიროებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლების არსებობა. როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩვეულებრივ მიმდინარეობს და მისი ამონურვის თარიღი მისი ათვლის მომენტიდან კონკრეტულად განსაზღვრული პერიოდის გასვლის კალენდარულ თარიღს ემთხვევა, თუმცა არის გარემოებები, რომელთა დადგომა ხანდაზმულობის ვადის დენის შემაფერხებელ ნორმატიულ საფუძვლებს ქმნის.

განსახილებელ საქმეში, ვინაიდნა არ დასტურდება ხანდაზმულობის ვადის დენის შემაფერხებელი გარემოებები, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის ნორმატიული საფუძვლების არსებობა, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. ა-ას მოთხოვნა ხანდაზმულია, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს ქმნის.

ამასთანავე, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გათვალისწინებით, აღარ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ საფუძვლიანობასთან მიმართებით მსჯელობის საჭიროება, თუმცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაყოვნებული თანხის 0,07%-ის თ. ა-ასთვის გადახდის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიზანშენონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით ძალადაკარგული ნორმატიული აქტის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის მე-14 მუხლს, რომლით გათვალისწინებულ შინაარსს აღარ შეიცავს 2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რაც გამორიცხავს ყოვე-

ლი გადაცილებული დღისთვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების შესაძლებლობას.

რაც შეეხება მხარეთა მორის სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. ამასთანავე,, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „უ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ფიზიკური პირები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ხელფასის გადახდევინების შესახებ სარჩელებზე, ხოლო დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ყველა საქმეზე თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამდენად, განსახილველი დავის ორივე მხარე გათავსუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ ჟ ვ ი ს ტ ა:**

1. თ. ა-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც თ. ა-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თ. ა-ას სასარგებლოდ დამტებით დაეკისრა 1998-1999-2000 წლების ხელზე მისაღები ხელფასის ანაზღაურება 658.17 ლარის (1 264-605.83) ოდენობით და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. თ. ა-ას სარჩელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თ. ა-ას სასარგებლოდ, 1998-1999-2000 წლების ხელზე მისაღები ხელფასის დამტებით 658.17 ლარის (1 264-605.83) ოდენობით დაკისრების ნაწილში, არ დაკმაყოფილდეს;

5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება;

6. მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესულობა ჩაღვისული დისციპლინური გადაცდომის სიმამიერაზე

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბა-1011(კ-23)

18 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. სტურუა,  
გ. მაკარიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2021 წლის 27 ივლისს ზ. დ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქართველოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ. სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შემდგომ მოსარჩელემ მოითხოვა: „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანების ბათილად ცნობა; ზ. დ-ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამართველოს ...ის ...ის პოზიციაზე აღდგენის თაობაზე მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება; მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ზ. დ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელ-

ფასის ანაზღაურების დავალება 2018 წლის 12 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის დაანგარიშებით.

მოსარჩელებ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, ზ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 2018 წლის 12 სექტემბრის №338/კ ბრძანება და მოპასუხე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაევალა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მინშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდგომ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მოსარჩელის განმარტებით, 2021 წლის 16 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ისე, რომარ გამოუკვლევია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ დავალებული არცერთი გარემოება, გამოსცა ახალი ბრძანება №MES 4 21 0000581237, ზ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რასაც არ ეთანხმება მოსარჩელე მხარე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანება და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა, საქმისათვის მინშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადაც საკითხთან დაკავშირებით; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე და აღნიშნა, რომ სასამართლოს უნდა შეეფასებინა ზ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების კანონიერება და ასევე ის საკითხი, თუ რამდენად გამოიკვლია და შესაბამისობაში მოიყვანა მოპასუხე მხარემ სასამართლოს დავალება საქმის გარემოებების თავიდან გამოკვლევისა და შეფასების კუთხით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლზე, საქართველოს სამიქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმი-

ნისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის №ბს-476-464(კ-13) გადაწყვეტილებაზე და განმარტა, რომ კანონმდებელმა ცალსახად განსაზღვრა სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა, აღნიშნული ასევე განმარტა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არა-ერთ მის გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, მოპასუხე მხარე ვალდებული იყო განეხორციელებინა მისი ადსრულება სასამართლო აქტში მითითებულ ფარგლებში, რაც განსახილველ შემთხვევაში არ განუხორციელებია.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სა-დავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების საფუძვლად მითითებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2021 წლის 16 მაისის მოხსენებით ბარათში არ არის ასახული საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად დადგენილი გარემოებები, რომლითაც მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იხელმძღვანელა მოსარჩევე ზ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს. კერძოდ, არ არის მითითებული და დასაბუთებული, თუ რა კონკრეტული კრიტერიუმების (კვალიფიკაცია და ა.შ.) გათვალისწინებით მიანიჭა მოპასუხემ სხვა პირს უპირატესობა ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეულზე დანიშვნის დროს და რატომ უთხრა მოსარჩელეს უარი მოცემულ საშტატო ერთეულზე დანიშვნაზე იმ პირობებში, როცა ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეული დატვირთულია არსებითად იმავე ფუნქციებით, რომელსაც მოსარჩელე ზ. დ-ე მის მიერ დაკავებულ საშტატო ერთეულზე მუშაობისას ახორციელებდა.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხისადმი ფორმალური მიდგომით უგულებელყო პირის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლება და არ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებულ ფარგლებში. ამდენად, მოპასუხე საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა გამოიყვლიოს და შეაფასოს ზ. დ-ის სამსახურში აღდგენსათან დაკავშირებით, მოსარჩელის და მისი კონკურენტი პირის (პირების) კვალიფიკაცია, ასევე სხვა შესაბამისი მონაცემები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანებაში ასა-

ხული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რამდენადაც იგი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. შესაბამისად, არსებობდა მისი სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

ამასთან, სამსახურში აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ ზ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე და აღნიშნა, რომ სამსახურში აღდგენა, განაცდური ხელფასის ანაზღაურება და სხვა თანმდევი სამართლებრივი შედეგები, კანონის შესაბამისად დაკავშირებულია სასამართლოს მიერ სადაცო საკითხის გადაუწყეტასთან, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებასთან და პირის სამსახურში აღდგენასთან. შესაბამისად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანება სადაცო საკითხის გადაუწყეტლად იქნა ბათილად ცნობილი და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. დ-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ზ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათა-

ვისუფლების „შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანება; მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამმართველოს ...ის ...ის პოზიციაზე ზ. დ-ის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა ზ. დ-ისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდისათვის, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შრომის უფლება საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი სოციალური უფლებაა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის საფუძველზე, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დათანხმდება ან განახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის.

ამასთან, სააპელაციო პალატამ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით განმარტა, რომ შრომით-სამართლებრივი საქმიანობა წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლებით დაცული სფეროს შემადგენელ ნაწილს, რადგან ასეთი საქმიანობის პროცესში პირი ახორციელებს ურთიერთობებს სხვა პირებთან, უზრუნველყოფს საკუთარი, პიროვნული შესაძლებლობების რეალიზაციას, ხელფასის სახით გამოიმუშავებს არსებობისათვის აუცილებელ ფინანსურ შემოსავალს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე, 102-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, 110-ე მუხლის პირველ პუნქტზე და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადაც აქტი გამოცემული იქნა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსარულების მიზნით. სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა საკითხის ხელახლა განხილვა, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილება მიიღოს იმგვარად, რომ არ შეიღახოს პირის კანონით გარანტირებული უფლებები.

სააპელაციო სასამართლომ აქვე დამატებით მიუთითა საქართვე-

ლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანებასა და აღნიშნული ბრძანების საფუძვლად მითითებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2021 წლის 16 მაისის მოხსენებით ბარათში არ იქნა მითითებული და დასაბუთებული, თუ რა კონკრეტული კრიტერიუმების (კვალიფიკაცია და ა.შ.) გათვალისწინებით მიანიჭა მოპასუხემ სხვა პირს უპირატესობა ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეულზე დანიშნვის დროს და რატომ უთხრა მოსარჩელეს უარი მოცემულ საშტატო ერთეულზე დანიშვნაზე იმ პირობებში, როცა, ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეული დატვირთულია არსებითად იმავე ფუნქციებით, რომელსაც მოსარჩელე ზ. დ-ე მის მიერდა კავებულ საშტატო ერთეულზე მუშაობისას ახორციელებდა.

სააპელაციო პალატის მითითებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო აქტის მართლზომიერების საფუძვლად მიუთითა და-საქმებულ საჯარო მოხელეებთან გამართული გასაუბრების მიზნით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს №2 სხდომის ოქმზე, საიდანაც ირკვევა, რომ სამინისტროს თანამშრომლებთან გასაუბრებაზე კომისიის წევრები დაინტერესდნენ შემდეგი საკითხებით: 1. თითოეული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობით და ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებით, ასევე მათი ფუნქციური დატვირთვის ხარისხით; 2. სამმართველოს ფუნქციონირების ხარისხის შეფასებით და ასევე სამართველოს სამომავლო განვითარების ხედვით; 3. თითოეული თანამშრომლის ხედვით, სამინისტროების გაერთიანების ფონზე, რომელსფეროში და რა მიმართულებით ხედავდნენ საკუთარი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობებს; 4. ავლენდნენ თუ არა თანამშრომლები პირად ინიციატივას საქმიანობაში ჩართულობის მიზნით და რაში გამოიხატებოდა მათი ინიციატივა. ჩატარებული გასაუბრების შედეგად, 6 (ექვსი) ...ის ...და 4 (ოთხი) დაინიშნა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ...ისა და ...ის დეპარტამენტის ... სამმართველოს ...ის ...ად, ხოლო ზ. დ-ე მისივე თანხმობით დაექვემდებარა სხვა საჯარო დაწესებულებაში მობილობას. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, შესწავლილ იქნა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოში დაცული დოკუმენტაცია. მისივე განმარტებით, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს თანამშრომლებთან ჩატარებულ 2018 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმში, გარდა ზემოთ მითითებული ინფორმაციისა, თანამშრომელთა შეფასების მიზნით გამოყე-

ნებული კრიტერიუმების შესახებ სხვა ინფორმაცია არ არის ასახული. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ რეორგანიზაციის პერიოდში თანამშრომ-ლებთან გასაუბრების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქმიანობა დაას-რულა სამინისტროს რეორგანიზაციის დასრულებისთანავე და აღნიშ-ნული კომისიის წევრების უმრავლესობა აღარ არის დასაქმებული სა-მინისტროს სისტემაში.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულე-ბის მიზნით, განსახილველ საკითხზე განმეორებით მსჯელობისას ად-მინისტრაციულმა ორგანომ მიიღო იგივე გადაწყვეტილება იმ მტკიცე-ბულებაზე დაყრდნობით, რომელიც ერთხელ უკვე იყო შეფასებული სასამართლოს მიერ და რომლის გათვალისწინებითაც სასამართლომ 2018 წლის სადაც აქტი კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია და სადაც სა-კითხის გადაუწყვეტლად ცნო ბათოლად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარე უთითებს კრიტერიუმებზე, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეფასებუ-ლიყო კანდიდატი, თუმცა ვერ იქნა დასაბუთებული, თუ კონკრეტუ-ლად რა კრიტერიუმების გათვალისწინებით მიანიჭა მოპასუხემ სხვა პირს უპირატესობა ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეულზე დანიშნის დროს და რატომ უთხრა მოსარჩევეს უარი მოცუმულ საშ-ტატო ერთეულზე დანიშნაზე. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სააპელაციო განხილვის ეტაპზე მიუთი-თებდა, რომ კრიტერიუმების შესახებ სხვა ინფორმაცია არ არის დაცუ-ლი სამინისტროში და გასაუბრების მიზნით შექმნილი კომისიის წევრე-ბი აღარ არიან დასაქმებულები ხსენებულ უწყებაში, რაც სააპელაციო პალატის შეფასებით, ვერ მიიჩნევა სადაც აქტის იმგვარ დასაბუთე-ბად, რომელიც სარჩელის უსაფუძვლობას დაადასტურებდა, მით უფ-რო იმ პირობებში, როცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გა-დაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სწორედ ამ გარემოების გამოკვლე-ვის შედეგად იყო გამოსაცემი ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივი აქტი. ამავე დროს, სამინისტროს ზემოხსენებუ-ლი განმარტებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადგე-ნილად მიიჩნია, რომ სადაც სამართალურთიერთობის შესახებ ადმი-ნისტრაციულ ორგანოში დამატებით რამე ინფორმაცია აღარ მოიპო-ვებოდა, სამინისტრომ სრულად მოიძია და გამოიკვლია ყველა გარემო-ება, რაც სადაც საკითხთან იყო შემხებლობაში, რა დროსაც დადგინ-და, რომ მხოლოდ ის მტკიცებულებები არსებოდა ზ. დ-ის სამსახური-დან გათავისუფლების საქმეზე, რომლებიც უკვე შეფასებული იყო სა-სამართლოს მიერ და რომელთა გათვალისწინებითაც ზ. დ-ის სამსახუ-

რიდან გათავისუფლება სასამართლომ არ მიიჩნია კანონშესაბამისად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-17 მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებები და სასამართლოს მიერ საქმის გარემოება-თა გამოკვლევა, შესაძლებელს ხდის სადავო საკითხის არსებითად გა-დაწყვეტას, რადგან სადავო შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა მითითებული გარემოებაზე, რაც მოსარჩელის დაკავე-ბული თანამდებობიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველი შეიძლება გამზდარიყო. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დასა-ბუთებული თუ რატომ ვერ მოხერხდა მოსარჩელის მობილობა. ამდე-ნად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის 32-ე და 33-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა იყო დასაბუთებული. შესაბამისად, არ არსებობ-და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხ-ლის მე-4 ნაწილის გამოყენების პირობები, მით უფრო მეორეჯერ, რად-გან მითითებული ნორმით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქ-ტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, რის გამოც შეუძლებე-ლი ხდება სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერია-ლური კანონიერების შეფასება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პა-ლატამ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლების დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაცი-ულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მო-ნესრიგება არ შესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძ-ვლებს და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მა-რეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არსებობდა ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქარ-თველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნი-სის №MES 421 0000581237 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამასთან, ზ. დ-ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-მინისტროში ...ის სამმართველოს ...ის ...ის პოზიციაზე ან ტოლფას თა-ნამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდების ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით, სააპელაციო სა-სამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კა-ნონის მე-118 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებზე და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ უკანონოდ იქნა მიჩნეული მოსარჩელის დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლება, მოთ-

ხოვნა შესაბამის თანამდებობებზე აღდგენის შესახებ საფუძვლიანია და მოპასუხეს უნდა დაევალოს გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზ. დ-ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამართველოს ...ის ...ის პოზიციაზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ დასაბუთებული იყო მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებითაც. შესაბამისად, იქედან გამომდინარე, რომ ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლება მიჩნეული იქნა უკანონოდ და მოპასუხეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა მისი სამსახურში აღდგენა, მასვე უნდა დავალებოდა მისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან თანამდებობაზე აღდგენამდე, ამ თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გა-საჩივრდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

კასატორი მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 17 ივლისის №05 ბრძანების თანახმად, სამინისტროში გამოცხადდა რეორგანიზაცია 2018 წლის 12 ივლისიდან, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა შტატების შემცირება. ამავე ბრძანების მეორე პუნქტით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 5 ივლისის საქართველოს კანონის (№3024-რს) ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროები) დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები 2018 წლის 12 ივლისიდან ჩაითვალნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასაქმებული დასაქმებული პირებად, შეუნარჩუნდათ თანამდებობრივი სარგობი და მათ გააგრძელეს სამსახურებრივი უფლებამოსილებების შესრულება არსებულ პოზიციებზე, რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე. აღნიშნულ პერიოდში ზ. დ-ე დასაქმებული იყო ...ის ...ის სამმართველოში ...ის ...ის ად. ამ პერიოდში აღნიშნულ სამმართველოში დასაქმებული იყო კიდევ 5 (ხუთი) ...ის ... სამინისტროს რეორგანიზაციის ბრძანება ელ.ფოსტის მეშვეობით იმავე დღეს გაეცნო ზ. დ-ეს.

ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისათვის რეორგანიზაციის შესახებ წინადადებების წარდგენის მიზნით ჩატარებული 2018 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმის თანახმად, მინისტრს წარედგინა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტი, რომლის მიხედვით, ...ას გამოეყო...ისა და ...ის დეპარტამენტი და ...ის სამმართველოში განისაზღვრა 4(ოთხი) ...ის ...ის საშტატო ერთეული. ამავე ოქმით განისაზღვრა, რომ მობილობის პროცესს დასაქვემდებარებელ პირთა სის განსაზღვრის მიზნით, სამინისტროში დასაქმებულ მოხელეებთან ჩატარებულიყო გასაუბრება. წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №106 ბრძანებით მოხდა სამინისტროს საშტატო ნუსხის დამტკიცება და ...ას გამოეყო ... და ...ის დეპარტამენტი.

კასატორის განმარტებით, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დანიშვნა/გადაყვანას და მობილობას დასაქვემდებარებულ პირთა სის განსაზღვრის მიზნით უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №33 ბრძანებით, მინისტრის საზედამხედველო სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან გამართული გასაუბრების მიზნით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს №2 სხდომის ოქმიდან ირკვევა, სამინისტროს თანამშრომლებთან გასაუბრებაზე კომისიის წევრები დაინტერესდნენ შემდეგი საკითხებით: 1. თითოეული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობით და ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებით, ასევე მათი ფუნქციური დატვირთვის ხარისხით; 2. სამმართველოს ფუნქციონირების ხარისხის შეფასებით და ასევე სამმართველოს სამომავლო განვითარებების ხედვით; 3. თითოეული თანამშრომლის ხედვით, სამინისტროების გაერთიანების ფონზე, რომელ სფეროში და რა მიმართულებით ხედავდნენ საკუთარი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობებს; 4. ავლენდნენ თუ არა თანამშრომლები პირად ინიციატივას საქმიანობაში ჩატარულობის მიზნით და რაში გამოიხატებოდა მათი ინიციატივა. ჩატარებული გასაუბრების შედეგად, 6 (ექსი) ...ის ...დან 4(ოთხი) დაინიშნა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ...ისა და ...ის დეპარტამენტის ... სამმართველოს ...ის ...ად, ხოლო ზ. დ-ე მისივე თანხმობით (თანხმობის ფურცელი დაცულია პირად საქმეში), დაექვემდებარა სხვა საჯარო დაწესებულებაში მობილობას, თუმცა მისი მობილობის წესით სხვა თანამდებობაზე დანიშვნა ვერ განხორციელდა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 17 სექტემბრის №338/კ ბრძანებით ზ. დ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გა-

მოიყენა ყველა ის შესაძლებლობა, რაც საკითხის გამოკვლევისათვის იყო მნიშვნელოვანი და ხელმისაწვდომი. არსებული გარემოებების საფუძველზე, 2021 წლის 16 ივნისის №581237 ბრძანებით, ზ. დ-ე გაათავისუფლა თანამდებობიდან.

კასატორი აქვე აღნიშნავს, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ არ მიეცა შეფასება იმ ფაქტს, რომ მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა არც სამინისტროს სამტკატო ნუსხის დამტკიცების შესახებ მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №106 ბრძანებადა ასევე არ მომხდარა სხვა პირების დანიშვნის მართლზომიერების შესახებ დავა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონქებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით, შეჩერდა №ბს-1011(კ-23) ადმინისტრაციული საქმის წარმოება, მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) – ზ. დ-ის საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე, იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც შეხება „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანების ბათილდად ცნობასა და ზ. დ-ისთვის 2018 წლის 12 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის დაანგარიშებით, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დავალებას; შეწყდა №ბს-1011(კ-23) ადმინისტრაციული საქმის წარმოება, მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) – ზ. დ-ის გარდაცვალების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამსართველოს ...ის პოზიციაზე მოსარჩელის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნანილში; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება იმ სასარჩელო მოთხოვნის ნანილში, რომელიც შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამსართველოს ...ის პოზიციაზე მოსარჩელის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2024 წლის 13 მარტის განჩინებით, საქმის ნარმოება განახლდა იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც შეეხება „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანების ბათილად ცნობასა და ზ. დ-ისთვის 2018 წლის 12 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის დაანგარიშებით, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის დავალებას; მოწინააღმდეგე მხარის – ან გარდაცვლილი ზ. დ-ის საპროცესო უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაერთონ: გ. დ-ე (დედა), ნ. მ-ი (მეუღლე) და ა. დ-ე (მვილი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 10 ივნისის განჩინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე მისი განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ზ. დ-ე დასაქმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ...ის სამსართველოს ...ის ...ის თანამდებობაზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №338/კ ბრძანებით, 2018 წლის 17 სექტემბრიდან თანამდებობიდან გათავისუფლდა ...ის სამართველოს ...ის ... ზ. დ-ე. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე №3/6574-18), ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №338/კ ბრძანება და მოპასუხე – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და-

ევალა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმი-სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლე-ვისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე ზ. დ-ეს-თან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-ლების (საქმე №3/6574-18) აღსრულების მიზნით, საქართველოს განათ-ლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენ-ტი) უფროსმა, 2021 წლის 16 მაისის №MES 2 210000448350 მოხსენები-თი ბარათით მიმართა საქართველოს განათლების და მეცნიერების მი-ნისტრს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მითითების გაცემის თა-ობაზე. მოხსენებით ბარათში აღნერილი იქნა დაგვის ფაქტობრივი გარე-მოებები და მიეთითა, რომროგორც „საქართველოს განათლების, მეც-ნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციას-თან დაკავშირებით დანიშნა/გადაყვანას და მობილობას დასაქვემდე-ბარებელ პირთა სიის განსაზღვრის მიზნით უფლებამოსილების მინი-ჭების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტური-სა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №33 ბრძანებით, მი-ნისტრის საზედამხედველო სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქ-მებულ საჯარო მოხელეებთან გამართული გასაუბრების მიზნით შექ-მნილი კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს №2 სხდომის ოქმიდან ირკვევა, სამინისტროს თანამშრომლებთან გასაუბრებაზე კომისიის წევრებიდა-ინტერესდნენ შემდეგი საკითხებით: 1. თითოეული თანამშრომლის სა-მუშაოს აღნერილობით და ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებით, ასევე მათი ფუნქციური დატვირთვის ხარისხით; 2. სამმართველოს ფუნ-ქციონირების ხარისხის შეფასებით და ასევე სამმართველოს სამომავ-ლო განვითარების ხედვით; 3. თითოეული თანამშრომლის ხედვით, სა-მინისტროების გაერთიანების ფონზე, რომელ სფეროში და რა მიმარ-თულებით ხედავდნენ საკუთარი პოტენციალის გამოვლენის შესაძლებ-ლობებს; 4. ავლენდნენ თუ არა თანამშრომლები პირად ინიციატივას საქმიანობაში ჩართულობის მიზნით და რაში გამოიხატებოდა მათი ინი-ციატივა. მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ ჩატარებული გასა-უბრების შედეგად, 6 (ექვსი) ...ის ...დან 4 (ოთხი) დაინიშნა რეორგანიზა-ციის შედეგად შექმნილ ...ისა და ...ის დეპარტამენტის ... სამმართვე-ლოს ...ის ...ად, ხოლო ზ. დ-ე მისივე თანხმობით (თანხმობის ფურცელი დაცულია პირად საქმეში), დაექვემდებარა სხვა საჯარო დაწესებულე-ბაში მობილობას, თუმცა მისი მობილობის წესით სხვა თანამდებობაზე დანიშნვა ვერ განხორციელდა. საქართველოს განათლების, მეცნიერე-ბის, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 17 სექტემბრის

№338/კ ბრძანებით, ზ. დ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება კი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №3/6574-18), სადაც საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი და სამინისტროს დაევალა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მოსარჩევე ზ. დ-ესთან დაკავშირებით.

ამავე მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, შესწავლილი იქნა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოში დაცული დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს თანამშრომლებთან ჩატარებულ 2008 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმში, გარდა ზემოთ მითითებული ინფორმაციისა, თანამშრომლთა შეფასების მიზნით გამოყენებული კრიტერიუმების შესახებ სხვა ინფორმაცია არ არის ასახული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რეორგანიზაციის პერიოდში თანამშრომლებთან გასაუბრების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქმიანობა დაასრულა სამინისტროს რეორგანიზაციის დასრულებისთანავე და აღნიშნული კომისიის წევრების უმრავლესობა აღარ არის დასაქმებული სამინისტროს სისტემაში. სამინისტროში წარდგენილი დოკუმენტაციით ასევე ირკვევა, რომ ზ. დ-ეს არ უდავია არც სამინისტროს საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №106 ბრძანების და არც სხვა პირების დანიშვნის მართლზომიერებაზე. ამასთან, ამ ეტაპზე ...ის ...სა და ...ის სამმართველოში არის მხოლოდ 1 (ერთი) ...ის ...ის საშტატო ერთეული, რომელზეც დასაქმებულია შესაბამისი თანამშრომელი.

2021 წლის 16 მაისის №MES 2210000448350 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2021 წლის 16 ივნისს მიღებული იქნა №MES 4210000581237 ბრძანება, რომლის თანახმად, ...ის სამმართველოს ...ის ... ზ. დ-ე გათავისუფლდა თანამდებობიდან 2018 წლის 17 სექტემბრიდან.

ამასთან, დადგენილია, რომ ზ. დ-ე გარდაიცვალა 2023 წლის 28 აგვისტოს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევე მხარე სადაცოდ ხდის სწორედ „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021

წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანების კანონიერებას. ამასთან, მის თანმდევ მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალება ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლებიდან აღდგენამდე პერიოდის დაანგარიშებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ყოველი მოქალაქის საჯარო თანამდებობაზე წვდომის უფლებას. ეს კონსტიტუციური დანაწესი იცავს სახელმწიფო სამსახურზე მოქალაქის თავისუფალი წვდომის უფლებას, აღნიშნული გულისხმობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს – არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცული ყოველგვარი გარეჩარევისგან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ერთმანეთისგან გამოიჯულია სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტები, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტია. საჯარო მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებული, საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირები, დამოუკიდებლად იმისგან, წარმოადგენენ თუ არა ისინი კანონით განსაზღვრულ საჯარო მოხელეებს ან სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, საჯარო ფუნქციის ეფექტუანად და სრულყოფილად განხორციელებისათვის უნდა სარგებლობდნენ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტიებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დ. კანდელაკი, ნ. დვალი, ზ. დავითაშვილი, ე. გოგუაძე, გ. მელაძე და მ. ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5-6). შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს. ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას, კანონით გათ-

ვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გაათავისუფლოს დასაქმებული (სუსგ 23.04.2019წ., №ბს-954(2-18)). დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება ობიექტური მიზეზბზე უნდა იყო დაფუძნებული, დამსაქმებელი ვალდებულია დაასაბუთოს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტური მიზეზბი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის № 158 კონვენციის (1982წ.) № 166 რეკომენდაცია „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ“). საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს დისკრეციული უფლებამოსიღების ფარგლებში რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე № 3/6574-18) აღსრულების მიზნით. გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №338/კ ბრძანებაში არ იყო ასახული გარემოები, რომლითაც მოპასუხე – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ იხელმძღვანელა მოსარჩევე ზ. დ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს, კერძოდ, არ იყო მითითებული და დასაბუთებული, თუ რა კრიტერიუმების (კვალიფიკაცია და ა.შ.) გათვალისწინებით მიანიჭა სხვა პირს უპირატესობა ზემოაღნიშნულ, ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეულზე დანიშვნის დროს და რატომ უთხრა მას უარი მოცემულ საშტატო ერთეულზე დანიშვნაზე იმ პირობებში, როდესაც ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეული დატყიროთულია არსებითად იმავე ფუნქციებით, რომელსაც მოსარჩელე ზ. დ-ე მის მიერ დაკავებულ საშტატო ერთეულზე მუშაობისას ახორციელებდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვას საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯე-

**ბა კანონით.**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნადა განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანიზაციების სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის №ბს-476-464(კ-13) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცონბას იმდენად, რამდენადაც იგი მოჩვენებითს ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 82.2. მუხლით, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“ კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი კი იმპლემენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ

პუნქტსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში. „მითო-თებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღ-ნიშნა, რომ „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენ-ტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღე-ბა არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე.“

ამავე გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ასევე ყურად-ღება გაამახვილა საქმეზე, „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სა-დაც განმცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხებოდა. „ადამიანის უფ-ლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლე-ბა, რომელიც აშკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მო-ცემული, კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებულ იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე „შპს, იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ „სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღ-სრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქ-ტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლე-ბელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხა-რის საზიანოდ არაქმედით დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პრო-ცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზ-ნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრე-ცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).“

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძა-ლაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობა არღვევს პირის რო-გორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევ-როპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილ-ვის უფლებას (კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი).

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მასალებით დას-ტურდება, რომ სადავო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანება არ-სებითად ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სა-მინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 2021 წლის 16 მაისის №MES 2 210000448350 მოხსენებით ბარათს, რომელშიც მართა-ლია, მითითებულია 2018 წლის 2 აგვისტოს №2 სხდომის ოქმისა და მასში მოცემულ კრიტიკუმებზე, რომელთა მიხედვითაც უნდა შეფასებუ-ლიყო კანდიდატი, თუმცა არ არის დასაბუთებული კონკრეტულად რა

კრიტერიუმების გათვალისწინებით მიანიჭა სამინისტრომ სხვა პირს უპირატესობა ...ის სამმართველოს ...ის ...ის საშტატო ერთეულზე და-ნიშვნის დროს და რატომ უთხრა უარი ზ. დ-ეს მოცემულ საშტატო ერ-თეულზე დანიშვნაზე. მეტიც, ამავე მოხსენებით ბარათში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის კანონიერ ძალაში შესუ-ლი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შესწავლილი იქნა აღნიშ-ნულ საქმესთან დაკავშირებით ადამიანური რესურსების მართვის სამ-მართველოში დაცული დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგად კი დად-გინდა, რომ სამინისტროს თანამშრომლებთან ჩატარებულ 2008 წლის 2 აგვისტოს სხდომის ოქმში თანამშრომელთა შეფასების მიზნით გამო-ყენებული კრიტერიუმების შესახებ სხვა ინფორმაცია არ იყო ასახული, რეორგანიზაციის პერიოდში თანამშრომლებთან გასაუბრების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქმიანობა დაასრულა სამინისტროს რეორგანი-ზაციის დასრულებისთანავე და აღნიშნული კომისიის წევრების უმრავ-ლესობა აღარ არის დასაქმებული სამინისტროს სისტემაში.

ამდენად, მითითებული გარემოებების საფუძველზე დასტურდება, რომ სადაც სამართალურთიო გარემოებების სამსახური ადმინისტრაციულ ორ-განობი დამატებით რაიმე ინფორმაცია აღარ მოიპოვებოდა, სამინის-ტრომ სრულად მოიძია და გამოიკვლია ყველა გარემოება, რაც სადაც საკითხთან იყო შემზებლობაში და დადგინდა, რომ მხოლოდ ის მტკი-ცებულებები არ სებობდა ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საქ-მეზე, რომლებიც უკვე შეფასებული იყო სასამართლოს მიერ და რო-მელთა გათვალისწინებითაც ზ. დ-ის სამსახურიდან გათავისუფლება სასამართლომ არ მიიჩნია კანონშესაბამისად. აღნიშნულიდან გამომ-დინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გან-სახილველ საკითხზე განმეორებით მსჯელობისას ადმინისტრაციულ-მა ორგანომ მიიღო იგივე გადაწყვეტილება იმავე მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც ერთხელ უკვე იყო შეფასებული სასამართლოს მიერ და რომლის გათვალისწინებითაც სასამართლომ „ზ. დ-ის დაკავე-ბული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ 2018 წლის 12 სექ-ტემბრის №338/კ ბრძანება კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. დ-ის მიმართ ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქ-ტებით გარანტირებული მრომის უფლების დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შესაბამება მისი გამო-ცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მო-

ცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არსებობდა „ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავი-სუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მი-ნისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 421 0000581237 ბრძანების ბა-თილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთი-თებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხ-ლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასა-მართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გა-დაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალ-დებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობა-ზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თა-ნამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. დ-ე გარდაიცვალა 2023 წლის 28 აგვისტოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით კი, მონინაალმდეგე მხარის (მოსარჩელის) – ზ. დ-ის გარდაცვალების გამო, შეწყდა №ბს-1011(კ-23) ადმინისტრაციული საქმის წარმოება, საქარ-თველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ...ის სამმართვე-ლოს ...ის ...ის პოზიციაზე მოსარჩელის აღდგენის თობაზე, ახალი ინდი-ვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შე-სახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, თანამდებობიდან გათავისუფლება, გათავისუფლების უკანონობის დადგენის შემდგომ სამსახურში აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება, პირის პირად უფლებებს უკავშირდება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ზ. დ-ეს სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის გზით სიცოცხლეშივე ჰქონდა რეალიზებული, მათ შორის, იძულებითი განაცდურის მოთხოვ-ნის უფლება. იძულებითი განაცდური კი წარმოადგენს ქონებას, რომ-ლის მიღების უფლებაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 1328-ე მუხლების გათვალისწინებით, შესაძლებელია გადავიდეს სხვა პირებზე, მეტკვიდრეებზე.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ უკანონოდ იქნა მიჩნეული ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის მიუხედავად, მოთხოვნა მისი უფლებამონაცვლების სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საფუძვლიანია ნაწილობრივ. კერძოდ, ზ. დ-ის გარდაცვალების ფაქტის გათვალისწინებით, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების პერიოდი უნდა განისაზღვროს ზ. დ-ის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების დღიდან მისი გარდაცვალების თარიღამდე (და არა თანამდებობაზე აღდგენამდე), შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენბით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების მე-4 და მე-7 პუნქტები, რომელთა თანახმად, ზ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზ. დ-ისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდისათვის, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენბით. აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ან გარდაცვლილი ზ. დ-ის უფლებამონაცვლების – გ.დ-ის, ნ.მ-ის და ა.დ-ის (არასრულწლოვანი) სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინის-

ტროს ან გარდაცვლილი ზ. დ-ის უფლებამონაცვლეების – გ.დ-ის, ნ.მ-ის და ა.დ-ის (არასრულწლოვანი) სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება ზ. დ-ის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების დღიდან (2018 წლის 17 სექტემბერი) მისი გარდაცვალების თარიღამდე (2023 წლის 28 აგვისტო) პერიოდისათვის, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 16 ივნისის №MES 4 21 0000581237 ბრძანება ზ. დ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საპოლოოა და არ საჩივრდება.

## იძულებითი განაცდურის ოდენობის განსაზღვრა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-603(კ-22)

23 აპრილი, 2024 წელი., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

ზ. ხ-ამ 2021 წლის 4 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის მოსარჩელე – ზ. ხ-ას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის – 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე დარიცხული ხელფასის სულ – 29 914 ლარის ანაზღაურება.

ბის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2016 წლის 11 ივლისის ბრძანებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რიგებიდან დათხოვნილ იქნა. ბრძანება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი და დეპარტამენტს დაევალა ახალი აქტის გამოცემა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. ზ. ხ-ას განმარტებით, ზ. ხ-ას სამწლიანი იძულებითი მოცდენა გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეულობით. საბოლოოდ, მოხდა მისი სამსახურში აღდგენა. მოსარჩელის მითითებით, რომ არა სამსახურიდან მისი უკანონო განთავისუფლება, მას მიეცემოდა კუთვნილი ხელფასი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ზ. ხ-ას სასამგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე ანაზღაურება, ხელზე ასაღები – 28 298,4 ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში ზ. ხ-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების ხელახალი შესწავლა დაევალა ადმინისტრაციულ ორგანოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 აპრილის (საქმე №3/7450-16) გადაწყვეტილებით. 2019 წლის 17 იანვრის MIA 5 19 00125976 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, ზ. ხ-ა დაინიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე, (თანამდებობრივი სარგო 335 ლარი) განაცდურის ანაზღაურების გარეშე, სამსახურის უწყვეტ სტაჟში ჩაეთვალა 2016 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. ხ-ას სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან აღდგენამდე – 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე, იძულებითი განაცდური უნდა აუნაზღაურდეს იმ თანამდებობის სახელფასო განაკვეთიდან, საიდანაც მოხდა მისი უკანონოდ გათავისუფლება. შესაბამისად, სასამართლომ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ზ. ხ-ას სასარგებლოდ დაკისრა ხელზე ასაღები სახელფასო დავალიანების ანაზღაურება – 28 298,4 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში, ასანაზღაურებელი განაცდურის ოდენობასთან დაკავშირებით, ყურადღება გაამახვილა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, ზ. ხ-ას დარიცხული ხელფასის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე, კერძოდ, საქმეში დაცულ, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამართველოს უფროსის 2022 წლის 12 იანვრის №MIA 8 22 00080461 წერილზე, რომლითაც დასტურდება, რომ 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით ზ. ხ-ა, მის მიერ დაკავებული თანამდებობის (განყოფილების ...) გაუქმებამდე, ყოველთვიური დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა – 1170 ლარს (მათ შორის თანამდებობრივი სარგო – 915 ლარი, ხოდებრივი სარგო – 60 ლარი, წელთა ნამსახურეობის დანამატი – 195 ლარი); ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან კი მიიღებდა – 717 ლარსა და 10 თეთრს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ განმარტა და აღნიშნული არც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს გაუხდია სადაცოდ, რომ რეორგანიზაციის შედეგად, ახალ სამტატო ნუსხაში, მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობების ტოლფას თანამდებობაზე (უფროსი ინსპექტორი) – დარიცხული ხელფასის ოდენობა განისაზღვრა სწორედ 717 ლარით და 10 თეთრით). სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზ. ხ-ა გათავისუფლების ბრძანების გამოიცემლობის და შესაბამისად, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის შემთხვევაში, 2017 წლის 20 იანვრიდან – 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში, დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა 717 ლარსა და 10 თეთრს. სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს სახელფასო ანაზღაურება მიღებული აქვს 2016 წლის 8 მარტის ჩათვლით. ამასთან, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია – მოსარჩელის კანონშეუსაბამო განთავისუფლების შემთხვევაში, იგი მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე (რეორგანიზა-

ციის შემდგომ – ტოლფას თანამდებობაზე) 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდისათვის გასამრჯელოს სახით მიღებდა არანაკლებ (თანამდებობრივი სარგო, ასევე წელთა ნამსახურების დანამატი და წოდებრივი სარგო) 28 298,4 ლარი (ჯამურად).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ვინისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული გარემოებები და შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა. დეპარტამენტმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, გამოსცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ზ. ხ-ა, 2018 წლის 21 დეკემბრის მისივე განცხადებით გამოოქველული თანხმობით, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 იანვრის ბრძანებით დაინიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 355 ლარი), განაცდურის ანაზღაურების გარეშე სამსახურის უწყვეტ სტაჟში ჩაეთვალა 2016 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი. ბრძანებაში აღინიშნა, რომ ზ. ხ-აზე არ გაიცემოდა განაცდური.

კასატორის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მითითებით, დეპარტამენტმა სასამართლოში წარადგინა ინფორმაცია შესაბამისი პოზიციის თანამდებობრივი სარგოს დაანგარიშების თაობაზე, რამაც 2017 წლის 20 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული საჭტატო განრიგში ცვლილებების მიღებამდე შეადგინა 5917 ლარი, ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე შეადგინა 12391.43 ლარი, ჯამში 18308.43 ლარი (დარიცხული ხელფასი). აღნიშნულის საპირისპიროდ, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ახალ საშტატო ნუსხაში მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში დარიცხული ხელფასის სა-

ხით 717.1 ლარით განსაზღვრის თაობაზე. ამდენად, სააპელაციო სასა-მართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც არასწორად იქნა თანხა დაანგარიშებული. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ მნიშვნელოვან გარემოებებზე და საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომლის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, ზ. ხ-ა მუშაობდა ...ის სამმართველოს მე-... განყოფილების ...ის თანამდებობაზე. დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 9 მარტის 160050 ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, აღნიშნული სამართველო გადაკეთდა ...ის სამმართველოდ და ...ის სამმართველოს მე-... განყოფილების ...ის სამმართველოს მე-... განყოფილებას, ხოლო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 20 იანვრის №153785 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგში ცვლილებების მიხედვით შეიქმნა ...ისა და ...ის სამმართველო, რომლითაც დასახელებული განყოფილება გადაკეთდა მე-... ქვეეგანყოფილებად. აღნიშნულ სამსახურს ქვეგანყოფილების ...ის შტატი არ გააჩნიდა. კასატორის განმარტებით, ვინაიდან 2017 წლის 20 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში სამმართველოში განყოფილების ...ის თანამდებობა აღარ არსებობდა, ზ. ხ-ა მ პოზიციაზე მუშაობას ვერ გააგრძელებდა და შესაბამისად, ვერც თანამდებობრივ სარგოს აიღებდა. სასამართლოს, სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში, განაცდურის ანაზღაურების დეპარტამენტისათვის დაკისრებისას უნდა ეხელმძღვანელა არა განყოფილების ...ის სარგოს ოდენობით, არამედ ... სსიპ - ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობის სარგოდან, რაც 2016 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდის დაანგარიშებით შეადგენს 15669,06 ლარს. სასამართლომ ასევე უგულებელყო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 პრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკამაყოფილდა ზ. ხ-ას სარჩელი სამსახურში აღდგენის ნაწილში. ასევე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან ზ. ხ-ას მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯის 500 ლარის ანაზღაურების დეპარტამენტისათვის დაკისრება, რაზეც სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 მაისის განჩინებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო სა-

ჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სისპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-მაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ პირველ მუხლზე, რომლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლეა; დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებზე ვრცელდება ყველა ის შეღავთი და სოციალური გარანტია, რომელიც დაწესებულია შინაგან საქმეთა ორგანოების მოსამსახურეთათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური წოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფუცი. ამდენად, სისპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელი არის საჯარო მოხელე და მასზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტი კი ადგენს, რომ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდეური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების დროისათვის (11.07.2016.) მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იმავე კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტით კი, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიზნებისათვის, განაცდური არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ითვლება უკანონოდ გათავისუფლებულად. განაცდურის ცნებაში მოიაზრება იძულებითი მოცდენისას დამსაქმებლის ბრალით მიუღებელი შემოსავალი, რომელიც დასაქმებულს ეკუთვნის უკანონოდ გათავისუფლებიდან სამუშაოზე აღდგენამდე დროის განმავლობაში. თავის მხრივ, გათავისუფლების უკანონობა უნდა დადასტურდეს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ამდენად, დამსაქმებლისათვის განაცდურის დაკისრების წინაპირობას მხოლოდ მოხელის სამუშაოზე აღდგენა არ წარმოადგენს. აუცილებელია მეორე წინაპირობაც – მოხელის გათავისუფლებას საფუძვლად უნდა ედოს დამსაქმებლის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილება. „თანამდებობაზე აღდგენა გულისხმობს პირვენდელი მდგომარეობის აღდგენას, პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის უკანონოდ იქნა გათავისუფლებული, ან ტოლფასი თანამდებობის შეთავაზებას. ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურებას დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს“ (სუსგ 23.07.2020წ. №ბს-38(კ-20)).

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მსჯელობაზე, რომლის თანახმად, საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში (საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი) ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რეს-

პუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, გათავისუფლებისას დაირღვა თუ არა მატერიალური თუ საპროცესო ნორმების მოთხოვნები, უკანონობა უკავშირდება გათავისუფლების საფუძვლის უკანონობას თუ გათავისუფლების პროცედურის მარეგულირებელი ნორმების უხეშ დარღვევას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივნისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე თინა ბეჭიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 აპრილის (საქმე №3/7450-16) გადაწყვეტილებით, ზ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადაც ვისტის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცონბილი ზ. ხ-ას შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 11.07.2016 წ. №1709373 ბრძანება და მოპასუხე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაემაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკავასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განჩინების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 იანვრის №MIA 5 19 00125976 ბრძანებით, ზ. ხ-ა დაინიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო – 335 ლარი), განაცდურის ანაზღაურების გარეშე, სამსახურის უწყვეტ სტაჟში ჩაეთვალა 2016 წლის 10 ივნისიდან – 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ზ. ხ-ას დაკავებული თანამდებობიდან უკანონოდ განთავისუფლების ფაქტი და-

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განჩინების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 იანვრის №MIA 5 19 00125976 ბრძანებით, ზ. ხ-ა დაინიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო – 335 ლარი), განაცდურის ანაზღაურების გარეშე, სამსახურის უწყვეტ სტაჟში ჩაეთვალა 2016 წლის 10 ივნისიდან – 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ზ. ხ-ას დაკავებული თანამდებობიდან უკანონოდ განთავისუფლების ფაქტი და-

დასტურდა სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშეუსაბამოდ მიჩნევით, ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ ზ. ხ-ა დანიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე, ზ. ხ-ას აქვს უფლება აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური, როგორც უკანონოდ მიყენებული ზიანი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო პრეტენზიას, ზ. ხ-ას სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნვის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 იანვრის №MIA 5 19 00125976 ბრძანებაში მითითებული ჩანაწერი „განაცდურის ანაზღაურების გარეშე“ დანიშვნასთან დაკავშირებით გამორიცხავს ზ. ხ-ას სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

რაც შეეხება ასანაზღაურებელი განაცდურის ოდენობას, საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის 2022 წლის 12 იანვრის № MIA 8 22 00080461 ნერილზე და დაადგინა, რომ 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით ზ. ხ-ა, მის მიერ დაკავებული თანამდებობის (განყოფილების ...) გაუქმებამდე, ყოველთვიური დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა – 1170 ლარს (მათ შორის თანამდებობრივი სარგო – 915 ლარი, ნოდებრივი სარგო – 60 ლარი, წელთა ნამსახურების დანამატი – 195 ლარი), ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან – 717 ლარსა და 10 თეთრს (ახალ საშტატო ნუსხაში, მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობების ტოლფას თანამდებობაზე (უფროსი ინსპექტორი) დარიცხული ხელფასის ოდენობა განისაზღვრა სწორედ 717 ლარით და 10 თეთრით). სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზ. ხ-ა გათავისუფლების ბრძანების გამოუცემლობის და შესაბამისად, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის შემთხვევაში, 2017 წლის 20 იანვრიდან – 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში, დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა – 717 ლარსა და 10 თეთრს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ მოსარჩელე რეალურად ითხოვს 2 წლის, 6 თვისა და 6 დღის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. იძულებითი განაცდურის ზუსტი ოდენობის ანაზღაურების მიზნით, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მიუთითოს ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლის წესი. დადგენილია, რომ 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით ზ. ხ-ა, მის მიერ დაკავებული თანამდებობის (განყოფილების ...) გაუქმებამდე, ყოველთვიური დარიც-

ხული ხელფასის სახით მიიღებდა – 1170 ლარს, ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან – 717 ლარსა და 10 თეთრს.

2016 წლის 11 ივლისიდან 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით (6 თვე და 8 დღე) მოსარჩელე მიიღებდა ჯამში 7332 ლარს (1170 ლარი $\div$ 30 დღეზე = 39 ლარს დღეში; 6 თვე \* 1170 ლარზე = 7020 ლარს; 8 დღე \* 39 ლარზე = 312 ლარს).

ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში (23 თვე და 28 დღე) იგი მიიღებდა 17162.5 ლარს (2017 წლის 20 იანვრიდან 2018 წლის 20 იანვრამდე (12 თვე), 2018 წლის 20 იანვრიდან 2018 წლის 20 დეკემბრამდე (11 თვე) – 23 თვე). 2018 წლის 20 დეკემბრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე – 28 დღე. 717.1 ლარი $\div$ 30 დღეზე = 23.90 ლარს; 23 თვე \* 717.1 ლარზე = 16493.3 ლარს; ხოლო 28 დღე \* 23.9 ლარზე = 669.2 ლარს).

732 ლარს (2016 წლის 11 ივლისიდან 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით პერიოდი) + 17162,50 ლარი (2017 წლის 20 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი) = 24494.5 ლარს.

ამდენად, 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში იძულებითი განაცდურის სახით ზ. ხ-ას დარიცხული ხელფასი შეადგენს 24494.5 ლარს.

რაც შეეხება კასატორის მითითებას მოსარჩელის მიერ ადვოკატი-სათვის განეული ხარჯის ანაზღაურების კასატორისათვის დაკისრებას-თან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ზ. ხ-ას სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია, რის გამოც არ-სებობდა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების მოპასუხე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაი-ზიარა დეპარტამენტის მითითება დაკისრებული თანხის არაპროპორ-ციულობის შესახებ და განმარტა, რომ საქმის სირთული, სპეციფიკის, განხილვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მოპასუხისათვის ზ. ხ-ას სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის სა-ხით 500 ლარის დაკისრება არის გონივრული და არ არსებობდა აღნიშ-ნულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გა-დაწყეტილების შეცვლის საფუძველი. აღნიშნულ მსჯელობას იზია-რებს საკასაციო პალატა და მიუთითებს, რომ წინამდებარე საქმეზე მოსარჩელის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, ხოლო სარჩელი დაკიმ-ყოფილდა რა ნაწილობრივ, არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 53-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელის წარმომადგენლის დახმა-რებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძ-ველი, რის გამოც აღნიშნულ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს სააპე-ლაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მი-იჩინებს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩი-ვარი უნდა დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს თბილისის სააპე-ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწ-ყვეტილება, ზ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქარ-თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დე-პარტამენტს უნდა დაეკისროს მოსარჩელე ზ. ხ-ას სასარგებლოდ 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე დარიცხული ხელფასის სახით 24494.5 ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაუ-რება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით,

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პო-ლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწი-ლობრივ;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პო-ლიციის დეპარტამენტისათვის ზ. ხ-ას სასარგებლოდ იძულებითი გა-ნაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ზ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პო-ლიციის დეპარტამენტს დაევალოს მოსარჩელე ზ. ხ-ას სასარგებლოდ 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე დარიცხული ხელფა-სის სახით 24494.5 ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღა-ურება;

5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თე-ბერვლის განჩინება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბო-ლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)